




13



საქართველოს ივლიოთეკა

1239
2015

მულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური ჟურნალი



N 3(60) - 2015
ISSN - 1512-0880



სარედაქციო კოლეგია :

ალექსანდრე ლორია - მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი - რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

გულნარა სტურუა

მირიან ხოსიტაშვილი

რუსუდან ასათიანი

მაია მიქაბერიძე

ირინა აღიაშვილი

ნინო ინჯია

კომპიუტერული უზრუნველყოფა –

ლაურა ასლამაზიშვილი

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

მისამართი : თბილისი ლაღო გუდიაშვილი ქ. № 7

საქართველოს ბიბლიოთეკა №3 (60) – 2015;

გამოიცემა 2000 წლიდან.

C - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ISSN – 1512 – 0880

14460744642





შინაარსი

ჟურნალის პროგრამა მოქმედებაში ----- 3

ოფიციალური მასალები

საქართველოს ბიბლიოთეკართა პროფესიული ეთიკის კოდექსი----- 4

ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ჟიჰანი

ჰანს-ქრისტოფ-ჰობონი - ბიბლიოთეკა, ცოდნის ადგილი----- 5

წიგნისა და პერიოდის ისტორია

გურამ თაყნიაშვილი -

ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი პერიოდის სათავეებთან----- 11

მაია მიქაბერიძე - დასჯილი წიგნი----- 14

რედაქციისაგან ----- 16

ნინო ხვედელიძე - ერხარდ რატდოლტი -

07

ბეჭდური წიგნის მხატვრული გაფორმების ფუძემდებელი----- 17

ფილოლოგიური ჟიჰანი

გულნარა სტურუა - მსოფლიო კაცი - ჩვენი სიამაყე, ვაჟა----- 20

გურამ თაყნიაშვილი -

სოლომონ დოდაშვილის შეხედულებები მხატვრული ლიტერატურის შესახებ----- 24

გიორგი გაბუნია -

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ერთ პუბლიკაციაში გამოყენებული

ტერმინ„აფორიზმის“ მართებულად გაგებისათვის----- 27

საქმიანი ურთიერთობანი

ირინა ალიაშვილი - ერთ საათში მიღებული გადაწყვეტილება----- 28

გავშვთა კითხვა

ქეთევან ნიკურაძე -

ბავშვ მკითხველთა მომსახურება თბილისის მირზა

გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში----- 31

გურამ თაყნიაშვილი - ბავშვი წიგნის სამყაროში----- 33



მანანა დეკანოსიძე - თავდადებული შრომითა და მონდომებით----- 38

ირინა ალიაშვილი - წიგნები ომის შემდეგ-----41

მზია აბრამიშვილი - "დღეს შენი დღეა, დე!"----- 44

თეა მელაძე - "ორერა" სტუმრად ბიბლიოთეკაში----- 44

ირინა ალიაშვილი - ახალი ჩვენს საბიბლიოთეკო სისტემაში----- 45

მზია ტოგონიძე -

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე თბილისის №15 ბაგა-ბაღში-----47

თვალსაჩინო შემოქმედი

მაია შონია - მუდმივი ძიება და ახლისკენ სწრაფვა----- 49

სახელოვანი მოღვაწენი

ნათელა ნათლიაშვილი - კვინიკაძე -

ლექსის, ფუნჯისა და სიტყვის უბადლო ოსტატი----- 51

მზია ტოგონიძე, ეთერ ქამუშაძე - სიყვარულითა და ადამიანური სითბოთი- -----56

ინფორმაცია

მაგდა სოლოლაშვილი - წიგნი ქართული გალობის შესახებ----- 58

კოტე ალიბეგაშვილი - ბიბლიოგრაფიული იშვიათობის - ახალი ვარიანტი-----60

დიდი ინტერესით წასაკითხი წიგნი----- 61

ნაშრომი ერთი გვარის წარჩინებულ პირთა შესახებ-----62

რევიუ

დავით გიგინეიშვილი - როსინის „კონკია“ ნეაპოლის „სან-კარლოში“----- 62

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა : მოვლენები, ფაქტები-----66

რედაქციის შენიშვნა

უზუსტობის დაზუსტება-----66

ჩვენი ჟურნალის მე-60 ნომერი, შეიძლება ითქვას, საიუბილეო გამოცემას წარმოადგენს. 50-ე ნომრის ფურცლებზე თავის დროს დაწერილებით აისახა ის მიღწევები თუ ხარვეზები, რაც ჟურნალისათვის დაარსებიდან იყო დამახასიათებელი. 2013 წლიდან, მას შემდეგ, რაც მომდევნო ნომრები გამოიცა, საბიბლიოთეკო საქმეში საკმაოდ ბევრი რამ შეიცვალა, აშკარად შეინიშნება პოზიტიური მოვლენები.

თუ წინა პერიოდისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ბიბლიოთეკების ფორსირებული შემცირება, 2013 წლიდან დღემდე ბევრი ბიბლიოთეკა აღსდგა, ზოგან ახალი, თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკაც კი გაიხსნა. ხელისუფლებამ შედარებით გაააქტიურა ყურადღება საჯარო ბიბლიოთეკების მიმართ. ამოქმედდა პრეზიდენტის ინიციატივა-ყველა ბიბლიოთეკა აღჭურვილი უნდა იქნეს ინტერნეტის მქონე კომპიუტერთ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ შეიქმნა ბიბლიოთეკართა მომზადების მოკლევადიანი სისტემა და სხვ. ყოველივე ეს სათანადოდ აისახა ჟურნალში.

ჟურნალის არსებობის მთელ პერიოდზე თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ მისი პროგრამა და სტრატეგია ურყევად სრულდება. ქვეყნდება ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კვლევითი მასალები, წიგნის ისტორიის საკითხები, ფილოლოგიური ძიებანი, ინფორმაციები და რეცენზიები ახალგაზრდა მკვლევარების მიერ, მეთოდური სტატიები, საქართველოს ბიბლიოთეკების პრაქტიკული მოღვაწეობის ამსახველ ნარკვევები და გამოცდილების გაზიარება, კორესპონდენციები, ქრონიკა მნიშვნელოვანი მოვლენების ასახვისათვის, ბიბლიოთეკართა შემოქმედება, კონსულტაციები და სხვ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში გაიზარდა ინტერესი ჩვენი ჟურნალისადმი სხვადასხვა დარგის მეცნიერთა შორის. დაიბეჭდა არა ერთი მეცნიერული ნარკვევი, გამოჩნდნენ მკვლევართა ახალ-ახალი სახეები. ასევე გაფართოვდა პრაქტიკოს ბიბლიოთეკართა მონაწილეობა ჟურნალში. სისტემატურად მატულობს ავტორთა რაოდენობა. მაგალითად, დღეისათვის ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებულია 500-მდე ავტორის სტატია.

შესამჩნევად დაიხვეწა და გამრავლდა სტატიები ტექნოლოგიების შესახებ. აქვხვდებით როგორც არსებული ვითარების ასახვასა და ანალიზს, ისე მეთოდურ მითითებებსა და კონსულტაციებს.

ჟურნალის რედაქციას მიზანშეწონილად მიაჩნია, გაკეთდეს სრული სტატისტიკური

ანალიზი ჟურნალში გამოქვეყნებული მასალის შესახებ-რამდენმა ავტორმა მიიღო მონაწილეობა, რამდენი რუბრიკა იქნა გამოყენებული, რომელი მიმართულება ჭარბობდა, რამდენი წიგნის შესახებ იქნა მოცემული ინფორმაცია, რამდენი უცხოელი ავტორის ნაშრომი თუ სტატია იქნა გამოყენებული, რამდენმა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა ჟურნალის ფურცლებზე და ა. შ. ყოველივე ეს ბეჯითად უნდა იქნეს გაანალიზებული და მიღებული მხედველობაში შემდგომი მუშაობის განვითარებისათვის.

სხვათა შორის, გამოქვეყნებული მასალა ოფიციალურად არის აღრიცხული სპეციალურ ბიბლიოგრაფიულ გამოცემაში (მიქაბერიძე, მაია. საქართველის პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები:1861-2012. ბიბლიოგრაფია.-თბ.,2013.-349გვ.). ხელნაწერის სახით შედგენლია გამოცემათა ნუსხა, რაც საშუალებას მოგვცემს, სტატისტიკურად შევისწავლოთ ჟურნალის შინარსობრივი მხარე და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები. ეს ღონისძიება დაგეგმილია და 15-წლიანი საიუბილეო თარიღისათვის განხორციელდება.

გვსურს, ამჟამად ჩვენმა მკითხველებმა მხედველობაში მიიღონ არსებული ვითარება: როგორც ცნობილია, ჟურნალის რედაქციას უმძიმეს პირობებში უხდებოდა მუშაობა როგორც ტექნიკური ბაზის, ისე სახსრების უქონლობის გამო. რაც მთავარია, რედაქციას აქამდე არ ჰქონია თავისი ბინა, ხელშეწყობა დამფინანსებლისაგან, სპონსორების დახმარება. გვამხნევებდა ბიბლიოთეკართა და სხვა მკითხველთა გაუმდებულად მზარდი ინტერესი და დადებითი შეფასებები.

დღეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ითავა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთად, ხელი შეუწყოს ჟურნალის საქმიანობას, თავიანთი სახსრებით დააფინანსონ გამოცემა და ჟურნალები უფასოდ დაურიგონ საჯარო ბიბლიოთეკებს. დასახვეწია მენეჯმენტი. რედაქციას გამოეყოფა ფართი და აღჭურვილი იქნება სათანადოდ. მოხდა ფუნქციათა გადახალისება და გადანაწილება, საქმისწარმოების რეორგანიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალის საქმის გაუმჯობესებას, მაგრამ ამას ესაჭიროება გარკვეული დრო მოქმედების ფორმების დასახვეწად.

არსებული ვითარება იმედს იძლევა, რომ ახლო მომავალში ჟურნალის გამოცემის საქმე გაუმჯობესდება როგორც შინაარსობრივად, ისე ტექნიკური თვალსაზრისით.



საბოლოო ვარიანტი

საქართველოს ბიბლიოთეკები საუკუნეთა მანძილზე იცავდნენ ერის კულტურულ და სულიერ მემკვიდრეობას; ფლობენ რა გარკვეული წესით ორგანიზებულ ცოდნას, ბიბლიოთეკები ასრულებენ ერის ისტორიული მემკვიდრეობის ფუნქციას, უზრუნველყოფენ ამ ცოდნის ფართო ხელმისაწვდომობას მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენისათვის;

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ბიბლიოთეკები ასრულებენ მნიშვნელოვან ფუნქციებს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში. ფლობენ რა ინფორმაციის ტრადიციულ და თანამედროვე საშუალებებს, ბიბლიოთეკები ხელს უწყობენ მოსახლეობის აღზრდის, განათლებისა და ინფორმირების პრობლემების გადაჭრას, რითაც იცავენ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს.

წინამდებარე კოდექსი განსაზღვრავს ბიბლიოთეკის პროფესიული საქმიანობის ეთიკურ ნორმებს, რომლებითაც ბიბლიოთეკარმა უნდა იხელმძღვანელოს მკითხველთან, კოლეგებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში.

ამ მიზნით, ბიბლიოთეკარი:

1. როგორც პროფესიონალი და ყოველმხრივ ინფორმირებული პირი, აწარმოებს ბიბლიოთეკაში არსებული ინფორმაციის წყაროების განსაზღვრული წესით ორგანიზებას და უზრუნველყოფს მათ თანაბარ ხელმისაწვდომობას მკითხველთა ფართო წრისათვის, მიუხედავად მათი ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებების და რელიგიური მრწამსის, ასაკისა და სქესისა;

2. მკითხველებთან ურთიერთობას აფუძნებს ურთიერთ პატივისცემისა და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების, მათი საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინების პრინციპებზე;

3. სისტემატიურად ზრუნავს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად; შესაძლებლობის ფარგლებში იზიდავს არასაბიუჯეტო სახსრებს, რისთვისაც მაქსიმალურად იყენებს ბიბლიოთეკის საინფორმაციო-საძიებო საშუალებებს; აწარმოებს ცალკეული საბიბლიოთეკო პროცესის ანალიზს, ამუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა რეალიზება ხელს უწყობს მკითხველთა მომსახურების ხარისხის ამაღლებას;

4. მკითხველთან მუშაობისას იჩენს პედაგოგიურ ტაქტს, არის თავდაჭერილი, მოტივირებული, გაწონასწორებული; ბიბლიოთეკარს უნდა გააჩნდეს უნარი, აღიაროს მომსახურებაში არსებული ხარვეზები; პატივს სცემს მკითხველს, როგორც პიროვნებას, ბოლომდე უსმენს მას და ყურად იღებს მის ობიექტურ მოთხოვნებსა და შენიშვნებს;

5. მკითხველთან ურთიერთობის პროცესში გამორიცხავს ზედმეტ მერყეობასა და კონტროლს, განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს ბავშვთა და მოზარდთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების პროცესში; მხედველობაში იღებს

რა მათ ასაკობრივ თავისებურებებს, წიგნიერების დონეს, პიროვნულ თვისებებსა და მიდრეკილებებს;

6. იცავს ინფორმაციის წყაროების არჩევის თავისუფლებას, ებრძვის ამ პროცესში ყოველგვარ ცენზურასა და ხელოვნურ დაბრკოლებებს, ქმნის ცოდნასთან და ინფორმაციის წყაროებთან მკითხველთა თავისუფალი და თანასწორუფლებიანი დაშვების პირობებს;

7. პატივს სცემს მკითხველის უფლებებს; პასუხს არ აგებს ბიბლიოთეკაში არსებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოყენების შედეგებზე; იცავს კონფიდენციალობას მკითხველთან დამოკიდებულებაში, არ ამჟღავნებს ინფორმაციას მკითხველის მიერ გამოყენებული პირველწყაროებისა და სხვა მასალების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;

8. ქმნის ადგილზე მუშაობის პირობებს, იცავს შინაგანაწესს, ბიბლიოთეკის დამფუძნებლისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ აქტებსა და ნორმებს, აყალიბებს საკუთარ მოსახრებებს საბიბლიოთეკო მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპების შესაბამისად;

9. სისტემატიურად ეძებს საზოგადოებასთან საქმიანი ურთიერთობის გზებს და საშუალებებს; სხვადასხვა სოციალური ფენის საინფორმაციო მოთხოვნილებების შესწავლისა და დაკმაყოფილების მიზნით აყალიბებს ბიბლიოთეკის თანამდგომთა საზოგადოებას; საქმიანი კავშირები აქვს ბიბლიოთეკართა პროფესიულ გაერთიანებებთან;

10. ზრუნავს საკუთარი პროფესიის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლებაზე; პატივს სცემს უფროსი, გამოცდილი კოლეგების ცოდნას და დაუზარებლად გადასცემს საკუთარ გამოცდილებას ახალგაზრდა თანამშრომლებს, მიაჩნია რა იგი პროფესიულ სრულყოფის ფაქტორად; ბიბლიოთეკარი შეგნებულიად აყალიბებს ბიბლიოთეკის დადებით სახეს, რათა ბიბლიოთეკარის პროფესია სარგებლობდეს საზოგადოებრივი პატივისცემით;

11. თავს იკავებს მკითხველთა თანდასწრებით შენიშვნა მისცეს, ან უტაქტოდ მოექცეს კოლეგას; არ გააკრიტიკებს ამა თუ იმ ავტორის შეხედულებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ოფიციალურად ტარდება სპეციალური საბიბლიოთეკო ღონისძიებები; ჰარმონიულ ატმოსფეროს ქმნის მკითხველთან ეფექტური მუშაობისათვის; ბიბლიოთეკარი ცდილობს, დროულად აღმოფხვრას კონფლიქტური სიტუაცია ბიბლიოთეკაში, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ბიბლიოთეკარის, ან მკითხველის მიზეზით;

12. სისტემატიურად იცავს და ამდიდრებს საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიულ გამოცდილებას, ინარჩუნებს ტრადიციული მუშაობის ფორმებსა და საშუალებებს, მიზანმიმართულად აახლებს მათ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

ბიბლიოთეკა ცოდნის აღზილი

1. ინფორმაცია და ცოდნა

1.1 ბიბლიოთეკა როგორც საინფორმაციო დაწესებულება

„ბიბლიოთეკები სპეციალურ საინფორმაციო სისტემებს წარმოადგენენ“ - ასეთია ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის მეცნიერების კრედიტული 1970-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე (კრიგი 1970, კაეგაინი 1973, ვიკერი 2004, 210-215). საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ონლაინ ბაზების განვითარების კონტექსტში ბიბლიოთეკები სულ უფრო და უფრო მეტად იკავებენ ინფორმაციის მიმწოდებელი დაწესებულების ადგილს. საერთაშორისო კონკურენციის პირობებში ელექტრონული საინფორმაციო სისტემების განვითარებას ბიბლიოთეკის მისცა „სპუტნიკის შოკმა“, რომელმაც თვალნათლივ აჩვენა, რომ თანამგზავრული ტექნოლოგიის განვითარების შედეგში ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლო გაემარჯვა, თუ მას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი სამეცნიერო ინფორმაცია უკეთესად დოკუმენტირებული და შესაბამისად უფრო საჭირო ფორმით დალაგებული ექნებოდა (ვაინბერგი, 1964). თუ „ინფორმაციისა და დოკუმენტაციის“ (იდე) როგორც სამუშაო სფეროს სათავეებს დავაჯირდებით, დავინახავთ, რომ საბიბლიოთეკო სისტემიდან მისი გამოყოფა მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სახალხო ეკონომიკურ მიზანს ემსახურებოდა. პაულ ოტლესა და ჰენრი ლა ფონტენის მიერ 1892 წელს დაფუძნებულ ბიბლიოგრაფიის საერთაშორისო ოფისში, რომელიც დოკუმენტაციის საერთაშორისო ფედერაციის წინამორბედი ორგანიზაცია იყო, დოკუმენტაციის წარმომავლობა სუპრანაციონალური და მსოფლიო ეკონომიკური მიზან-შეწონილობით განისაზღვრებოდა.

სპეციალური ბიბლიოთეკების ისტორია სხვა მხრივ უფრო და უფრო მეტად ამუღანებს პირდაპირ კავშირს ეკონომიკური პრაგმატიზმით განპირობებულ საჭიროებასთან. ასე მაგალითად, მე-19 საუკუნის შუახანებში ამერიკის შეერთებულ შტატებში სპეციალური ბიბლიოთეკების (მაგალითად, ნიუ იორკის სავაჭრო პალატის „სპეციალური ბიბლიოთეკები“- 1850 „ნიუ იორკ ტაიმსი 1851.) შექმნის პირველ ტალღას საფუძველი დაუდო ბრუკლინის ხიდის მშენებლობის დროს მყინთავეების ზედიზედ დაღუპვის ფაქტმა, რომლებიც „კესონის დაავადებით“ გარდაიცვალ-

ნენ. გერმანიაში იმ დროისთვის უკვე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, მათი გადაჩენა შესაძლებელი იქნებოდა, ეს ინფორმაცია ბიბლიოთეკებში რომ არსებებულყო და მათი იქ მოძებნა შესაძლებელი რომ გამხდარიყო (შდრ. ჰობოჰმი, 2008). ამ გამოცდილების ფონზე და ახალი საინფორმაციო სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმატებების გათვალისწინებით კომპიუტერების განვითარების ეპოქაში ბიბლიოთეკის გაგება მე-20 საუკუნის ბოლო მესამედიდან ამ ახალ პარადიგმას საფუძვლით ლოგიკურად დაუახლოვდა.

ახალი ტენდენციის გზამკვლევეები იყვნენ სასწავლო-კვლევითი დაწესებულებები. გერმანიაში თავდაპირველად იყო მცდელობა, კილნის უნივერსიტეტში დანერგილიყო თანამედროვე საბიბლიოთეკო მეცნიერება საკომუნიკაციო და საინფორმაციო მეცნიერული ასპექტების გათვალისწინებით (კაეგაინი, 1986), რასაც უმაღლეს სასწავლებლებში მალე მოჰყვა წმინდა საბიბლიოთეკო სასწავლო მიმართულებების თავდაპირველი სახელწოდებების შეცვლა პროფესიული დასახელებებით, როგორც იყო, მაგალითად, „საინფორმაციო მენეჯერი“ ან „ინფორმაციის მენეჯერი“. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ტენდენციას ეწოდა „საბიბლიოთეკო სკოლების „ბ“-სამყაროს დაცემა“, რომლებიც თავიანთ თავს ნაწილობრივ უფრო ს-სკოლებად (= საინფორმაციო სკოლები) მოიაზრებენ. მოგვიანებით საბიბლიოთეკო დაწესებულებების ინსტიტუციური კავშირი უფრო და უფრო დასცილდა სიტყვას „ბიბლიოთეკა“, რომელიც ჯერ იქცა მედიათეკად, შემდეგ საინფორმაციო, საკომუნიკაციო და მედია ცენტრად (სსმც), ბოლოს კომპიუტერისა და მედიის სერვისის (კმს) გაერთიანებით ორივე ტერმინი, ბიბლიოთეკა და ინფორმაცია, სახელწოდებიდან გაქრა და, მაგალითად, „გრიმების ცენტრის“ სახით, როგორც ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა თავის თავს უწოდებს, მუტაცია განიცადა.

საბიბლიოთეკო სამყაროს დაახლოებას საინფორმაციო ტერმინთან რეალური საფუძვლის გარდა, რომელიც სინამდვილეში ინფორმაციის მიწოდებას (ფართო გაგებით „საინფორმაციო მუშაობას“) ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ცენტრალურ ფუნქციად წარმოაჩენს, უპირველეს ყოვლისა, ჰქონდა მაკანონიზირე-

ბელი საფუძველი, რომელიც გამართლებული იყო ბიბლიოთეკებისა და საჯარო ბიუჯეტების კრიზისული საფინანსო იმიჯით. დაბალზღურბლიანი საინფორმაციო სერვისების - Wikipedia, Google, YouTube - მიმწოდებელი ინტერნეტის საყოველთაო გავრცელების შემდეგ ცხადი ხდება, რომ როლი, რომელსაც ბიბლიოთეკები საინფორმაციო სფეროში თამაშობენ, ერთმანეთისგან გასამიჯნია (მორვილი, 2005). იყო თუ არა წარმატებული სტარტეგია, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო წარმატებულ პარტნიორთან - „საინფორმაციო ტექნოლოგია“, ან „ინფორმაცია და დოკუმენტაცია“ - ასიმილაციის გზით ბიბლიოთეკების გადარჩენა, შეიძლება სადავო გახდეს (იოხუმი 2011). სინამდვილეში მრავალ შემთხვევაში, და არა მხოლოდ ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში, ინფორმაცია გამოიყენება როგორც სტატუსის განმაპირობებელი ტერმინი „ნაკლებ კონცეპტუალური თუ თეორიული ამბიციებით“ (კაპურო/პიორლანდი, 2006,). ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის მჭიდრო ურთიერთობის პრობლემატიკა და ამდენად დაშორება მედიისგან ზოგჯერ ნაწილობრივ რეალური მომხმარებლისგანაც, ახსნადია, თუ ზედმიწევნით დავაკვირდებით ინფორმაციის მანამდე არსებულ პირობებს (დეი, 2011).

2. ინფორმაციის თეორიიდან ცოდნამდე

მცდელობა, განისაზღვროს ინფორმაციის მცნება, სასწავლო დისციპლინა „ინფორმაციის არქიტექტურის“ ფუძემდებელს პეტერ მორვილს აგონებს მ. კ. ეშერის პარადოქსულ და ფანტასტიკურ შენობას მისი წრიული სტრუქტურით (მორვილი, 2005,). პრაქტიკულად ყველა სამეცნიერო დისციპლინა იყენებს ტერმინ ინფორმაციას როგორც არსებით ან სულაც ძირითად კომპონენტს სხვადასხვა არსებული ფუნდამენტური გაგებით: ფიზიკა (თერმოდინამიკა, კვანტური მექანიკა), ბიოლოგია (დნმ-ის მემკვიდრეობითი ინფორმაცია), საინჟინრო მეცნიერება (საინფორმაციო ტექნიკა), ეკომომიკური მეცნიერება (აღამ სმიტის „უხილავი ხელი“, საწარმო როგორც საინფორმაციო ქსელი, თამაშის თეორია) ან პოლიტიკური მეცნიერება და სოციოლოგია (მონაწილეობის კვლევა, რეგიონალური კვლევა) (შდრ. ფიშერი - 2010, ლოსმანი - 2004, გლაიკი - 2011, პიკოტი/რაიხგალდი/ვიგანდი - 2003, ნორთი - 2011, ნასეი - 2004, ბრამანი - 2006, კასტელსი - 1999, კაპურო/პიორლანდი - 2003,).

ინფორმაციისგან ძირითადი სუბსტანცია იქმნება („ინფორმაცია ინფორმაციაა და არა მატერია ან ენერჯია“: ნ. ვინერი) თუ ურთიერთობა („განსხვავება, რომელიც ქმნის განსხვავებას“: გ. ბატესონი), ინფორმაციის მცნე-

ბასთან დაკავშირებული ფართოდ გავრცელებული ეს ორი ფუნდამენტური მოსაზრება რომ დავასახელოთ, ტერმინი ორივე შემთხვევაში კონცეპტუალურად განსხვავებულ კონტექსტში დგას, რომელიც განსაზღვრავს მის გამოყენებას და ტერმინს საერთოდაც შინაარსს ანიჭებს: მას არ ჰყავს რეფერენტი რეალობაში, არამედ პეტეროგენულ საგნობრივ დისკუსიებში არის განსხვავებული კონცეფციების დასახელება („ნომინალური ერთეული“ - დეი 2011) საკუთრივ თეორია შეიქმნა ახალი ამბების ტექნიკის დახმარებით, რომელზეც საუბარია კლოდ შანონისა და ვარენ ვეავერსის მიერ 1948/49 წლებში შექმნილ წიგნში The Mathematical Theory of Communication, რომელმაც შექმნა ეპოქა და რომლის სათაურიც გერმანულად სამწუხაროდ ასე ითარგმნა: „ინფორმაციის თეორიის მათემატიკური საფუძველი“. ამ კვლევაში აღწერილია გამგზავნ-მიმღების მარტივი მოდელი, როგორ გადაიცემა სიგნალები A-დან B-მდე, რა ზეგავლენას ახდენს ხელის შემშლელი შიშინი გაგზავნილი სიგნალის გაფორმებაზე გადამცემ არხში და როგორ უნდა მოხდეს ამ პროცესის ტექნიკური დაანგარიშება. შანონს ამავედროულად ყველაზე მეტად აინტერესებს, გაგზავნილი ამბიდან თუ რა რაოდენობა მიღწევს ადრესატამდე: ის მიღებულ ინფორმაციას მათემატიკურად აიგივებს გადაცემული ამბის საბოლოო მდგომარეობის გაურკვეველობასთან (მოგვიანებით მას ეწოდა „ენტროპია“). მოსაზრების მიზანი იყო ახალი ამბის გადატანისთვის საჭირო დროის დაანგარიშება. ვევერი, რომელიც უფრო მეტად ქმნის ფილოსოფიურ ჩარჩოს, მეტ-ნაკლებად ექსპლიციტურად უდგება აქტუალურ სემიოტიკას (ხ. მორისი) და კიბერნეტიკას (ნ. ვინერი). ორივე მათგანი იზიარებს ლოგიკურ-ემპირიულ ან ტექნიკურ ტრადიციას. კვლევა ჩატარდა სატელეფონო კომპანიის ბელის დაკვეთით. „ინფორმაციის თეორიამ“ დიდი გავლენა იქონია შემდეგი პერიოდის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ განვითარებაზე, ვინაიდან მას აქვს მომხიბვლელობა ერთ „შთამბეჭდავად მარტივ“ ფორმულაში მოაქციოს კომპლექსური კონცეფცია (უმშეტეტერი 2011,). და ვინაიდან აქ საუბარია თეორიაზე, მისი გაიგივება ხდება (და მოხდება) „ინფორმაციის მეცნიერებასთან“.

მხოლოდ ბოლო წლებში გაისმის უფრო და უფრო ხშირად კრიტიკა ამ შეზღუდული ხედვის მიმართ. პეტერ იანიხი მის ფილოსოფიურ ესსეში „რა არის ინფორმაცია? ლეგენდის კრიტიკა“ (იანიხი 2006) მიუთითებს იმაზე, რომ ჯერ კიდევ ვევერმა სემიოტიკაზე მინიშნებით გახადა ნათელი, რომ თეორიას აინტერესებს მხოლოდ სტრუქტურა და სინტაქსი, ე.ი. ნიშნების ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ არა

ნიშნების დამოკიდებულება რეალობასთან (სემანტიკა) და არც მათი დამოკიდებულება ინტერპრეტაციასთან (პრაგმატიკა). კიბერნეტიკოსების წრეში (ნოიმანი, ვინერი, ბატესონი, ლიკლიდერი და სხვ.) ცნობილ შეხვედრაზე საუბრისას შანონის მიერ ნათქვამი სიტყვები „არასდროს თქვათ უარი შეხვედრაზე“ ნათელი და გასაგები ხდება (იხ. გლეიკი 2001, 4317 12916-დან). წმინდა სტრუქტურის დონემდე ინფორმაციის დაკნინება ამ გაგებას ნატურალიზაციის ან რედუქციონიზმის ელფერს ანიჭებს. იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს საინფორმაციო ნაკადების ტექნიკური გაგებით („მემკვიდრული ინფორმაციის“ წარმოდგენის შემთხვევაში ან კვანტური ფიზიკის პროცესებში) დროს დაანგარიშება, საჭირო ხდება მასის ერთეულის გამოძებნა, რომლის შედარებაც შესაძლებელი იქნება ფონემასთან ან სტრუქტურალისტური ლინგვისტიკის სემთან და რომელიც ნაპოვნი იქნა ბიტის ბინარულ სტრუქტურაში. სხვა შემთხვევაში სახელდება ინფორმაციის უმცირესი ერთეული „უ“ (რომელიც წარმოდგება უძველესი ალტერნატივიდან) ან „ინფონი“ (პოთონის ანალოგიით); შდრ. კაპურო/პიორლანდი 2003).

იმისთვის, რომ მსჯელობა სინტაქსის დონეზე არ დარჩეს, ამერიკელი ფილოსოფოსი ფრედ დრეტსკე 1981 წელს აყალიბებს სემანტიკური ინფორმაციის თეორიას, სადაც მას ინფორმაციის მიმდებთან (k) შემოაქვს ფონადი ცოდნის კონცეფცია და ამგვარად ინფორმაცია ფარდობითი ხდება. ინფორმაცია უკვე აღარ არის ბუნებრივი ერთობლიობა, არამედ არის რაღაც, რაც ცოდნისთვის საჭიროა და სხვადასხვა კონტექსტში, განსხვავებული ცოდნის ფონზე შესაძლოა სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი იყოს. სემანტიკა, როგორც კონცეფციის ბირთვი, აქ ჯერ კიდევ არ არის ცენტრალური მნიშვნელობის მატარებელი, მაგრამ იქმნება უფრო მეტი დამაკავშირებელი ამოსავალი წერტილები ინფორმაციის ანალიზისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიღმა, მაგ., კოგნიტიური მეცნიერებები, ანთროპოლოგია ან ქცევის კვლევა.

კარლ პოპერის სამი სამყაროს თეორიაზე დაყრდნობით ბერტრამ ბროკესი (1980) ავითარებს ცოდნის ფართო კონცეფციას ინფორმაციასთან კავშირში. იგი ფორმულის საშუალებით

$K[S] + \Delta I = K[S + \Delta S]$
 აჩვენებს, რომ ცოდნის სტრუქტურა $K[S]$ ინფორმაციის საშუალებით ΔI იცვლება $K[S + \Delta S]$ -დ სადაც ΔS ცვლილების მოცულობაზე მიუთითებს (ბროკესი 1980). იგი ამ, როგორც თავად ამბობს, „ფსევდო მათემატიკურ“ აღწერას ობიექტური ცოდნის მსგავსად (მაგ., კულტურული

არტეფაქტები) ექსპლიციტურად მიმართავს სუბიექტური ცოდნის (მაგ., სწავლა) ცვლილებების მიმართულებით და ბიბლიოთეკებს და საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებებს კონკრეტულ ამოცანად უსახავს მესამე სამყაროში დააკვირდნენ ობიექტური ცოდნის არტეფაქტების სტრუქტურების ცვლილებებს. ინფორმაციის ჯერ კიდევ გაბატონებული საბუნებისმეტყველო გაგების გვერდით ნელ-ნელა იქმნება „კულტურალისტური“ აღწერა ინფორმაციისა (იანიხი, 2006), რომელიც მნიშვნელოვან თეორიულ საფუძველს ქმნის ბიბლიოთეკის, როგორც საინფორმაციო დაწესებულების კონცეფციისთვის.

ორივე პერსპექტივის გაერთიანებით კარატ შოვმა 2000 წელს შემოგვთავაზა ინფორმაციის მოქმედების თეორიაზე დაფუძნებული დეფინიცია (მოქმედების თეორია), როგორც დაბალენერგეტიკული სიგნალის მახასიათებელი გამომწვევ მექანიზმთან კავშირში (კარტაშოვი, - 2000). ის ამით ბრუკსის ფორმულაში დელტას უმატებს დინამიურ კომპონენტს და ბიოლოგიურ-გენეტიკურ საკითხებთან დაკავშირების, გარდა შესაძლებელს ხდის დამყარდეს თეორიული კავშირი საინფორმაციო ქცევის ნეიროფიზიოლოგიური პროცესის ახალ აღწერასთან (პიროლი - 2007). დავით ბავდენი (2001) კი პირიქით - ექსპლიციტურად ეჭიდება ბროკეს ფორმულას და ბრუკსის ფუნდამენტურ ინფორმეტიულ მოსაზრებას („მესამე სამყარის აღწერა“) უკავშირებს საინფორმაციო ქცევის კვლევას და ამგვარად საინფორმაციო თეორეტიკის თვალსაზრისით აერთიანებს შესაბამის საწყობებს საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერების ფარგლებში.

3 ინფორმაცია და ცოდნა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებაში

1980-იანი წლებიდან საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მეცნიერებების დისკუსიებში გაჩნდა მოდელი, რომელიც პირამიდისებურად ან კიბის სახით წარმოადგენს იერარქიულ დამოკიდებულებას მონაცემებს ინფორმაციას, ცოდნასა და სიბრძნეს შორის. ის ცნობილი გახდა ინგლისურენოვანი აკრონიმის DIKW-იერარქიის (data - information - knowledge - wisdom შდრ., ჰობომი, 2010) სახელით. სოციალური მეცნიერების წარმომადგენელმა და ამერიკელმა პოლიტიკოსმა ჰარლან კლეველანდმა (1982) ერთ-ერთმა პირველმა აჩვენა ინფორმაციისა და ცოდნის ურთიერთობა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ცოდნის საზოგადოების კონტექსტში და, ვაინბერგის ანგარიშის მსგავსად, ცხადყო, რომ ინფორმაცია მნიშვნელოვანი რესურსია სახალხო ეკონომიკის თვალსაზრისით. ამერიკელი სისტემური თეორეტიკოსი

რუსელ ლ. აკოფტი ექსპლიციტურად ავრცობს კლეველანდის მოსაზრებას მონაცემებზე და სიბრძნეზე, რომელსაც იგი ურთავს გაგებას როგორც შემდგომ საფეხურს. ამის მსგავსად 1980-იან წლებში მარტინ ცელენს ამ ელემენტების იერარქიის კონცეფცია გადააქვს ცოდნის მწარმოებლურ მენეჯენტზე, მაშინ, როცა მოგვიანებით ბელინგერი იერარქიულ დონეებს შორის ურთიერთობას განიხილავს როგორც კომპლექსური სტრუქტურების მზარდ გაგებას. კლასიკურ ეკონომიკურ ურთიერთობებში უფრო შორს მიდის კლაუს ნორტი, რომლის „ცოდნის კიბე“ შემოკლებული ვერსიით შემდეგ ჯაჭვს ქმნის:

ნიშანს + სინტაქსი = მონაცემებს - ;
მონაცემებს + მნიშვნელობა = ინფორმაციას - ;
ინფორმაციას + კონტექსტი = ცოდნას - ;
ცოდნას + გამოყენება = შესაძლებლობას - ;
შესაძლებლობას + სურვილი = მოქმედებას - ;
მოქმედებას + სწორი მოქმედება = კომპეტენციას - ;
კომპეტენციას + თვითმყოფადობა = კონკურენტუნარიანობას.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ძირითადი მცნებების - ინფორმაციისა და ცოდნის - საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-სამეცნიერო ახსნისთვის DIKW-იერარქია არის მთავარი ნიმუში იმისა, თუ როგორ დაიყვანება თეორია საბუნებისმეტყველო ინფორმაციის დონემდე. ხშირად აქედან გამომდინარეობს ის, რომ სტრუქტურისებების და, ამდენად, ადამიანური გაგების გაზრდით ოთხივე კონცეფცია სისტემური სახით ერთმანეთზე აწყობილი. ოთხ საფეხურს ზოგჯერ სხვები ემატება, მაგ., „სიგნალი“ ან „ნიშანი“ როგორც ბაზისი მონაცემებისთვის ან „ახსნა“ და „ჭკუშმარიტება“ როგორც ულტიმატური ქვესაფეხურები.

DIKW-იერარქიის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-სამეცნიერო დისკუსიებში სათანადო სიზუსტით არ ხდება დაკვირვება „ცოდნის“ შემდგომ საფეხურზე, ან სულაც ხდება მისი მინქმალვა. კრიტიკა ამის შესახებ, რომელიც ადრეულ წლებში გამოითქვა (როზელი - 2007, ფრიკე - 2009), მიუთითებდა იმაზე, რომ არ იყო სათანადოდ განმარტებული არც იერარქიულ დონეებს შორის ურთიერთობა, არც იერარქიის „განაპირა საფეხურები“. კაპურო და იორლანდი (2003) ამიტომ გვთავაზობენ ამოვიდეთ არა მხოლოდ იერარქიული ურთიერთობიდან, არამედ სამეულის: მონაცემები - ინფორმაცია - ცოდნა კონცეფციიდან. მაგალითად, კარლ პოპერსის სამი სამყაროს თეორიის ან სემიოტიკის სახით.

DIKW დისკუსიასა და სემიოტიკურ სამეულზე (სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა) დაყრდნობით საინფორმაციო მეცნიერე-

ბის კონსტანცელი წარმომადგენელი რაინერ კულენი ავითარებს გერმანულენოვან სივრცეში ფართოდ გავრცელებულ განმარტებას ინფორმაციის შესახებ, რომელიც მას განიხილავს „როგორც ცოდნას მოქმედებასა და კონტექსტში“ (შდრ. კულენი, 2004). ამასთან მნიშვნელობა, რომელმაც დაჩრდილა შანონის ინფორმაციის თეორია, ვინაიდან ინფორმაციის გამოყენებაზე გააკეთა აქცენტი, ისევე აქტუალური გახდა. ეს პრაგმატული პრიმატი განსახდვრავს ბიბლიოთეკების საინფორმაციო სამუშაოს, მაგალითად, მომხმარებელზე ორიენტირებული ასპექტით, რომელიც დღეს ძირითადია. საინფორმაციო თეორიის თვალთახედვიდან ეს მაინც არის ბროკემის ფორმულის უკან დაბრუნება, იგულისხმება დოკუმენტებთან და საჯაროობასთან მომუშავე ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის მეცნიერებაში მოღვაწე ექსპერტების გამოკითხვის მიხედვით, რომელიც ჩატარდა 2007 წელს მსოფლიოს მასშტაბით, ხაიმ ცინსი შენიშნავს, რომ ხდება კულტურალისტური საწყისისა და DIK(W) იერარქიის ფართოდ აღიარება (ცინსი 2007 - 488). ის აჩვენებს, რომ პრაქტიკულად ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის მეცნიერების ყველა წარმომადგენელი იზიარებს კოგნიტიურ საწყისს (მექანიკური საბუნებისმეტყველო სამეცნიერო თეორიისაგან განსხვავებით). ეს ყოველთვის ასე არ იყო, რადგან ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის მეცნიერებაში დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებული იყო ინფორმაციის ნატურალისტური პარადიგმა, რომელიც ინფორმაციის მოპოვების მექანიკურ პროცესზე კონცენტრირდებოდა. აქ ისმოდა კითხვა, რამდენი და რომელი სისტემით იქნებოდა შესაძლებელი ინფორმაციის მოპოვება დოკუმენტების შენახვის ადგილიდან (მონაცემთა ბანკიდან). კოგნიტიურმა საწყისმა ფეხი მოიკიდა მხოლოდ მოგვიანებით და მის საწყისად ხშირად მიიჩნევენ ნიკლას ბელკინის ASK-ის („anomalous state of knowledge“ ქართ.: არანორმალური ცოდნის მდგომარეობა) ჰიპოთეზას (1980). არანორმალური ცოდნის მდგომარეობას ადამიანი შეიგრძნობს როგორც ინფორმაციის მოძიების სურვილის „გამომწვევს“. ამ პარადიგმის ცენტრში დიდი ხანი იდგა ამის შედეგად გამოწვეული ინფორმაციის ძიების პროცესის აღწერის მცდელობა. ინფორმაციასთან დაკავშირებული ქცევის კვლევას შეუძლია აჩვენოს შედეგების მთელი წყება, ადამიანთა რომელი ჯგუფი ინფორმაციის დამუშავებისა და სწავლის პროცესის რა სტადიაში რა ქცევას ავლენს (ფიშერი/ჯულიენი - 2009). სინამდვილეში ეს რომ პარადიგმის ცვლილებაზე მიუთითებს, ამას ამტკიცებს ინგვერსენისა და

იერველინის დეტალური მონოგრაფია (2004).

რონალდ დეი (2011) და პეტერ ფრომანი (2004, 2009) დიდი ხანია ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მომხმარებელზე ორიენტირებული ინფორმაციის კოგნიტიური კონცეფცია არ შეესაბამება ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო დაწესებულებების მიერ შესასრულებელი, ინფორმაციასთან დაკავშირებული სამუშაოს მოთხოვნებს. ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის მეცნიერებაში კვლავაც აქტუალური ხდება კომუნიკაციის მატერიალიზება და ცოდნის პრო-

ცესის ანალიზის უმეტესად არა სუბიექტური გამოყენება, როგორც ეს მიხეილ ფუკოს ან ბრუნო ლატურის შემთხვევაში იყო.

ამ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას 1991 წელს ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის მეცნიერების წარმომადგენელი მიხაელ ბუკლანდი, რომელიც ინფორმაციის გამოვლინების ოთხი ფუნდამენტურ ფორმას აღწერს და უმთავრეს ამოცანად წარმოაჩენს ინფორმაციის მატერიალიზებულ ასპექტს:

	არამატერიალური	მატერიალური, საგნობრივი
საგანი	ინფორმაცია, როგორც ცოდნა: ცოდნა	ინფორმაცია, როგორც საგანი: მონაცემები, დოკუმენტები
პროცესი	ინფორმაცია, როგორც პროცესი: ინფორმირებულობა	ინფორმაციისა და მონაცემების დამუშავება

ინფორმაციის ოთხი ასპექტი (ბუკლანდის მიხედვით 1991)

საინფორმაციო ტექნოლოგიების მასობრივ გავრცელებამდე კონცეფციის ამგვარი უკუგააზრება, „სამყაროს რედოკუმენტირება“ (შდრ. ლუნდი - 2009; ორომი - 2007), საინფორმაციო ეკონომიკის გამოყენებით, რომელიც საზოგადოებისთვის განმსაზღვრელია, დღეს საფრანგეთში და სკანდინავიის ქვეყნებში დისკუსიის საგანია. ეს სავარაოდ კავშირშია დიგიტალურ ეპოქაში ანალოგის ხელახლა აღმოჩენასთან, რისი განცდაც ადამიანს ეუფლება სივრცის ხელახალი აღმოჩენისას, როცა ბიბლიოთეკის ახლანდელ შენობას ხედავს.

4 ინფორმაცია და ცოდნა. ბიბლიოთეკის ფუნქცია

ამგვარი ფუძემდებლური კონცეფციებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს სტრატეგიული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ბიბლიოთეკის სამუშაო და ფუნქცია (პრობომი - 2012). ისტორია, თუ როგორ

ჰქონდათ ეს ყოველივე თავად ბიბლიოთეკებს წარმოდგენილი, ცხადყოფს შემდეგს: ბიბლიოთეკა თავდაპირველად თავის თავს მხოლოდ და მხოლოდ წიგნების თავმოყრის ადგილად განიხილავდა, დღეს უკვე თავს საინფორმაციო და საგანმამათლებლო დაწესებულებად მიიჩნევს. იგი სერიოზულად უდგება საინფორმაციო დაწესებულების ვალდებულებას. იქცევა კიდევ როგორც საინფორმაციო დაწესებულება და ნაცვლად იმისა, რომ მოახდინოს შეკრებილი ობიექტების როგორც უბრალოდ საგნების კატალოგიზაცია, ცდილობს, როგორც ეს ბევრ სპეციალურ ბიბლიოთეკაში ხდება, დეტალურად მიაწოდოს მის მომხმარებელს, შეკრებილი ობიექტებში არსებული ინფორმაცია. საინფორმაციო დაწესებულებად თვითშეფასებას შეიძლება ასევე შედეგად მოჰყვეს ის, რომ იგი საინფორმაციო ეკონომიკის მსგავსად, თუ მასთან მოვახდენთ შედარებას, ფიქრობს იმაზე, რომელ ბაზარზე რა ადგილი უნდა დაიკავოს



მისმა „პროდუქტმა“. ეს გულისხმობს ზუსტ რეფლექსიას საკითხზე ისეთი სიკეთის შესახებ, როგორცაა საინფორმაციო მომსახურება, რომელიც, მაგალითად, „პირველი ასლის ხარჯის ეფექტის“ სახით ცალსახად გამოცდილ, სანდო ხასიათს ავლენს და ხასიათდება ქსელური ეფექტითა და რთულად განხორციელებადი გამორიცხვის პროცესით, რისი მნიშვნელობაც მხოლოდ მოგვიანებით ხდება საგრძნობი. მისი განხორციელების დროს მომხმარებელი პროცესში ინტეგრირებულია და ამის სიკეთის სახით მატერიალიზება უმეტესად შეუძლებელია. ბაზარზე ორიენტირებულ საინფორმაციო ეკონომიკაში ბიბლიოთეკა როგორც საინფორმაციო დაწესებულება სინამდვილეში იქცევა როგორც ბაზრის მონაწილე, ბაზრის კვლევისა და პროდუქციის კონცეფციის გათვალისწინებით, რის მაგალითსაც აჩვენებენ წარმატებული ბიბლიოთეკები. და ეს ყველაფერი ხდება, უპირველეს ყოვლისა, საგანმანათლებლო დაწესებულების როგორც არა მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციის, კონტექსტში, ვინაიდან ბიბლიოთეკა ვაინბერგის დოკუმენტირების მოდელით ხელმძღვანელობს, რომლის მიხედვითაც იგი საინფორმაციო საზოგადოებაში სახალხო ეკონომიკური შინაარსის მქონე მნიშვნელოვანი პარტნიორი უნდა იყოს, ყოველი ინვესტიცია, რომელიც ბიბლიოთეკის მიმართულებით ხორციელდება, საყოველთაო სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს. სინამდვილეში რამდენიმე წელია, უკვე მრავალი ბიბლიოთეკის შემთხვევაში შედეგების კვლევის ან მნიშვნელობის შეფასების სახით, ეს ასეც ხდება (ჰობომი - 2007).

საინფორმაციო-თეორეტიკულ მოსაზრებებს და, აქედან გამომდინარე, დებატებს აქვთ კონკრეტული შედეგი საბიბლიოთეკო სამუშაოსთვის. სამეულის საკვლევად კლასიკური საინფორმაციო-ტექნიკური პარადიგმის არჩევისას ბიბლიოთეკები განიხილებიან როგორც ავტომატიზირებული დაწესებულებები, სადაც საინფორმაციო სისტემებიც ელექტრონული მიმართულებით ვითარდება.

დიგიტალური ბიბლიოთეკის კონცეფცია, რომელსაც წლებია მხარს უჭერს გერმანიის მთავრობა (მაგ.: თესოსის პროგრამით), ცალსახად მისდევს ამ მოდელს. აგრეთვე „სემანტიკური ვებ“-ის ტერმინის ქვეშ მოაზრებულ განვითარების პროცესს მიზნად აქვს დასახული საინფორმაციო პროცესის შორსმიმავალი

გამექანიკურება. თუ ინფორმაციის ნატურალიზების პროცესის კრიტიკას გავეყვებით და თუ ინფორმაციისა და ცოდნის კულტურალისტურ აღწერას მივანიჭებთ უპირატესობას, თვალსაწიერზე გამოჩნდება მომხმარებელი მისი საკუთარი სემანტიკით დალაგებული ცოდნის სტრუქტურით და მეტწილად პერსონიფიცირებული საინფორმაციო მომსახურება ცენტრალურ ადგილს დაიკავებს. ასეთია, მაგალითად, კონსულტაცია, სწავლება, მოთხოვნის ოდენობაზე მორგებული სერვისი. დრესკესა და ბროკესის ფორმულებს ცალსახად მივყავართ ჰერმენევტიკისა და დიდაქტიკის საკითხებამდე. აქ საჭიროა ნათლად განიმარტოს, რა ადგილი უჭირავს ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულების, როგორცაა ბიბლიოთეკა, საინფორმაციო მუშაობას სუბიექტური ან ობიექტური ცოდნის სტრუქტურებში? გამომწვევი მექანიზმის შესახებ კარპახოვის იდეა საინფორმაციო პროცესის ბირთვის შესახებ ბიბლიოთეკის ინტერესებს მიმართავს ინფორმაციის ფსიქოლოგიის მიმართულებით, მაშინ, როცა „3 სამყაროს“ ობიექტური ცოდნის სტრუქტურის გარშემო დისკუსია ბიბლიოთეკის შეფასების ინფორმეტრულ აქტივობას, რომელზედაც მოთხოვნა უფრო და უფრო მზარდია, სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ცოდნის კიბის იდეა, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს საბიბლიოთეკო საქმიანობის ამოსავალ წერტილებს, რომლებიც ბოლო უკნასკნელ წლებში მართლაც შესაფერისად განვითარდა. თუ კიბეზე ასვლას პირველი საფეხურიდან დავიწყებთ, ცხადი გახდება, რომ ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მონაცემთა კვლევის მენეჯმენტში იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკა სულ უფრო და უფრო მეტად არის მონაცემებზე დამოკიდებული და ესეც სამომავლოდ „საბიბლიოთეკო მონაცემების“ ფუნქციად ჩამოყალიბდება (პამპელი და სხვ. - 2010, ბიუტნერი და სხვ. - 2011). DIKW-იერარქიაში საფეხურებს და პირველ რიგში ინფორმაციასა და ცოდნას შორის ურთიერთობის განსაზღვრისას, სულ მცირე, ის მაინც ხდება ცხადი, რომ ცოდნას, როგორც ამოსავალ წერტილს, საინფორმაციო მუშაობის დროს გვერდს ვერ აუვლი. ბიბლიოთეკებსა და ინფორმაციის შემკრებ ადგილებში, როგორც წესი, ინფორმაციის თავმოყრა ემსახურება არა თვითმიზანს, არამედ ის ცოდნის სტრუქტურირებისა და აგების კუთხით არის ნიშნელოვანი.



სპეციალურმა და განსაკუთრებით საწარმოო დაწესებულებების ბიბლიოთეკებმა ნაბიჯი ცოდნის კიბეზე ცოდნის მენეჯმენტის მიმართულებით მეტ-ნაკლებად სწრაფად გადადგეს, რასაც ჯერ კიდევ 1990-იან წლებში წინასწარმეტყველებდა ეკონომიკის დარგის ორი ამერიკელი მეცნიერი ლავრანს პრუსაკი და თომას დავენპორტი: „აფეთქეთ თქვენი საწარმოს ბიბლიოთეკა“. გლობალური დიგიტალიზაციისა და კონცერნების სტრუქტურის დაქსელვის, და არა მხოლოდ ამის გამო ბოლო უკანასკნელ ორ ათწლეულში ფიზიკურად დაიკეტა არა ერთი საწარმოს ბიბლიოთეკა და გარდაიქმნა ცოდნის მენეჯმენტის სტრუქტურად. მენეჯმენტის კონტექსტიდან წარმომდგარი ცოდნის მენეჯმენტის შესახებ მთავარი მოსაზრება არის იმპლიციტური ცოდნის, როგორც კონკურენციის პირობებში ორგანიზაციისთვის შესაძლო უპირატესობის აქტივირება (იმპლიციტურიდან ექსპლიციტურ ცოდნამდე). ბიბლიოთეკისა და ინფორმაციის მეცნიერების ჰუმანოცენტრი-სტული კოგნიტიური ხასიათის გამო საწარმოო ეკონომიკის ცოდნის მენეჯმენტში ადამიანს, როგორც სიციალურ არსებას და ცოდნის კაპიტალს - მოწინავე ადგილი უკავია. ცოდნა შემდეგი მარტივი (არც თუ არამათემატიკური)

ფორმულით გამოისახება:

$$K = I + P$$

ეს ნიშნავს, რომ ცოდნა არის ინფორმაციას + ადამიანი (ადამიანები). პირადი, რეალური შეხვედრა ადამიანისა ადგილთან და ვითარებასთან (იაპ. „ba“, შდრ. ნონაკა/კონო - 1998), რაც ხელს უწყობს ცოდნის გაცვლა-გაზიარებას, ბევრისთვის არის წარმოების ცოდნის მენეჯმენტის მოკლე გზა: ბიბლიოთეკარი ეძებს ან ხელს უწყობს შეხვედრას ცოდნის მოდერაციისთვის. აქ იყრის თავს ინფორმაციისა და ნევროლოგიის ფსიქოლოგისთან დამაკავშირებელი უფრო ახალი კონცეფციები. იქმნება საინფორმაციო პროცესის იმაზე უფრო კომპლექსური სურათი, ვიდრე ამას აქმდე შანონისეული ტრადიცია აჩვენებდა. ინფორმაციის პროცესში კვლავაც შეეწყობა თუ არა ბიბლიოთეკა ანალოგის ამ ფორმებს (უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებში ჯგუფური სამუშაო სივრცის მოწყობით, სამეცნიერო თემებზე ბიბლიოთეკის კაფეებში „ვორკშოპების“ ორგანიზებით) ან ხანგრძლივად იქნება თუ არა იგი დაკავშირებული დოკუმენტების მატერიალიზებასთან, ამას დრო გვიჩვენებს.

თარგმნა თამარ ნაცვლიშვილმა


ნიგნისა და პერიოდიკის ისტორია

გურამ თაყნიაშვილი

ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობითი პერიოდიკის სათავეებთან

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველსავე წლებში პარტიამ და მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება დაუთმო საბიბლიოთეკო ქსელის მოწყობისა და ბიბლიოთეკების, როგორც იდეოლოგიური დაწესებულებების, მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. მთავრობას წიგნი მიაჩნდა საბჭოთა იდეოლოგიის ხალხის მასებთან მიტანის მძლავრ საშუალებად. იმ დროისათვის არსებული სახალხო ბიბლიოთეკები და თბილისში მოქმედი ათიოდე სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავიანთ მუშაობაში განუყრელად ატარებდნენ პარტიული იდეოლოგიის პრინციპს, აკომპლექტებდნენ რა ბიბლიოთეკებს მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური შინაარსის გამო-

ცემებით. ბიბლიოთეკების დამფუძნებლები, აქ მომუშავე პერსონალი და პროფესიონალთა ვიწრო ჯგუფი საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ნერგავდა რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკებში გავრცელებულ ფორმებსა და მეთოდებს; 1923 წელს თბილისის სკოლის გარეშე განათლების სახელთან დაარსდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი, სადაც კოლექტიურად წყდებოდა ბიბლიოთეკების მოწყობის პრაქტიკული საკითხები; ამავე დროს ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა საბიბლიოთეკო ტერმინოლოგიის, ათწილადი კლასიფიკაციისა და წიგნების მეცნიერული დამუშავების საკითხებს. ასეთი პროფესიული საკითხების მეცნიერულ და მეთოდოლოგიურ დონეზე გადაწყვეტისათვის





საბიბლიოთეკო საქმის მესვეურებს აუცილებლად მიაჩნდათ პროფესიული პერიოდული ორგანოს დაარსება, რომელიც ერთგვარად ხელს შეუწყობდა მოწინავე საბიბლიოთეკო გამოცდილების პოპულარიზაციას და შეიმუშავებდა რეკომენდაციებს სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში პროფესიული პრობლემების მეცნიერულ დონეზე გადასაჭრელად.

ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტმა ი. ციციშვილის ხელმძღვანელობით თავი მოუყარა ბიბლიოთეკებში მომუშავე ინტელექტუალურ ძალებს. კაბინეტის ინიციატივით 1925 წლის თებერვალში გამოიცა ჟურნალი "მწიგნობარი". იგი წარმოადგენდა "ახალგაზრდა ქართველ ბიბლიოთეკართა წრის ორგანოს". ჟურნალი გამოიცა მანქანაზე გადაბეჭდილი სახით, როგორც ორკვირეული ფურცელი. ჟურნალის სარედაქციო წერილში აღნიშნულია, რომ მალე გამოიცემა ბეჭდური სახით ჟურნალ "წიგნის მეგობრის" პირველი ნომერი, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი "ვერავხით პასუხს ვერ გასცემს საბიბლიოთეკო საქმის წინაშე თანამედროვე ეტაპზე არსებულ ყველა საკითხს. ამიტომ დაარსდა ჟურნალი "მწიგნობარი", რომელიც "ადვილებს ბიბლიოთეკების ურთიერთობას და აღვივებს აზროვნებას".

ჟურნალში დაბეჭდილი მცირე მოცულობის საინფორმაციო ხასიათის სტატიები ეხება საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ

საკითხებს: ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლება, ათწილადი კლასიფიკაცია, წიგნების ტექნიკური და მეცნიერული დამუშავება აღნიშნულია, რომ "საბიბლიოთეკო საქმე არის საგანგებო პროფესია და სპეციალობა". ჟურნალში ასახული იყო სკოლისგარეშე განათლების სახლთან არსებული კურსების მუშაობის, საბიბლიოთეკო გამოკვლევებისა და სხვა საკითხები. ჟურნალში, როგორც წესი, დიდი ყურადღება დაეთმო პარტიის მე-12 ყრილობის რეზოლუციებს. აღნიშნული ჟურნალის მე-2 ნომერი გამოიცა იმავე 1925 წლის აპრილში. სარედაქციო წერილში რედაქცია გულისტკივილით წერს: "არსებობს ტფილისში საჯარო ბიბლიოთეკა (დაარსდა 1846 წელს) სასახლის შენობაში, და მეორე საქართველოს მუზეუმის წიგნსაცავი, "ფაქტურად ვერც ერთით ვერ ვსარგებლობთ". საჯარო მხოლოდ სახელით, ვინაიდან არ არის თავისუფალი შესვლა, საჭიროა სხვადასხვა ნებართვა და სურათები, "ყველაზე მიუწვდომელი ბიბლიოთეკა ჩვენი საჯაროა". მუზეუმში შესვლა ყველასთვის ნებადართულია, მაგრამ თვითონ წიგნები მიუწვდომელია", 1911 წლიდან "წიგნი დამარხულია ყუთებში, საგანგებოდ აშენებულ მაჯოლეუმებში და ესაჭიროება სამოქალაქო პანაშვიდის გადახდა". - წერს ვ. ბროსსე. სხვა ავტორის წერილები ეხება ათწილადი კლასიფიკაციის საკითხებს (ნ. ლორთქიფანიძე) ბიბლიოგრაფიული მუშაობის პრობლემებს





(გ. ბაქრაძე), ქართული წიგნის ისტორიას (დ. კარიჭაშვილი). ჟურნალის პირველი და მესამე ნომრების კორექტურა და სათაურების ხელით წარწერა ეკუთვნის ნ. ლორთქიფანიძეს. იმავე წლის მაის - ივნისში რუსულ ენაზე გამოიცა აღნიშნული ჟურნალის 3-4 ნომრები ერთ წიგნად - "Мцигнобари". თავფურცელი ორენოვანია. სარედაქციო წერილში აღნიშნულია, რომ რუსულ ენაზე ჟურნალის გამოცემა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ეროვნული უმცირესობები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ნაკლებად ფლობენ სახელმწიფო ენას.

რუსული ვარიანტი უფრო სქელტანიანია და შეიცავს 61 გვერდს. ამ ნომერში გამოქვეყნებული სტატიებიდან ყურადღებას იპყრობს ვ. ბროსეს, ნ. ლორთქიფანიძის, დ. კარიჭაშვილის და სხვა ავტორთა სტატიები. ჟურნალის ტექსტს წითელ ზოლად გასდევს ლენინის ლოზუნგი "წიგნი მასებს". ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები საჯარო ბიბლიოთეკების, კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ. როგორც აღნიშნული იტყობინება, 1929 წლიდან სავალდებულო ცადებს დებულობდა თბილისის საჯარო, მუზეუმისა და ზოგიერთი აკადემიური ბიბლიოთეკა. მე-3 და მე-4 ნომრებში ჯეროვანი ადგილი უკავია მკითხველებთან მუშაობას, ბიბლიოთეკების დახმარების კვირეულების საკითხების გაშუქებას.


ჟურნალ "მწიგნობარის" სამივე ნომრის

მოკლე მიმოხილვა ნათლად ცხადყოფს ბიბლიოთეკართა წადილსა და მონდომებას პროფესიული ჟურნალის დაარსების აუცილებლობის შესახებ, აღნიშნულმა ჟურნალმა ერთგვარად შეამზადეს ნიადაგი პირველი ბეჭდური პროფესიული ჟურნალის გამოსაცემად.

1925 წელს სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებული საბიბლიოთეკო და საბიბლიოგრაფიო კაბინეტის ინიციატივით გამოიცა პირველი ბეჭდური საბიბლიოთეკო ჟურნალი "წიგნის მეგობარი" № 1-2. ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორები იყვნენ: გ. ყურულაშვილი, ლ. რუსაძე. ჟურნალის გამოცემას მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველო. გამოქვეყნებული სტატიებიდან ყურადღებას იპყრობს: "ჩვენი ამოცანები", რომელშიც ი. ციციშვილი აღნიშნავს, რომ "ჩვენში საბიბლიოთეკო საქმე ჩამორჩენილია, საბიბლიოთეკო საქმის გარშემო სრული გულგრილობა და სიჩუმე სუფევს". კლასიფიკაციის საკითხებზე გამოქვეყნებული სტატიის ავტორს ნ. ლორთქიფანიძეს ათწილად კლასიფიკაციაში რელიგიის (მე-2 განყოფილება) ცალკე განყოფილებად გამოყოფა მიაჩნია "ბურჟუაზიული გადახრის მაჩვენებლად". ჟურნალში გამოქვეყნებულია საბიბლიოთეკო ტერმინები სამ ენაზე - შემდგ. გ. ბაქრაძე. სხვა სტატიებიდან აღნიშნის ღირსია: დ. კარიჭაშვილის სტატია I ქართული ნაბეჭდი წიგნის შესახებ. ი. ციციშვილის სტატია "პირველი ქართული ექვსკვირიანი კურსების შესახებ".

ჟურნალის რედაქციას მართებულად მიაჩნია იმ დროისათვის საბიბლიოთეკო საქმის სრული ტრანსფორმაცია და ახალი მეთოდის შეგუება ჩვენს პირობებთან. აღნიშნული ჟურნალი უფრო ვრცლად გვაქვს მიმოხილული ჟურნალში "საქართველოს ბიბლიოთეკა" (№1 - 2000) და ჩვენს ნაშრომში "ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება საქართველოში" (თბ, 1989 - გვ. 40). "წიგნის მეგობარი" პირველი წარმატებული ცდა იყო

აქ მიმოხილული ჟურნალების თითოეული ნომერი, მასში გამოქვეყნებული სტატიები, კორესპონდენციები და მიმოხილვები ნათლად მიუთითებს ბიბლიოთეკართა და ბიბლიოთეკათმცოდნეთა აქტიურ დამოკიდებულებაზე საბიბლიოთეკო დარგში არსებული პრობლემებისადმი, მათ სურვილზე - ეძებონ მათი გადაჭრის გზები და საშუალებები. დღევანდელი გადასახედიდან თუ მიუვდებით ჟურნალ "წიგნის მეგობარში" დაბეჭდილ ცალკეულ მასალებს, ნათლად დავინახავთ, რომ იმ დროისათვის



წამოჭრილი პრობლემების ერთი ნაწილი დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ამ ქურონალების გამოცემიდან მომდევნო პერიოდში პერიოდულად გამოიცემოდა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები (1934-1940, 5 წიგნი). საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის პერიოდული ორგანო "ბიბლიოგრაფიის მოამბე" (5 ტომი 3 წიგნად), კონფერენციებისა და საბიბლიოთეკო ფორუმების ამსახველი მასალების კრებულები და სხვა ხასიათის ერთჯერადი გამოცემები. მათში აისახა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის თეორიისა და პრაქტიკის მდგომარეობა, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის სათავე დაედო პირველ პროფესიულ ჟურნალს "საქართველოს ბიბლიოთეკა", რომელიც უკვე მე-15 წელია სისტემატიურად აშუქებს საქართველოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების საკითხებს, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას ბიბლიოთეკებში, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას საბიბლიოთეკო ცხოვრებაში, რითაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქართული საბიბლიოთეკო აზროვნების განვითარებაში.

მანია მიქაბერიძე


დასჯილი წიგნი

ქართული წიგნის ისტორიაში ცნობილია ბევრი ისეთი გამოცემა, რომელიც შეიძლება არ გამოირჩეოდეს მაღალი პოლიგრაფიული დონით ან სიძველით, მაგრამ მაინც საინტერესოა თავისი განსაკუთრებული ბედის გამო. ერთ-ერთი ასეთი წიგნია ბიბლიოგრაფიკორგი ბაქრაძის მიერ შედგენილი "ქართული პერიოდის ბიბლიოგრაფია. 1819-1945". წიგნის შემდგენელმა, ნამდვილმა პროფესიონალმა და კეთილსინდისიერმა ბიბლიოგრაფმა, სრულად აღწერა 1819-დან 1945 წლამდე გამოსული ქართული ჟურნალ-გაზეთები. გამოცემიდან ცოტა ხანში ეს წიგნი აიკრძალა. მაღაზიებიდან ამოიღეს გაუყიდავად დარჩენილი ცალეუბი და უტილიზაცას დაუქვემდებარეს, ხოლო

ბიბლიოთეკების ეგზემპლარები საერთო მოხმარების ფონდებიდან გადაიტანეს დახურულ ფონდებში.

თითქოს გაუგებარია, რას უნდა შეეშინებინა ხელისუფლება. ბოლოსდაბოლოს, ეს ხომ უბრალოდ ბიბლიოგრაფია იყო, ე.ი. გარკვეული წესებით შედგენილი ჟურნალ-გაზეთების სია და მეტი არაფერი. არც გ. ბაქრაძე იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი გმირი. იგი იყო სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომელი და ეს სამუშაო შეასრულა დირექციის მიერ შედგენილი გეგმის შესაბამისად.

როგორც ჩანს, საბჭოთა ხელისუფლება დააფიქრა მიღებულმა შედეგმა - ბიბლიოგრა-




ფიაში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ გასაბჭოებამდე საქართველოში ბოლშევიკურ პრესაზე უფრო მეტი რაოდენობით გამოდიოდა არაბოლშევიკური პრესა. არა და, საბჭოთა პროპაგანდა ხალხს არწმუნებდა, რომ მოსახლეობაში ბოლშევიკური შეხედულებები იყო უფრო გავრცელებული და ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთების უმეტესობაც სწორედ ბოლშევიკური იყო. გ. ბაქრაძის ბიბლიოგრაფიამ საპირისპირო სურათი აჩვენა - საქართველოს გასაბჭოებამდე პარტიულ გამოცემათა უმეტესობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის იდეოლოგიურ მიმართულებას გამოხატავდა. იყო აგრეთვე დიდი რაოდენობით სოციალ-ფედერალისტური და ეროვნულ-ლიბერალური მიმართულების პერიოდიკა. ამათ ემატებოდა ანარქისტული და სხვაგვარი ჟურნალ-გაზეთებიც. პარტიული გამოცემების საერთო მოცულობაში ბოლშევიკურ პრესას დაახლოებით მესუთედი ეკავა.


ეს უბრალო არითმეტიკა იმის მაჩვენებელი იყო, რომ 1921 წლამდე ბოლშევიკური იდეოლოგია არ იყო პოპულარული საქართველოს მოსახლეობაში. აქედან კი ადვილად შეიძლე-

ბოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბოლშევიკური, ე.ი. კომუნისტური ხელისუფლება ძალიან და, თანაც გარედან, თავსმოხვეული ხელისუფლება იყო.

ეს ბიბლიოგრაფია გამოიცა 1947 წელს, საქართველოს ანექსიიდან 26 წლის შემდეგ. ამ ფაქტის თვითმხილველებიდან ბევრი დაიღუპა ჯერ სასტიკი რეპრესიების გამო 20-იან და 30-იან წლებში, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომში, ხოლო ცოცხლად დარჩენილები კი ისეთი წნეხის ქვეშ მოექცნენ, რომ შიშით ხმას ვეღარ იღებდნენ. ახალი თაობის ცნობიერება მთლიანად დამოკიდებული იყო ხელისუფლების მიერ მიწოდებულ შეთხზულ ინფორმაციაზე. ერთი სიტყვით, აქტიურად მიმდინარეობდა, როგორც იტყვიან, „ტვინების გამორეცხვის“ პროცესი. ამ ფონზე კი ბიბლიოგრაფიიდან მიწოდებულ უტყუარ ფაქტებს შეეძლო სხვაგვარად დაეფიქრებინა ახალგაზრდა თაობა. იმ პერიოდში ადამიანებს სიმართლის თქმა თავისუფლებისა და, ზოგ შემთხვევაში, სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ. და, რაც ვერ შეძლო ადამიანმა, მისდა უნებურად გააკეთა წიგნმა - თქვა სიმართლე.

აი, ამიტომ აღმოჩნდა რეპრესირებული ეს,





ერთი შეხედვით უწყინარი წიგნი. საბჭოთა ხელისუფლებას თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე გასაგები მიზეზის გამო მეორედ აღარ გაურისკავს ქართული პერიოდიკის სრული ბიბლიოგრაფიის გამოცემა.

გ.ბაქრაძის წიგნი დაიბეჭდა 2150 ტირაჟით და დღეს ძალიან ცოტა ეგ ზემპლარია შემორჩენილი. ამიტომ, თუ თქვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში ძველ წიგნებს შორის შემთხვევით აღმოაჩენთ გ. ბაქრაძის წიგნს „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819-1945“, არ გადგდეთ. ნურც „სამაკულატურედ“ გაიმეტებთ. იცოდეთ, რომ ეს ნატანჯი წიგნია და თავის წილ პატივისცემას იმსახურებს.

გადმობეჭდილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტბლოგიდან

რედაქტორისაგან

გიორგი ბაქრაძის წიგნი „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ წარმოადგენდა სადისერტაციო ნაშრომს, რომელიც ასახავს საქართველოს პერიოდიკის ისტორიას. ამდენად, ნაშრომი მხოლოდ ბიბლიოგრაფიულ

მონაცემთა ჩამონათვალს კი არ წარმოადგენს, არამედ მასში მოცემულია ყოველი დასახელების განვითარების ისტორია. დასახელებულია გამომცემლები, რედაქტორები, კოლეგიათა წევრები, რომელთა შორის ბევრი რეპრესირებული აღმოჩნდა.

გ. ბაქრაძემ, ცხადია, თავის დახასიათებებში წინასწარ გაითვალისწინა იდეურ-პოლიტიკური ფაქტორები, მაგრამ აღწერილობის დადგენილი წესების თანახმად, არ შეიძლებოდა არ დასახელებულიყო ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამა თუ იმ პერიოდული ორგანოს შექმნასა თუ წარმოებაში. ცნობილია, რომ ცენზურა ადრე გამოცემულ წიგნებშიც კი შლიდა იმ პირთა გვარებს, რომლებიც გამოცემის შემდეგ იყვნენ რეპრესირებული. ცხადია, ომის შემდგომ პერიოდში მათი გვარების ხსენება კიდევ უფრო მკაცრად იკრძალებოდა.

მე პირადი ურთიერთობა მქონდა ბატონ გიორგისთან, მის ოჯახშიც მიხდებოდა მისგლაჯერ სტუდენტს, შემდეგ – მის კოლეგას. ბევრჯერ მომისმენია, რა ჯაფა და ბრძოლა მოუწია ცენზორებთან, როგორ ახერხებდა რალაციის გაპარებას, დარწმუნებას, დავა – კამათს. გული წყდებოდა, ზოგი რამის სულ ამოღება რომ მოუწია. როგორც ჩანს, მისი წიგნის გამოცემის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პირწმინდად არ მომხდარა მისი „გაწმენდა“.

სტატიის ავტორი ქ-ნ მაია მიქაბერიძე მართალია, როცა ასკვნის, თუ რამ გამოიწვია ცენზურის გაღიზიანება. სწორედაც ნათლად ჩანდა, რამდენად არაპოპულარული ყოფილა თავის დროს ბოლშევიკური პარტია, მაგრამ მართო ამის მიზეზით უკვე გამოცემული წიგნის აკრძალვა არ მომხდარა. ამას ერთვოდა არაერთი რეპრესირებული პირის გვარის აღმოჩენა ტექსტში. როგორც ვიცით, ასეთი უმნიშვნელო დეტალიც საკმარისი იყო ცენზურისათვის.


გ. ბაქრაძეს უკვე მზად ჰქონდა ამ წიგნის გაგრძელება და ადრინდელის ხელმეორედ გამოცემასაც აპირებდა, მაგრამ არ დასცალდა. დღეს მისი ხელნაწერები ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

აღ. ლორია

ერსარდ რატლოტი

ბეჭდური წიგნის მხატვრული გაფორმების უპედეგული

მეთხუმეტე-მეთექვსმეტე საუკუნის მიჯნაზე ვენეციელებს ხელნაწერი წიგნის შექმნის არაჩვეულებრივი ტრადიციები ჰქონდათ. გადამწერები თუ მომხატველები წიგნის საწყის ფურცლებს ამკობდნენ უღამაზესი, ფერადოვანი ჩარჩოებით, რასაც ჩვეულებრივ ხელით ასრულებდნენ. გვერდის ქვედა ნაწილში ხელნაწერის დამკვეთნი ბიბლიოფილის გერბს ახატავდნენ. ეს ტრადიცია პირველად ვენეციელმა მესტამბეებმა გადმოიღეს ბეჭდურ წიგნებში, მაგრამ დეკორატიული ჩარჩოების პოლიგრაფიული წესით შესრულება ვერ მოახერხეს, რის გამოც მათი შემოკობა ხელით მოუხდათ. ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა წარმოშობით გერმანელმა მესტამბე-გამომცემელმა და გამომგონებელმა ერსარდ რატლოტიმა.




რატლოტი 1442 წელს დაიბადა აუგსბურგში, ხეზე მჭრელის ოჯახში. პოლიგრაფიულ ხელოვნებას იგი მშობლიურ ქალაქში, გუნტერ ცაინერის სტამბაში დაეუფლა. 1474 წელს ერსარდი გადასახლდა ვენეციაში, სადაც თავდაპირველად თავის თანამემამულე მხატვრებთან ბერნარდ აუგსბურგელთან და პეტერ ლოზლაინთან ერთად სტამბაში დაიწყო მუშაობა. 1476 წელს მან დააარსა საკუთარი სტამბა, სადაც სასულიერო და სამეცნიერო ლიტერატურის ბეჭდავასთან ერთად, ექსპერიმენტულ მუშაობას ეწეოდა პოლიგრაფიული


ხელოვნების განვითარებისათვის. მან შეძლო იმდროისათვის ურთულესი ამოცანის შესრულება - დეკორატიული ჩარჩოებისა და მხატვრული დეტალების სტამბური წესით დაბეჭდვა.

1477 წელს ერსარდმა გამოსცა ჩგ. წ. მეორე საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსის ლუციუს პლავიუს არიანეს (89-175) ნაშრომი - „რომის ისტორია“. წიგნის პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო მდიდრული ორნამენტებით დამშვენებული წითელი ფერის ჩარჩო, რომელსაც ჰარმონიულად ერწყმოდა შავი ფერის საღებავით ჩაბეჭდილი ინიციალი. მესტამბე-გამომგონებელმა ინიციალებისათვის შექმნა განსაკუთრებული ტიპის ასოები, რომლებიც ფართოდ გავრცელდა არა მარტო ვენეციაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ დაბეჭდილ წიგნებზეც. მათ „ლიტერა ფლორენტე“ შეარქვეს, რაც ყვავილებისაგან შექმნილ ასოებს ნიშნავდა.¹ დეკორატიული ჩარჩოები და ინიციალები აუცილებელ ატრიბუტად გადაიქცა არა მხოლოდ ერსარდის გამოცემებისათვის.

რატლოტის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად ითვლება გერმანელი მათემატიკოსის, ასტროლოგისა და ასტრონომის იოჰანს



1 Немиговский Е. Л., Шедевры мирового полиграфического искусства. - Ч. 1. - М. - 1990. - 62 ст.



O As büchlin behende du billich lernen solt
 Vnd es achtē für edel geltain/silber/vnd golt
 Kalendarius gehailfen zu latein
 Leret dich der swinnē höch vnd mödes schein
 Czwelf zeichen/vnd beider liechte finsternus
 Czaigt dir uff vil iare mit kurtzer gedechtnus
 Guldin zal/mittelzeit zwifchen fasten/beide ciclon
 Sontagbuch/sabotern/vnd pfingsten schon
 Dar zu erkennen bruch vnd newen man
 Arznei pflegen vnd gute zeit zu aderlan
 Verkündet auch tages vnd nachtes leng durchs iar
 Dar zu der swinnen auff vnd nidergang offenbar
 Quadranten vnd stunde machen höchlich
 Allenthalb zebrauchen gewiff vnd maisterlich
 Das hat gemacht maister hans von königspurg genant
 In teutchen vnd welchen landen wol erkant
 Czu venedig gedrückt mit höchlicher vernufft vnd sünden
 Als die nach gemelten maister wol kündē
 1478

Bernhart maler
 von augspurg
 Erbart radolt

შესასრულებელი ამოცანა იყო, რომელსაც გამომცემელმა თავი წარმატებით გაართვა. „ეფემერიდები“ მეზღვაურთათვის აუცილებელ სახელმძღვანელოდ გადაიქცა. მისი ტაბულების მეშვეობით საკუთარი ხომალდების ადგილმდებარეობას არაკვედნენ ქრისტოფერ კოლუმბი, ბართოლომეო დიაშუ, ამერიგო ვესპუჩი და სხვები.

1482 წლის 25 მაისს ერხარდმა გამოსცა ძველი ბერძენი მათემატიკოსის ევკლიდეს ნაშრომი – „საწყისი“. ინ-ფოლიოს ფორმატზე დაბეჭდილი 138 ფურცლიან წიგნში უხვად იყო მათემატიკური დიაგრამები და გეომეტრიული ფიგურები. რეპროდუქციების პოლიგრაფიული წესით მიღება მან პირველმა მოახერხა საკუთარი გამოგონების წყალობით. მართალია, მათი ბეჭდვა ხეზე ჭრის პრინციპზე იყო დაფუძნებული და სპილენძზე გრავირების გამოგონების შემდეგ აღარ გამოიყენებოდა, მაგრამ სამეცნიერო-ტექნიკური წიგნის მხატვრული გაფორმების მისეული სტილი მრავალი წლის მანძილზე ითვლებოდა სანიმუშოდ სხვადასხვა ქვეყნის მხატვარ-გაფორმებელთათვის.

ერხარდმა გადაწყვიტა ამ გამოცემის ერთი ეგზემპლარი მიერთმია ვენეციის დოჟის – ჯოვანი მოცენიგოსათვის (1409–1485). სასახუქრო წიგნი განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო, რისთვისაც მან მთელი ნაშრომი პერგამენტზე დაბეჭდა. მიძღვნის ტექსტისათვის ერხარდმა პოლიგრაფიაში პირველმა გამოიყენა „ოქროს შრიფტი“, რისთვისაც ჯერ კიდევ სველ ამონაბეჭდს ოქროს ფხვნილი შეაფარქვია.

1482 წლის 6 ივლისს რატლოლტმა გამოსცა ინგლისელი მეცნიერის იოან საკრობოსკოს (1195–1256) ასტრონომიული სახელმძღვანელო „მსოფლიოს სფეროები“. წიგნის დას-

აბეჭდად მან პოლიგრაფიაში კვლავ პირველმა გამოიყენა მეთოდი, რომლისთვისაც მოძრავი დიაგრამების ცალკეული ნაწილები სპილენძის თხელი ფირფიტებისაგან დაამზადა. ამობეჭდილი ორმოცი დიაგრამა ხელით გააფერადეს სტამბის თანამშრომლებმა. „მსოფლიოს სფეროები“ ერხარდმა მეორედ 1485 წელს გამოსცა. წიგნში ფერადი დიაგრამები უკვე სტამბური წესით – ოთხფერიანი ბეჭდვის გამოყენებით მიიღეს. ამ მეთოდსაც პოლიგრაფიის ისტორიაში კვლავ პირველმა მიაგნო რატლოლტ ერხარდმა.³

1486 წელს მესტამბე-გამომცემელი სტამბის დაარსების მიზნით მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. თანამემამულეებისათვის თავისი შესაძლებლობების გასაცნობად მან 1486 წლის 1 აპრილს შექმნა ამონაბეჭდები. ეს იყო ჩვენამდე სასწაულით მოღწეული, პოლიგრაფიის ისტორიაში სტამბის შრიფტების პირველი კატალოგი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სარეკლამო ფურცელიც. მასზე რატლოლტის 14 შრიფტი იყო ამობეჭდილი.⁴

აუგსბურგში ერხარდმა ახალი წიგნების გარდა ხელმეორედ გამოსცა ვენეციაში მის მიერვე დაბეჭდილი რამდენიმე გამოცემა. „ასტრონომიული კალენდრის“ ახალ გამოცემაში მან დამატებით განათავსა სხვადასხვა ასტრონომიული და გეოდეზიური ხელსაწყოების ნახაზები ტექსტებითა და მაჩვენებლებით. ერხარდი მთელი ცხოვრების მანძილზე განაგრძობდა ექსპერიმენტულ მუშაობას მრავალფეროვანი ბეჭდვის სფეროში. მის მიერ 1491 წელს ოთხფერში დაბეჭდილი ჯვარცმის კომპოზიცია თითქმის პირველ მრავალფეროვან ქსილოგრაფიას წარმოადგენს.

1516 წელს რატლოლტმა თავისი სტამბა შეიღეს გადასცა სამართავად. 1528 წელს ერხარდი გარდაიცვალა. ცხოვრების მანძილზე მან მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოსცა, რომელთა უმრავლესობა რეგიომონტანას მეცნიერული კვლევები იყო. მისი წიგნები დეკორატიული ელემენტების სიმრავლითა და მდიდრული მხატვრული გაფორმებითაც იძენდა განსაკუთრებულ იერს. ერხარდრატლოლტს სამართლიანად მიაკუთვნეს დეკორატიული ხელოვნების ფუძემდებლის სტატუსი წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

3 Немиговский Е. Л., Шедевры мирового полиграфического искусства. – Ч. 1. – М. – 1990. – 64 ст.

4 Книговедение/энциклопедический словарь. – 1982. – 436 ст.



გულნარა სტურუა

მსოფლიო კაცი, ჩვენი სიამაყე - ვაჟა!..

(გარდაცვალებიდან 100 წლისთავის გამო)

„ხარ სვეგევარ ნაიალადარს,
 რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ;
 ღმერთო, სამშობლომიცოცხლე! –
 მძინარიცი ამას ვდუდუნებ;
 საწყალთსაწყლობა რომ ესმის,
 იმათ ვარამზე ვწუწუნებ;
 არც როსუსაქმო არა ვარ,
 მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.
 ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,
 ბეჩავთაც გაფუზიარებ.
 სიკეთისათვის სიკეთეს
 არავის დაუფუგვიანებ.
 ავისთქმით, ავისქცევითა
 გულს არვისდაფუზიანებ.

ამას ამბობს პოეტი ვაჟა ფშაველა, ლექსების, მოთხრობებისა და პოემების მწერალი. იტყოდა, რასაკვირველია, პოეტი იყო, უფლის ნაკურთხი ტვინითა და გონით, სხვაც მრავალი გვეყავს პოეტი, ისინიც ამბობენ მარგალიტებით სიტყვებს, რას არ ამბობენ: თვალზე ცრემლმოსადენს, გულის მოსაფხანსაც და ზოგჯერ გულის გასაგმირსაც, ყველა თავისებურად ამბობს, ყველა თავისებურად უყურებს ამ ქვეყნის ბრუნვას, ყველა თავისებურად სჯის და თავისებურად გვიხატავს ადამიანთა ყოფის სურათებს და მათი სულის წიაღსვლებს, მაგრამ თავად ვინ არიან ეს მთქმელები. როგორი ადამიანები არიან... და ვიფიქრე ჩემთვის, ვინ არის ვაჟა ფშაველა, როგორი ადამიანია იგი.

არ მეგულება პოეტი, რომელსაც თავისი შემოქმედებით ასე გამოწველილვით, უშუალოებითა და გულწრფელობით დაეხასიათებინოს თავისი თავი და გადმოეცეს თავისი დამოკიდებულება არა მარტო გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ, არამედ თავად გარემოს მიმართ. გავეცნოთ ვაჟას შემოქმედებას მასში ყველაფერი ნათელია-ვინ არის და რა ადამიანია, რა აზრებისა და გრძნობების, როგორი სულისა და გულის მფლობელია იგი. მაგრამ გადავხედოთ მაინც, ეგრეთ წოდებულ, სტატისტიკურ ბიოგრაფიას.

ფშავეში, მდინარეჩარგლურის პირას, ერთპატარა ქვითკირის სახლში, სოფლის მღვდლის, პავლე რაზიკაშვილის ოჯახი ცხოვრობდა. ამ ოჯახს 1861 წელს მოეწვინა ვაჟი - ლუკა (სულ

ხუთი ვაჟი ჰყავდა პავლეს), რომელიც ექვს დედამიწვილს შორის ყველაზე გამორჩეული გახლდათ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, და იმდროინდელი საქართველოს სამარცხვინოდ ყველაზე მძიმე ცხოვრება მას შეხვდა. თუმცა რა არის აქ გასაკვირი, დედამიწაზე ადამიანად განხსეულებულმა ქრისტემ საუკუნეების წინ მოგვცა იმ ადამიანის ცხოვრების მოდელი, რომელიც ქვეყანას კაცთა მოღვმის ჭირ-ვარამის გასაზიარებლად, მათ თანამდგომად და შემწედ მოეველინება. მაგრამ ნუთუ მუდმივია ეს მოდელი, ნუთუ ცხოვრებას რამდენად უფრო ერთგულად, შრომით და ჯაფით, რამდენად სიხალასით და თავდადებით შეუდგები, უფრო მძიმდება ის ჯვარი, რომელიც ნებაყოფლობით (უფრო - განგების ნებით!) მხრებზე მოიკიდებ? დღემდე ასეა და ვერავითარმა რევოლუციებმა და ფორმაციათა ცვლამ ვერ შეუცვალასასხე ამ ისტორიულ მოდელ - მაკეტს კაცთა ცხოვრებისას. .

როგორც ბიოგრაფები წერენ, ვაჟას მამა მწიგნობარი და მჭევრმეტყველი კაცი ყოფილა, მან ჩაუნერგა შვილებს წიგნის სიყვარული, უყვებოდა მათ ქართველ და უცხოელ გმირებზე და გამოჩენილ ადამიანებზე, ასევე აცნობდა სასულიერო წიგნების შინაარსს. სულგანაბული უსმენდნენ ბავშვები მამის ტკბილ საუბარს საღრმთო ისტორიიდან არანაკლებ გავლენას ახდენდა ბავშვებზე დედა - ბარბარე ფხიკელაშვილი, როდესაც იგი უამბობდა მათ საგმირო ამბებს, ფშაურ თქმულებებსა და ლექსებს. დედისაგან უამრავი ხალხური ლექსი იცოდა პატარა ლუკამ ზეპირად და ყველას აცვიფრებდა თავისი მესხიერებით. ყველაფერი ეს კარგია და ძვირფასი, მაგრამ არამგონია, რომ მრავალშვილიანი მღვდლის ოჯახს დალხინებული და ბედნიერი ცხოვრება ჰქონოდა იმ დროს. იყო ალბათ სიდუხჭირე, გარჯა, ზრუნვა და შრომა მატერიალური სივიწროვისაგან თავის დასაღწევად, რაც უდავოდ პატარა ლუკას მგრძნობიარე ბუნებაზეც აისახებოდა... ასე იყო თუ ისე, დედ-მამის ფრთის ქვეშ შეფარებული ბავშვები მაინც ლაღად იზრდებოდნენ. რვა წლის ასაკიდან კი გრძელდება ვაჟას აღზრდა სხვადასხვა სასწავლებლებში. თავდაპირველად თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა,

შემდგომ სურდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში ესწავლა, მაგრამ ამისათვის თელავის სასწავლებელში მიღებული ცოდნა საკმარისი არ აღმოჩნდა, ამბობენ, და იგი გორის საოსტატო სემინარიაში შევიდა, სადაც გაიშალა ვაჟას შემოქმედებითი ნიჭი. დიახ, ბიოგრაფები დაწვრილებით აღწერენ, სად სწავლობდა ვაჟა, რომელი ქალაქების სასწავლებლები მიიარ-მოიარა, სად რამდენი ხანი დაჰყო, რომელი ცოდნის ტაძრის მიტოვება აიძულა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, რამდენი წიგნი წაიკითხა, რამდენ და რომელი ფილოსოფოსის შემოქმედებას იცნობდა და ყველგან და ყოველთვის, თითოეული ბიოგრაფი ცდილობს რომ, ამ მხრივ, რაც შეიძლება მეტი მასალა მოიპოვოს ვაჟას სწავლავანათლებლებზე, რათა მკითხველი დაარწმუნოს (უფრო მეტად ალბათ, თავისი თავი!) თუ რაოდენ კლასიკოსი მწერალია ვაჟა. მეტი, როგორც ერთი



რიგითი მკითხველი, ვიტყვდი, რომ სულაც არ არის ფოლკლორულ მასალებში ან მისი თანამედროვეთა მონათხრობებში თუ სხვა წერილობით წყაროებში ვაჟას აღზრდისა და გონების წვრთნის საშუალებებისა და მეთოდების კვლევა-ძიება. რამდენი ლექსი წაუკითხა დედამ და მამამ, ვინ და როგორ აზიარა რუსთაველის პოემას, ვინ ჩაუნერგა წიგნისადმი სიყვარული, როგორ მივიდა პლატონთან თუ არისტოტელესთან, პეგელთან, ფიხტესთან, შელინგთან თუ კანტთან, იცოდა თუ არა დიონისე არეოპაგელი თუ პეტრე იბერი და ასე შემდეგ, მე ვიტყვდი, რომ ის თავად იყო არეოპაგელიც და არისტოტელეც, თვითნაბადი, პირველქმნილი ფილოსოფოს-პოეტი, მოწყალე, ჩვილი გული-სა და დიდი გონების, „ღმრთისაგან სვიანი“ და „მორტყმული განგებიანი“, „მაღალი, უხვი, მდაბალი“ - ადამიანი!. და გავიმეორებ, ვაჟასადმი

მიძღვნილ პაოლო იაშვილის სიტყვებს: „მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება“... ის დაიბადა ასეთი, ის დაიბადა საქართველოში, ქართულ ოჯახში და ქართულ ბუნება-გარემოში და რა ბედნიერებაა, რა სიხარულია, რა სიამაყეა, რომ ჩვენ გვყავს ვაჟა, ხარს რომ ჰგავს ნაიალადარს. ვაჟა არა მარტო შემოქმედი, არამედ ნამდვილი ადამიანი, წუთისოფლის სიღარიბის თონეში გამოცხობილი, რომელმაც

იცის სიცოცხლის სილამაზე და სიდიადე და ესმის სიკვდილის ფასიც, რომ ცხოვრება სიცოცხლისა და სიკვდილის მონაცვლეობაა, რომ „ყველას სამარე მიგველის, ვინც დედის მუცლით შობილა“... რომელსაც უამრავი განსაცდელისა და ჭირ-ვარამის მიუხედავად, თავი მდიდარი ჰგონია, რადგანაც ისე არავინ იცის ცისა და მიწის, მთისა და ბარის ხიბლი, ისე არავინ იცნობს ზღვას, ხმელეთსა და ვარსკვლავებს, ისე არავინ ეგებება დილით ამოსულ მზე-მანათობელს, ღამის გუშაგ მთვარეს, როგორც ვაჟა და ისე არავის ესმის მათი ენა, ისე

ვერავინ კითხულობს მათ გრძნობა-განცდებს, როგორც ვაჟა. აბა, იისა და ვარდის ამბავი ვკითხოთ ამ უცნაურ ვაჟა-მინდიას, ხარს ნაიალადარს, რომელსაც მიწა რქებით უხნავს, უსაქმოდ არასოდეს ყოფილა, მცირედითაც კმაყოფილს მაინც ბეჩავთა ბედ-იღბალზე უჭირავს თვალი, თავის ნაშრომ-ნაამაგარს უშურველად უნაწილებს მათ და ამავე დროს მთელი მისი არსება სამშობლოს ჭირ-ვარამზე ფიქრით და სიყვარულით არის გაკლენთილი, იმ სამშობლოსი, სადაც ბეჩავთ ქვითინის გარდა, მდიდართა კმაყოფილებით ღიღინიც ისმის, მაგრამ რა ქნას ადამიანმა (ვაჟამ), ეს არის მისი ქვეყანა, მისი სამშობლო.

სოფელ დიდ თონეთში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლაში მასწავლებლად მუშაობას იწყებს, უხნეო და უსამართლო ადამიანებს ვერ იტანს, ბევრი მოხ-

ელე-ჩინოვნიკი გადაიმტერა ფიცხი ხასიათის მქონემ. მათი მცდელობით იგი სამსახურიდან მალე გაათავისუფლეს. რა გასაკვირია, მაგრამ ის კი ნამდვილად არის გასაკვირი, რომ თვით ილიამ, რომელსაც ყველაზე უფრო მეტად ესმოდა ვაჟას სიღიადე, მხარი დაუჭირა მის განთავისუფლებას... დიახ, იმ ილიამ, რომელიც დიდი სიამოვნებითა და სიხარულით ელოდებოდა ვაჟას მიერ სოფლიდან ხურჯინით ჩამოტანილ ლექსებსა და პოემებს, რათა მკითხველისთვის რაც შეიძლება მალე მიეწოდებინა ასეთი ნოყიერი სულიერი საზრდო... რა ექნა ვაჟას, წამოვიდა და თავისი ოჯახით ჩარგალში დასახლდა. უკვირთ ბიოგრაფებს, გლესივით ცხოვრობდაო, ბარავდა, ხნავდა, თესავდა, საქონელს უვლიდა, მაგრამ სხვა გლესებივით ყოჩაღი ვერ იყო და რა ექნა. გლესობდა, მაგრამ შეიძლებოდა მისი აზროვნება გლესური ცხოვრების წესს დამორჩილებოდა? მინდორში გასულს, შუა ხვნისა თუ მკის დროს ფიქრები და ფილოსოფიური გააზრებებით გაუღვინთილი პოეტიკა მიწასთან მიშაობისაგან გამორიყავდა, ქაღალდ და ფანქარმომარჯვებული წერდა იმას, რაც უნდა დაეწერა ამ გენიოსს! ქაღალდი შეაკლდებოდა? ბავშვები სიპქვას მოუტანდნენ და იმაზე წერდა. ცოლი საყვედურობდა, სამუშაოს როგორ მოცდიო... ეჰ, რა იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე, ვისი მეუღლეობა დააკისრა განგებამ! ანდა, სხვებმა კი იცოდნენ? ხეებმა და ბუჩქებმა, ყვავილებმა და ნორჩმა შვლის ნუკრებმა (ფაუნამ და ფლორამ) იცოდნენ მხოლოდ ვაჟას გული და ესმოდათ ვაჟასი, ეს დიდი ადამიანი - ვაჟა მთლიანად ბუნების წიაღისა იყო, ხოლო საწყალი კაცი, ლუკა რაზიკაშვილი მეუღლისა, თავისი წვრილშვილისა და იმ ადამიანების, რომლებიც გარშემო ერტყა. დარიბი გლესი ლუკა მეზობლისაგან ზოგჯერ ხორცს ყიდულობდა და ასე იკვებებოდა და კვებავდა ოჯახს, ერთხელაც არ გაუმართლა, ხორცი უვარგისი აღმოჩნდა (ჯილეხით დაავადებული საქონელი!) და ციმბირის წყლულშეყრილი სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ჯანი კი გაუტყდა... სად იყო ახლის დევ-გმირული ძაღლისა და რაინდული გარეგნობის ვაჟაკაცი. თუმცა, იგი მაინც ურჩი და ძაღვულოვანი ადამიანი გახლდათ, უშიშარი, გულით გაუტყხელი, მოუღალავი მკლავით. ცხოვრებაო, აბა მოდი და დამსეტყვე, აქა ვარო მთელი ჩემი არსებით, - ამბობდა იგი.

ბავშვობის აქეთ, უკვე მერამდენედ, კრძალვითადა მოწიწებით მივიღვარ ვაჟასთან, ხან ნაცნობ მელოდიებს მოვარგებდი მის ლექსებს და ვმღეროდი (მარტო არა, ერთ ჩემს სკოლის მეგობარ მაყვალა ლორიასთან ერთად),

ხან „ბახტრიონს“ ჩავკირკიტებდი... დღეს კი, რატომღაც მომინდა მოვეფერო, როგორც საკუთარს, ღვიძლს, სისხლსა და ხორცს, მშობლიურს, თბილსა და ტკბილს, ისე როგორც იგი ეფერებოდა უსულოსა და სულიერს, ბუნების წიაღში აღმოცენებულს, ეფერებოდა ბუნებისგან შექმნილ და ბუნების სხვა შვილებისაგან რადიკალურად განსხვავებულ, უცნაურსა და სასწაულ არსებას - ადამიანს! ვაჟა უნივერსალური ჰარმონიისაკენ მსწრაფი პოეტი-ფილოსოფოსია. სიცოცხლე ვაჟასთვის არის მშვენიერებასთან შერწყმული გონიერება. მისი გონება ადამიანური წინააღმდეგობების გადამლახველია. ამბობენ, რომ იგი მტრისადმი დაუნდობელი სისასტიკის მქადაგებელიაო, მაგრამ ვაჟასთვის არ არსებობს მტერი-ადამიანიო, - ამბობს ლიტერატორი და მკვლევარ-კრიტიკოსი ლევან ბერძენიშვილი. როგორ შემიძლია არ დავეთანხმო მას ... „კაი ყმის“ და ვაჟაკური კულტის დამამკვიდრებელ ვაჟა ფშაველას, სარწმუნოების, ეთნოსისა და სქესის მიუხედავად ყველა კარგი, გმირული, ვაჟაკური თვისებების მქონე ადამიანი ერთნაირად უყვარს. გამახსენდა ხიმენესი, „პლატერო და მე“ (ჩვენამდე ქართულად მოტანილ ამ ნაწარმოებს მე ხიმენესისა და მანანა გიგინეიშვილის შემოქმედების მთლიანობად მივიჩნეე), დიახ, პლატეროს თარგმანის წინასიტყვაობაში თავად მანანა გიგინეიშვილი, ეს დიდი მთარგმნელი და შემოქმედი ამბობს: „ადამიანებს შორის სისხლით ნათესაობაზე უფრო ძლიერი სხვა კავშირი არსებობს. ... დედამიწის მკვიდრთ საერთო გვაქვს მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ფერით უთვალავი სამყარო, სულიერი მისწრაფებები“. პოეტმა გვითხრაო, ამბობს ხიმენესზე ქალბატონი მანანა, რომ „ადამიანები ყველანი ნათლის შვილები ვართო“. მით უფრო, ამასვე უთუოდ იტყოდა თავად ვაჟაზეც, ეჭვი არ მეპარება! როგორც ბატონი ლევან ბერძენიშვილის ვაჟაზე წაკითხულ ერთ-ერთი ლექციიდან გავიგე, ისიც ამასვე ამბობს - თუ ადამიანი ნამდვილი ადამიანიადა მას შეუძლია დაინახოს ადამიანური ღირსებები, იგი არ შეიძლება იყოს მტერი. ასეა ვაჟასთან. ალუდა ქეთელაურმა, თემის ადათების უაღრესად პატივისმცემელმა და თემში გმირად ცნობილმა, თემის საყვარელმა და სასახელო ადამიანმა მოულოდნელად თავის თავში აღმოაჩინა არა მხოლოდ თემის ადათებით შემოსაზღვრული კაცი, რომელიც „საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი, ბევრ ქისტს მათრა მარჯვენა, სცადა ფრანგულა ფხიანი“, არამედ პიროვნება, რომელსაც შეუძლია დადგეს თემის გარეთ, შორიდან დაუწყოს მას მხერა,

და მეტიც, ისე ამაღლდეს, - საკაცობრიო იდეა-
ლებს გაუსწოროს თვალი: „ არა კაც ჰკლა!“ აი
ვინ აღმოჩნდა ეს თემის გმირი ერთ მშვენიერ
დღეს! რა ხდება, რატომ განიცდის ალუდა ქის-
ტი მუცალის სიკვდილს, რატომ არ ასრულებს
დღემდე მისთვის ჩვეულებრივ მთის ადათს და
არ სჭრის მარჯვენას დამარცხებულ მუცალს?
ნუთუ ცხოვრების ერთმა ეპიზოდმა შეცვალა
მისი აზრი და დამოკიდებულება იმ ადათე-
ბისადმი, რომელთანაც ერთად გაიზარდა
და ჩამოყალიბდა ადამიანად? შაინტერესოა,
როგორ წარმოიშობა ადამიანის ცნობიერება-
ში მისი შემეცნების ფორმები. ვაჟას საუკუნე
ფილოსოფიის ამ საკითხების შესწავლა-
შეცნობამ გაიტაცა. ინტელექტუალიზმი, შემეც-
ნება თუ პრაგმატიზმი და ნება? ვაჟამ თავისი
გენიალური კალმით „მაღალ-მხატვრული
სიტყვით, ორიგინალური სიუჟეტებითა და
ყოველგვარი ფილოსოფიური პრობლემებისა-
გან შორსმყოფი, მაგრამ მეტად უშუალო, ბუნე-
ბის წიადში, თემის მკაცრ კანონებზე გაზრდი-
ლი ადამიანების ტიპაჟებით პასუხი გასცა ამ
საკითხებს, შექმნა საკაცობრიო მნიშვნელობის
პოემები და მათ შორის გამორჩეული „ალუდა
ქეთელაური“.

ალუდა მტერს დაედევნება, ქისტ მუცალსა
და მას შორის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძო-
ლა გაიმართება. ორივე თავგანწირვით იბრძვის,
უპირატესობა არც ერთის მხარეზეა და, აი, ბო-
ლოს ალუდას ნასროლი ტყვია გულში ხვდება
მუცალს, მებრძოლი არ ეპუება სიკვდილს,
ბალახბულახებით დაიჩქმაღლავს ჭრილობას,
მაგრამ ხვდება, რომ ეს უკვე ბოლოა, და

ერთიც ესროლა ალუდას,
ხანს არაჰკარგავს მგლისასა,
თოფიც ალუდას გადუგდო-
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:
ეხლა შენ იყოს რჯულ-ძადლო,

ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“-ო, და ქისტის
ამ სიტყვებმა ალუდას გაუქრო გამარჯვებუ-
ლის სიხარული. და არა მარტო ამ სიტყვებმა,
მისმა შემართებამ, ბრძოლის მანერამ, დაუმორ-
ჩილებლობამ და ბოლოს, გმირის რაინდულმა
საქციელმა, მოწინააღმდეგეში თანატოლის
შეცნობამ და ნდობამ სულ სხვა თვალთ დაა-
ნახვა ალუდას თავისი თავიც, მხედარი მუცალ-
იც და, რაც მთავარია ის ადათიც, რომელიც თი-
თოეულ შატილელს ბავშვობიდანვე სისხლში
ჰქონდა გამჯდარი: „ალუდას თოფი არ უნდა,

ატირდა როგორც ქალიო:
არა ჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა: ცოდვა არიო:

ვაუკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკედარიო.
შენ ხელ შენს გულზე დღამიწდეს
ნუმც ხარობს ქავისკარიო“.

გმირი რაინდის სული გაუდგა ზეციურ
გზას, მიწაზე დარჩა ტრაგიკული ფიქრებით
გათანგული ალუდა. ნუთუ მუცალთან და-
პირისპირებამ აგრძობინა ალუდას თავი სულ
სხვა, ახალ ადამიანად? თუ ის ყოველთვის ასე-
თი იყო და ახლა ამ ტრაგიკული შემთხვევით
გაშტერებულსა და დამძიმებულს უეცრად
გაეხსნა კაცობისა და ადამიანობის არსის
შეცნობის უნარი, რომელიც მასში იმთავითვე
იყო ჩადებული? ნუთუ მუცალთან ბრძოლა იყო
საჭირო, რომ შემეცნების ნათელი ჩაჰფენოდა
სულსა და გულში? და ვინ არიან ესენი: მუცა-
ლი და ალუდა, ორი, მაგრამ სინამდვილეში
ერთი დიდი ადამიანი, თავად ვაჟა, რომელიც
მძაფრად გრძნობს ადამიანის ბედის ტრაგიკუ-
ლობას და ბევრ, ბევრ სხვა რასმეს, რაც ღმერ-
თმა ჩააქსოვა ადამიანს ხასიათსა და ბუნებაში.
საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად
თემთან დაპირისპირებისა, რამაც ალუდას არა
მარტო პირადი, არამედ მთელი მისი ოჯახის
სოფლიდან მოწყვეტა განაპირობა, თემის სას-
ტიკმა გადაწყვეტილებამ მას თემზე აუგი ვერ
ათქმევინა. „ ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწ-
ყევთ!“ აუკრძალა დედას და ცოლ-შვილს მან,
მორჩილად დატოვა საყვარელი სოფელი, საყ-
ვარელი სახლ-კარი და თავისი რწმენით ცნო-
ბიერება-განათებული გაუდგა გზას...


მისდით ვაჟას შემოქმედებას, ანალიზი
გაუკეთო თითოეულ მის ნაწარმოებს - ეს დიდ
სიამოვნებასთან ერთად დიდი სირთულეა.
მით უმეტეს, როცა იცი, რომ მრავალმა ავტო-
რიტეტულმა ლიტერატორმა, კრიტიკოსმა,
მწერალმა თუ ფილოსოფოსმა სცადა შეჭიდე-
ბოდა ამას, და საკმაოდ საინტერესოდაც ახლა
ვაჟას საიუბილეო წელია და ვაჟაზე ფიქრი მეც
ამედევნა. ზოგჯერ, ფიზიკურად თუ სულიერად
ბევრი რამით შეჭირვებული, „მასთან მივიდი-
ვარ კრძალვითა, ანდა ვის ვპოვებ, ნეტავ სად,
მკურნალს უკეთეს წამლითა“... ანდა როგორ არ
მივიდე, როდესაც მისი სიბრძნე ამოსული მუხ-
ის ფესვიდან, „ფშავეთს კი არა, სამყაროს სა-
კეთილდღეოდ შეცვლიდა“. აი, ასე ვამთავრებ
დღეს ვაჟასთან საუბარს და ვინ მოთვლის,
კიდევ რამდენჯერ მივალ მასთან.

სოლომონ დოდაშვილის შეხედულებები მხატვრული ლიტერატურის შესახებ

სოლომონ დოდაშვილი - 210

მხატვრულ შემოქმედებას, მხატვრულ სიტყვას ერთობ გამორჩეული ადგილი უკავია ს. დოდაშვილის მეცნიერულ ნააზრევში. მხატვრული კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა ავტორის ინტელექტუალური შესაძლებლობანი, რომელიც ასე ნიშანდობლივად იყო წარმოდგენილი მის პიროვნებაში ჯერ კიდევ სიჭაბუკის უამიდან. მხატვრული ნიმუშების შემოქმედს უნდა ახასიათებდეს "სიმართლესიწრფელე წმინდა ჭეშმარიტებათა და სათ-

აზრით, "მშვენიერსიტყვაობა არის გადმოღება ჰაზრთა ან გრძნობათა ზეპირად ან ქარტასა ზედა მოკლედ, ცხადად", უფრო კვემოთ იგი წერს: "მჭერსიტყვაობა მოინადირებს გულთა ჩვენთა და აღანთებს გამოხატვასა". მისი სულიერი მოძღვარი იოანე ხელაშვილი, გაეცნორა ს. დოდაშვილის მხატვრულ ნაწარმოებებსა და თეოლოგიურ შეხედულებებს, კმაყოფილი წერდა ავტორის წერის სტილისა და მანერის შესახებ: "სიტყვათა მტკიცე, მცირეთა მეტყველ, მრავალკეთილთა სიტყვათა მსმენელ, - საქმეთა მარჯვედ მსჯელ".



თეოფილე კიკნაძისა და იოანე ხელაშვილისადმი მიწერილ წერილებში, აგრეთვე "რიტორიკაში" ს. დოდაშვილი აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს ხელოვანის, შემოქმედის შესახებ: ხელოვანს, პოეტს, შემოქმედს, მისი აზრით, ესაჭიროება როგორც "მოპოვებული ღირსებანი" (სწავლა - განათლება), ასევე ბუნებრივი მონაცემები. პროზისა და პროზაიკოსის ყურადღების ობიექტს ადამიანის გონებაზე ზემოქმედება წარმოადგენს. ს. დოდაშვილის მოსაზრებით, "პროზის მისიაა ადამიანის განათლება, ხოლო პოეზიისა - ადამიანის სიამოვნება". მკითხველი შეიძლება არ დაეთანხმოს ავტორის ასეთ კატეგორიულ მიდგომას პროზისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ, ვინაიდან ორივე ჟანრიდან ადამიანი დეზულობს გარკვეულწილად განათლებასაც და სიამოვნებასაც.

ნოება, აი, თვისება სულისა ჩემისა," - წერს იგი ერთ-ერთ თავის წერილში. ს. დოდაშვილმა თავის "რიტორიკაში" თეზისის სახით ჩამოაყალიბა მხატვრული ნაწარმოების არსი და მისი დანიშნულება, აღნიშნა რა იგი ტერმინებით "მჭერსიტყვაობა", "მშვენიერსიტყვაობა". მისი

მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად უპირველეს ყოვლისა საჭიროა ენის სიმარტივე და სიწმინდე. ამ კუთხით ს. დოდაშვილს აუცილებელ პირობად მიაჩნია "ფრაზის სიცხოველე". მხატვრულ ლიტერატურაში მთავარია იდეისა და ფორმის თანხვედრა, მხატვრული მეტყველების სიცხადე და ლაკონურობა. "კარგმან მწერალმა, - წერდა იგი, - რომელსა საგნისა აღწერაც უნდა მოინდომოს მას ძალუმს ბუნებითსა ენასა ზედა გადმოღება

და წარმოდგენა თვით უმცირესისა აზრისა და გრძნობისა”.

ს. დოდაშვილის შეხედულებით მხატვრული სიტყვა უძლიერესი სტიმულია ადამიანის ინტელექტუალური და ფსიქიკური ძალების განვითარებისათვის, უძლიერესი ბერკეტია სულიერი წინსვლისათვის. მისი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს პიროვნებას ჭეშმარიტების ძიებასა და მორალურ სრულყოფაში. ავტორის აზრით, “მშვენიერება არ დგას ცხოვრებაზე მალდა, იგი ცხოვრების შემეცნებას ემსახურება”. საკუთარი შეხედულებები მხატვრული ნაწარმოების სტილის, ბუნებისა და დანიშნულების შესახებ არაერთგზის ჩამოაყალიბა თავის წერილებში, “რიტორიკაში” და ენათმეცნიერულ ნაშრომებში.

ს. დოდაშვილის განსწავლულობა, მისი მჭევრმეტყველური ნიჭი და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ცოდნა ადრეული ასაკიდანვე გამოვლინდა მის გამოსვლებში, მიმართვებსა და პოეზიის ნიმუშებში. ამ კუთხით ავტორი გვევლინება სამშობლოს მგზნებარე პატრიოტად და ერის სულიერი აღორძინების მედრომედ. ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში ს. დოდაშვილი წერდა: “არა თავისათვის მხოლოდ, გარნა ბედნიერებისათვის, არამედ სიყვარულისათვის მამულისა ვმუშაობ, რათა ოდესმე ევროპამან ჰსცნას ივერია საშუალებათა წერილთა სარწმუნოთა”. სემინარიაში სწავლის პერიოდშივე ს. დოდაშვილმა ჩამოაყალიბა “ამხანაგური წრე”, “ქართველთა გამოსაფხიზლებლად”. ქართული მწერლობის ასაღორძინებლად, ქართველთა მამულიშვილების გრძნობის გაღვიძებისათვის. სრულიად ახალგაზრდა ს. დოდაშვილს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული მხატვრული ლიტერატურის არსი, მისი აზრით, “მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა ასახოს საზოგადოებრივი ცხოვრების ტკივილები, იგი ახლოს უნდა იყოს ეროვნულ საწყისებთან, თავისი შინაარსითა და იდეური ზეგავლენის ძალით მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა აამაღლოს ხალხის გონება, გააფაქიზოს იგი და განაწყოს მოქმედებისათვის. ს. დოდაშვილის მხატვრული ნაწარმოებების ნიმუშები შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი შინაგანი ძალების, სულიერი ბრძოლისა და შემართების გამოვლენად. ს.

დოდაშვილი ფილოსოფოსის თვალთა და გონებით ჭვრეტდა ყოფიერებაში არსებული მოვლენების ორგანულ კავშირს.

ს. დოდაშვილის მხატვრული ოსტატობისა და მჭევრმეტყველების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ მისი “შესხმა”, სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1828 წელს ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდების დროს. თავის გამოსვლაში 23 წლის ჭაბუკმა მოკლედ და ლაკონურად ჩამოაყალიბა იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა და აღნიშნა: “ძლიერებმა ჩვენმა მტრებმა მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ასევეთარ ხარისხამდე დამდაბლებათა, დამავიწყებელი მოქალაქეობის თავისუფლებისა მსხვერპლად ბარბაროსთა, რასაც მოსდევს უმეცრება”. აქვე ს. დოდაშვილი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს სწავლა - განათლების აუცილებლობის შესახებ და მიანიშნებს: “ევროპელნი ვაღებულნი არიან ყოვლითა უადრესობითა მათითა პირისპირ სხვათა ერთა მხოლოდა ოდენ სწავლითა მიერ რათა აღიზარდებოდეს ესე, ყვავილობდეს და მოაქვინდეს უხვად ნაყოფნი სადიდებლად და სასარგებლოდ მამულისა”. ღრმად პატრიოტული პათოსითაა დაწერილი ს. დოდაშვილის მიერ “სიტყვა - მოწოდება”, რომელიც მიეძღვნა 1832 წლის შეთქმულებას. აქ ავტორი ჩვეული ორატორობითა და პატრიოტული ტონით აღნიშნავს იმის შესახებ, რომ დასაბამიდან ჩვენს ქვეყანას ჰქონდა საკუთარი მდგომარეობა, თვისი სჯული, სარწმუნოება, თვისი ენა და ჩვეულება. “ჰყვანდა ხელმწიფე და არასოდეს არ ყოფილა მოკიდებული სხვათა ზედა”, ახლა ვხედავთ დამხობასა და არარაობას მამულისა; ნუთუ ჩვენ არ ვართ შვილნი ჩვენთა მამა - პაპათა, მაშა რაისთვის ვცოცხალ ვართ?”. ასეთივე “სიტყვა - მოწოდების” სტილშია დაწერილი ს. დოდაშვილის ერთ-ერთი პირველი პოეტური ნიმუში ლექსი “მაისი”. ლექსი დაწერილია 1831 წელს, როგორც პოლონეთის აჯანყების გამოძახილი. სინამდვილეში “მაისი” 1832 წლის შეთქმულების მანიფესტია, მოწოდებაა ქართველი ხალხის მიმართ: “აღვიპყრათ ხელსა მახვილი, მივცეთ მტერთა შიში ძრეილი!”. პოეტი მოუწოდებს პატრიოტებს შემოიკრიბონ “გულით მხურვალენი”, რათა განიდევნოს სოფლათ ძალათ

მოსულნი. ლექსი არ გამოირჩევა მხატვრული ფორმით, მას აშკარად ატყვია პოლიტიკური დამდა. ლექსი დაკვეთით დაწერა ავტორმა; ამის შესახებ თვითონვე წერს, რომ ალექსანდრე ორბელიანმა და ელიზბარ ერისთავმა სთხოვეს მას დაწერა აღმგზნები სიტყვები გაზეთში დასაბეჭდად, რომელიც იმოქმედებდა მკითხველთა გონებაზე. სოლომონი პასუხობს, რომ ასეთ საქმეში (იგულისხმება შეთქმულება) ხუმრობა არ ვარგა. ელიზბარ ერისთავი აიძულებს სოლომონს ასეთი “აღმგზნები” ტექსტის დაწერას და ეუბნება: “როცა შენ ხანჯლით მოგადგებით, მაშინაც უარს იტყვი?, შენი საქმეა წერო!” ლექსი “მაისი” არც შინაგანი წყობითა და არც უშუალოდ არ წარმოადგენს ს. დოდაშვილის სტილის ნიმუშს.

ს. დოდაშვილმა საკუთარი თეოლოგიური შეხედულებები მხატვრული ფორმით გადმოგვცა ძირითადად ორ ესკიზში. ერთი ეს არის “უმანკოება”, გამოქვეყნდა 1832 წელს ჟურნალში “სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი” (N5); და მეორე “აღმოსავლეთის ლიტერატურა ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულობა,” გამოქვეყნდა იმავე ჟურნალში 1832 წელს.

ესკიზში “უმანკოება” ს. დოდაშვილმა მხატვრული ფორმით, მოკლედ ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორ დაკარგა ადამიანმა ყოველგვარი სიკეთე ღმერთისგან ბოძებული, როგორი იყო უმანკოება ადამიანთა ვიდრე ისინი “უამსაცთუნებისასა წარსაწყმედელსა მას დროსა ინება ყოფად უბრძნეს ბუნებისა”, ე.ი. როდესაც ადამიანმა ინება ბუნებაზე ბატონობა და ღმერთის ნების წინააღმდეგ აღსდგა, მაშინ “უმანკოება უკანვე იქცა ცათაშინა თვისსა სამშობლოსა”, მას შემდეგ “უმანკოება იშვიათად თუ ეწვევა ადამიანთა სამყოფელს”. ზოგიერთი მკვლევარის აზრით “უმანკოება” თარგმნილი უნდა იყოს, მაგრამ ვერ უთითებენ საიდან, რომელი დედნიდანაა ნათარგმნი. ვფიქრობთ ექვის შეტანა ამ ესკიზის ორიგინალობაში საფუძველს მოკლებულია; ს. დოდაშვილს, როგორც სემინარიის კურსდამთავრებულს, შეეძლო ასეთი ჩანახატის შექმნა.

მეორე მხატვრული ჩანახატი, რომელიც ს. დოდაშვილი ასევე გამოხატავს თავის

შეხედულებებს თეოლოგიის საკითხებზე, არის “ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულობა”, რომელიც სხვა ნაწარმოებებთან ერთად ავტორმა გააერთიანა ერთი სათაურის ქვეშ “აღმოსავლური ლიტერატურა”. აღნიშნულ “ანეკდოტში” ს. დოდაშვილი დიდი ვეზირის პირით გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას ღმერთთან, თუ როგორ და რატომ ენდობა ღმერთს ხელმწიფისგან წამოსული ვეზირი.

ს. დოდაშვილს მხატვრული თხზულებანი თხრობის სტილითა და ენობრივი თვალსაზრისით ნათლად მეტყველებსავტორის განსწავლულობასა და ბუნებრივი ნიჭის შესახებ; თხრობა წარმოგვიდგება ნათლად, შემოკლებით, ღრმააზრობრივი დატვირთვით, ისეთი ფორმით, როგორსაც იგი ცხადყოფს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებისას ლიტერატურის არსისა და დანიშნულების შესახებ.

თავის ნაშრომში “მოკლე მიმოხილვა ქართულსა ლიტერატურასა, ანუ სიტყვიერებასა”, რომელიც ს. დოდაშვილმა თავის ჟურნალში გამოაქვეყნა 1832 წელს, დასაბამი მისცა ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. ნაშრომში ავტორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიმოხილავს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიას, აღნიშნავს, რომ “ქართველთა ძველთაგან ჰქონდათ სურვილი, ხალისი და ნიჭი სწავლათა და ხელოვნებათა ჩინებული მთარგმნელნი და მწერალნი იყვნენ”. ტექსტში ავტორი ასახელებს იმ წაარჩინებულ ავტორებს, რომლებმაც და საბამი მისცეს ქართულ მჭევრმეტყველებას, მხატვრულ ლიტერატურას და ამით შორს გაიტანეს ქართველი კაცის გონიერება და შრომა მაშულის საკეთილდღეოდ. ასეთი ავტორები, ს. დოდაშვილის შეხედულებით, “განსხვავდებოდნენ შვენიერ სიტყვაობითა, თხზულებანი მათნი სტიხად და პროზად ღირს არიან გონებაგანმხილველისა ყურადღებისანი”.

ს. დოდაშვილი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშივე შეეცადა გარდაექმნა მხატვრული გემოვნება, სიახლე შეეტანა პოეტურ ფორმებსა და ჟანრებში, რამაც სათავე დაუდო ქართულ რომანტიზმს, რომელთა წარმომადგენლებს აერთიანებდათ ერთიანი იდეები, მიმართულე-

ბები და მხატვრული პრინციპები. უნდა აღინიშნოს, რომ ს. დოდაშვილის აღნიშნული იდეები, შეხედულებები და მსჯელობანი ლიტერატურის თეორიის საკითხებზე საფუძვლად დაედო თერგდალეულთა შეხედულებებს, მათ საპროგრამო განცხადებებსა და მოღვაწეობის იდეებს. ამის შესახებ მართებულად მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე.

ს. დოდაშვილის შეხედულებებმა მხატვრული ლიტერატურის შესახებ სათავე დაუდო ზოგადად ხელოვნებაში, მებრძოლი პათოსის საკითხების შემოტანას, რითაც ერთობ წინ წამოსწია სოციალური და მოქალაქეობრივი მოტივები ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული შესწავლა ნათელაჰყოფს, რომ მე-19 საუკუნის 30-40-იანი წლების მხატვრული ლიტერატურა საქართველოში არ წარმოადგენდა ფართო საზოგადოებრივი ინტერესის საგანს.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ამ დროისათვის არსებობდა კულტურული და ლიტერატურული კერები და სალონები, მსჯელობანი ლიტერატურის შესახებ არ ატარებდა მეცნიერულ ან თუნდაც კრიტიკულ ხასიათს. ამ პროცესებზე არსებით ზეგავლენას ახდენდა ს. დოდაშვილის, როგორც ფილოსოფოსის, ენათმეცნიერის, ჟურნალისტისა და პუბლიცისტის მრავალმხრივი შემოქმედება.

ლიტერატურა:

დოდაშვილი, ს. თხზულებანი. – თბ., 2001. – 510 გვ.;

ბიბლიოგრაფიული ცნობები ს. დოდაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესახებ:

სოლომონ დოდაშვილი. – ბიობიბლიოგრაფია – თბ., 1967. – 55 გვ.;

სოლომონ დოდაშვილი - ბიობიბლიოგრაფია. – თბ., 2007. – 144 გვ.;

გიორგი გაბუნია

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ერთ პუბლიკაციაში გამოყენებული ტერმინ „აფორიზმის“ მართებულად გაგებისათვის

კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა ანტოლოგიის VIII ტომში შეტანილია (უმნიშვნელო ცვლილებებით) დიდი კადმოსნის მიერ 1963 წლის 13 მაისს დაწერილი კრიტიკული წერილი, სათაურით „ფიქრებით პოეზიის გამო“ (იხ. : გვ. 197-200), რომელიც პირველად იმავე წლის 19 მაისს გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე (იხ. : №20, გვ. 3). ქართველი მკითხველის ყურადღება საგანგებოდ მსურს გავამახვილო ნახევარი საუკუნის წინათ გამოძეუებული ხსენებული პუბლიკაციის იმ ორ ფრაგმენტზე, რომელშიც ავტორს გამოყენებული აქვს ტერმინი „აფორიზმი“ და რომლის მართებულად „წაკითხვისათვის“ ჩვენს კრიტიკაში დღემდე არ გაკეთებულა არავითარი შენიშვნა. მაგრამ, როგორც იტყვიან, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“ და სწორედ ამ შეგონებამ ამაღებინა ხელში კალამი მცირე განმარტების დასაწერად.

აი, ეს ორი ფრაგმენტიც :

1. „პოეზიის დღეს მე არ შემიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციო ერთ საშიშროებას. ეგ არის ის სარეველა, რომელიც დიდ საფრთხეს უქადის როგორც თანადროულ რომანს, ნოველას, ისე ლექსს. ეგ არის ვულგარული პუბლიცისტის, ჟურნალიზმის მოძალევა.

კიდევ არსებობს ერთი დიდი საფრთხეც : ეს გახლავთ აფორიზმი“ (გვ. 199).

2. „პოეზიის ტრადიციულ დღეს უნდა მოუწოდოთ ჩვენს კრიტიკას : გაამახვილონ ბრძოლა „ნოვატორების“ გალიმათიის წინააღმდეგ, ყველამ ვებრძოლოთ აფორიზმსა და მოშვებულ ჯღაბნას, თორემ ნამდვილი პოეზია დიდი საფრთხის წინაშე დამდგარი“ (გვ. 200).

როგორც ვხედავთ, მოხმობილ ორივე ფრაგმენტში ბატონ კონსტანტინეს უარყოფით კონტექსტში აქვს გამოყენებული ტერმინი „აფორიზმი“, რაც მკითხველთა უმრავლესობის, ცხადია, გაკვირვებას გამოიწვევს,

ვინაიდან მათთვის ეს სიტყვა, კლასიკური განმარტებით, ოდითგანვე არის „სხარტული გამოთქმა, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან აზრს, სიბრძნეს, და ამდენად, სავსებით ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რატომ „შეუცვალა“ გენიალურმა შემოქმედმა მას მისი განმსაზღვრელი „ღირებულებით დატვირთვა“.

საქმე იმაშია, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ზემოსხენებულის კრიტიკული პუბლიკაცია მიმართული იყო XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ, მოჭარბებული დოგმატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ და თავისი სათქმელის, რაც შეიძლება, მკაფიოდ გაუღერებისათვის, დიდმა მწერალმა ბერძნული „აფორიზმი“, პირდაპირი „დანშნულებით“ თარგმნა და წერ-

ილში „ფიქრები პოეზიის გამო“ იგი გამოიყენა როგორც „დოგმატური განსაზღვრებების“ სინონიმ ი. სწორედ ასე უნდა იქნას გააზრებული და „წაკითხული“ ბერძნული „ნასესხები“ და ზემოთ მოტანილ ორივე ფრაგმენტში ავტორის მიერ მიზანმიმართულად ნახმარი ტერმინი „აფორიზმი“.

ვიმედოვნებ, ჩემი ეს მცირე განმარტება არ დარჩება „სმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და ჩვენი იგავი მიუწვდომელი კალმოსნისა და მოაზროვნის უმდიდრესი შემოქმედებითი მემკვიდრეობით დაინტერესებული ყველა მკითხველი მას რომ გულისყურით გაეცნობა, ამაში, წინასწარ მადლიერებით აღსავსეს, ეჭვი ნამდვილად არ შეპარება.

საქმიანი ურთიერთობანი

ირინა ალიაშვილი

ერთ საათში მიღებული გადაწყვეტილება

მესტიის რაიონის სოფელ ბეჩოში, პირდაპირ უშბის ძირას, ერთი პატარა სასტუმრო დგას „გრანდ ჰოტელ უშბა“ ძველებურ სვანურ სახელში განთავსებული. ეზოში კიდევ რამდენიმე ახალაშენებული კოტეჯია. აშკარაა, რომ ბიზნესი კარგად მიდის. სასტუმროს დამსვენებელი არც ერთ სეზონზე არ აკლია. ამ სასტუმროს მეპატრონე, ნორვეგიელი რიჩარდ ბეირუგია. იგი ლაპარაკობს როგორც მშობლიურ ნორვეგიულ ენაზე, ისე ლატვიურ, ლიტვურ, რუსულ, ინგლისურ და... სვანურ ენებზე.

საქართველოში პირველად 2008 წელს ტურისტული გიდის სტატუსით ჩამოვიდა და ყაზბეგი და თბილისი მოინახულა. მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უცხოელებს ქართულ ენაში საზაფხულო სკოლაში სწავლასაც სთავაზობდა და რიჩარდიც ამ კურსზე ჩაეწერა. კურსის ბოლოს ჯგუფმა სვანეთის ვერტმფრენით მონახულება გადაწყვიტა, მაგრამ უამინდობის გამო ფრენა გადაიდო და ექსკურსიაც ჩაიშალა. რიჩარდს კი მთელი წელი ესმოდა სვანეთის შესახებ ათასი რამ; როგორი ლამაზი მხარეა, როგორი საოცარი ხალხი ცხოვრობს იქ, რომ ქართულისგან აბსოლუტურად განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, რომ ძალიან პერსპექტიული რე-

გიონია სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის და ა.შ. უსმინა, უსმინა და ინტერესით გადარეულმა 2009 წლის ზაფხულში უკვე თავად გადაწყვიტა იქ ჩასვლა და სამდღიანი ლაშქრობაც დაგეგმა სვანეთის მთებში.

“მესტიის გამგეობაში დავრეკედა გამყოფი ვითხოვე. ერთი კაცი გამაცნეს, სოფელ ბეჩოში ცხოვრობდა, მესტიასთან ახლოს”, - ის-



სენებს რიჩარდი.

ასე გაიცნო ძმები არკადი და ლევან არდვლიანი. გზად ერთმანეთს თავიანთ ამბებს მოუყვნენ. ამ კაცმა მოუთხრო, რომ სოფელში ერთი სახლი ჰქონდა, ცარიელი, არავინ ცხოვ-

რობდა. რიხარდი უსმენდა და ფიქრობდა. ერთ-საათიანი ფიქრის შემდეგ კი სვანეთში ცხოვრების გადაწყვეტილება მიიღო.

“ზუსტად ერთი წლის შემდეგ სოფელ ბეჩოში უკვე სასტუმრო გვექონდა, მე და ეს კაცი დღეს მეწილეები ვართ”, იცინის რიხარდი. “მოხიბლული ვარ სვანეთით და სვანი ხალხ-

მდება იმაზე, რომ ენა, პირველ რიგში, ამ-
თუ იმ ერის კულტურული მემკვიდრეობა და
მონაპოვარია და ტრადიციების დაკარგვაც
ენის დაკარგვიდან იწყება, ამიტომაც, თუკი
საქართველოს ევროკავშირის წევრობა სურს,
პირველ რიგში, სწორედ ასეთ კულტურული
მემკვიდრეობების და ენობრივი ტრადიციების



ით”, აღიარებს ის.

იქამდე რიგაში კერძო კომპანიებში მუშაობდა, უმუშავია სკანდინავიის საბჭოშიც, ლატვიის ვიძმის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორიც იყო. ამჟამად დოქტორანტია მედიისა და კომუნიკაციების დარგში, ცხოვრობს სვანეთში, უძღვება სასტუმროს საქმეებს და ჩართულია სვანური ენის პოპულარიზებისა და სვანეთის ბიბლიოთეკების განვითარების საქმეში.

სვანეთში ჩამოსულმა აღმოაჩინა, რომ სვანები ქართულად კი არა, სვანურად საუბრობენ, თუმცა ამ ენას სახელმწიფო როგორც დიალექტს, ისე უყურებს. გაერო-ს კი, სულაც გადაშენების საფრთხის პირას მყოფ ენებში შეუტანია.

რამდენიმე წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ეს ეგზოტიკური ენა აეთვისებინა. დღეს სვანურად თავისუფლად საუბრობს.

“ბოლო 50 წლის განმავლობაში ევროპაში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპისა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შეიცვალა ასეთი ენების მიმართ დამოკიდებულება”, განმარტავს რიხარდი. “თუკი იქამდე უმცირესობების ენები პოლიტიზებული იყო და სეპარატიზმის საფრთხის შემცველად განიხილებოდა, დღეს თანამედროვე მსოფლიო თანხ-

დაცვაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება”, ამბობს ის.

ამგვარად მოხდა ისე, რომ დაიწყო პირველი პროექტის განხორციელება, რომელიც გულისხმობდა სვანეთში ბიბლიოთეკების რენოვაციას: წიგნადი ფონდის განახლებას, კომპიუტერებისა და ინტერნეტის კუთხის მოწყობას, საჭიროების შემთხვევაში კი - შენობის რემონტსაც კი. პროექტში რიხარდ ბეირუგი ფონდების და ბიუჯეტის მოძიების კუთხით ჩაერთო.

“რატომ ჩავერთე? იმიტომ, რომ მგონია, მაღალმთიან რეგიონში ბიბლიოთეკის დანიშნულება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცენტრალურ ქალაქებში”, აღნიშნავს რიხარდი. “საზოგადოებისთვის თავშეყრის, განათლების მიღების, კულტურული დასვენებისა და გართობის ადგილი ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკა აღმოჩნდა”.

მესტიის განახლებულ ბიბლიოთეკაში დღეს საჯარო შეხვედრები, პრეზენტაციები, ლიტერატურული საღამოები და ფილმის ჩვენებები იმართება, ცხადია, ეს ყველაფერი სვანურ ენაზე. ახალგაზრდებს შეუძლიათ უფასოდ ისარგებლონ კომპიუტერებითა და ინტერნეტით, წაიკითხონ ახალი წიგნები და მთელი დღე იმეცადინონ. განათლება ერთი პრიორიტე-



ტია, მაგრამ იმ ენის პოპულარიზაცია, რომელსაც გადაშენების საფრთხის პირას მყოფის სტატუსი აქვს - მეორე და მთავარი.

ბიბლიოთეკების რენოვაცია ერთადერთი პროექტი არაა, რაც სვანეთში წერა-კითხვის და კომპიუტერის ცოდნის გავრცელებისთვის გაკეთდა. 2013 წლის ზამთარში

ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებმა სვანურ ენაზე თავიანთი მოთხრობები გამოაქვეყნეს. კონკურსის მხარდამჭერებს შორის შვეიცარიის, ლატვიის, შვედეთისა და ნორვეგიის საელჩოები იყვნენ, აგრეთვე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, რომელმაც კრებული გამოსცა.

“სვანური ენა ამ დროისთვის 100%-ითაა გამორიცხული სასკოლო განათლების სისტემიდან. დღეს უფრო და უფრო მეტი სვანი მშობელი ელაპარაკება შვილს ქართულად და არა - სვანურად, შესაბამისად, ახალმა თაობამ, ძალიან ცუდად ან, თითქმის, არ იცი ეს ენა. ჩემი აზრით, ეს ქვეყნის კულტურული და ეროვნული ტრაგედიაა”, ამბობს რიჩარდი.

სვანური ენისა და სვანეთის პოპულარიზაციის მიზნით ძალიან საინტერესო იყო 2013-2014 წელი. 2013 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე და 2014 წლის ზამთარში შაკო მარგიანთან ერთად ზემო და ქვემო სვანეთში



იმოგზაურა ზამთარში თხილამურებით. უამრავი ფოტო, შთაბეჭდილებები და ადგილობრივებთან საუბრები - ეს ყველაფერი თავს ერთ წიგნში მოიყრის, რომელიც სულ მალე დაიბეჭდება და დაინტერესებულ მკითხველს კიდევ ერთ საინტერესო მასალას მიაწვდის ამ საოცარ კუთხეზე.

“ვიმედოვნებ, რომ წიგნი სვანეთს ერთ-ერთ სასურველ კურორტად აქცევს. ვფიქრობ, რომ სვანეთს საუკეთესო პოტენციალი აქვს, რომ აქ საერთაშორისო კლასის სათხილამურო კურორტი განვითარდეს, ჩვენ ხომ თავად

ვისრიალეთ მთელ სვანეთში თხილამურებით, შევხვდით ადგილობრივ მაცხოვრებლებს, გავეცანით და მოვაყოლეთ თავიანთი ცხოვრების შესახებ. ეს ადამიანები ხალხმა უნდა გაიცნოს. ამ ყველაფერს მხოლოდ პოპულარიზაცია აკლია”, - ამბობს რიჩარდი.

რიჩარდის გეგმებში სვანეთის ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგების გარდა, სასკოლო განათლების სისტემის ცვლილებაც კი შედის. ამბობს, საჭიროა, განათლების სამინისტრომ დაიწყოს იმაზე ფიქრი, რომ სვანური ენა სკოლებში ისწავლებოდეს.

“ძალიან ბევრი ენა იკარგება ევროპაშიც, მაგრამ იქ უკვე დაიწყეს ენის კონსერვაციაზე ზრუნვა

და ხელოვნური ჩარევებით არ აძლევენ ენას საშუალებას, დაიკარგოს. საჭიროა, საქართველომაც დაიწყოს ზრუნვა სვანური და მეგრული ენების შენარჩუნებისთვის, რათა ეს ენები, როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა, არ დაიკარგოს”, ამბობს - რიჩარდი.

სამომავლო გეგმებზე საუბრისგან თავს იკავებს. ყოველი შემთხვევისთვის, ამატებს, რომ განათლების მხარდასაჭერად საქმიანობა ახალი დაწყებული აქვს და ამ მხრივ არა მხოლოდ ბიბლიოთეკის, არამედ სვანურენოვანი მედიის, მაგალითად, გაზეთის ან რადიოს გახსნაზეც კი ფიქრობს.

ქათავან ნიკურაძე

ბავშვ ბიბლიოთეკა მომსახურება თბილისის მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ტექნოლოგიების ბუმი და მოსწავლე ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი კომპიუტერებს არი მიჯახებული, წიგნი და ბიბლიოთეკა კვლავაც რჩება აღზრდის, განათლებისა და ინფორმირების დაუშრეტელ წყაროდ. ამის ნათელი მაგალითია მკითხველთა ის დიდი ნაკადი, რომელსაც მომსახურებას უწევს მირზა გელოვანის



სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა.

მიუხედავად ბიბლიოთეკის პროფილისა, მისი წიგნადი ფონდები ხელმისა-წვდომი არის მოსახლეობის ყველა ასაკისა და სოციალური ფენისათვის. ბიბლიოთეკა ემსახურება არა მარტო მისი სამოქმედო უბნის მცხოვრებლებს, არამედ ქ. თბილისისა და მისი გარეუბნების მასშტაბით ყველა კატეგორიის მკითხველს. მათ ყველა შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდებით მეცნიერების ყველა დარგიდან ასევე ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით, ალბომებით, ატლასებით, რუკებით და ა. შ.

გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა ყოველთვის იყო და იქნება კულტურისა და წიგნიერების დიდი კერა, წლების მანძილზე მას მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა, ბიბლიოთეკის უმთავრესი მისია არის მოზარდები და სტუდენტი ახალგაზრდობა აზიაროს წიგნის სიყვარულს, ასწავლოს კითხვის კულტურა და წიგნთან მუშაობა. ამიტომ მისი მუშაობის მთავარ ამოცანას მკითხველთა სწორი სისტემით მართვა და მათ მიერ წიგნის მიზანსწრაფული გამოყენება. ასევე ხელი უნდა შეუწყოს და წარ-

მოაჩინოს მათი დაფარული თუ აღიარებული შემოქმედებითი ნიჭი.

ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვი და მოსწავლე-ახალგაზრდობის საბიბლიოთეკო მომსახურების სწორი სისტემით მართვას, კითხვადობისა და კითხვის უნარჩვევების დონის ამაღლებას, იმისათვის, რომ ავამაღლოთ მათი მომსახურების ხარისხი, ყოველი კვარტლის ბოლოს წარმოებს მომსახურებული მკითხველების ფორმულარების ანალიზი და მათი კითხვის ინტერესების შესწავლა.

მკითხველთა მომსახურება მიმდინარეობს დიფერენცირებულად. ასე მაგალითად, ვემსახურებით მკითხველთა შემდეგ ჯგუფებს:

- კერძო და საჯარო სკოლის მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეები;
 - ყველა სახის უმაღლესი და ტექნიკუმის სასწავლებლების სტუდენტები;
 - დასაქმებული და დაუსაქმებელი ახალგაზრდობა;
 - ახალგაზრდობასთან მომუშავე პირები (პედაგოგები, ლექტორები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვ.);
- დიფერენცირებულია ბავშვ მკითხველთა მომსახურებაც, კერძოდ:

- I - სასკოლო და 1-2 კლასის მოსწავლეები;
- II - უმცროსი სასკოლო ასაკის 3-4 კლასის მოსწავლეები;
- III - საშუალო სასკოლო ასაკის 5-6 კლასის მოსწავლეები;
- IV - უფროსი სასკოლო ასაკის 7-8-9 კლასის მოსწავლეები;

ბიბლიოთეკაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვ და მოზარდ მკითხველების მომსახურებას. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად იზრდება მათი რაოდენობა.



მომსახურებულ მკითხველთა სტატისტიკური ციფრობრივი მონაცემები ასე გამოიყურება: მიმდინარე წლის აგვისტოს თვის ჩათვლით სულ რეგისტრირებულია 873 მკითხველი, წლის ბოლომდე ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან 411 ბავშვი და მოზარდი მკითხველია, რომლებზეც გაცემულია 2874 ეგზემპლარი.

ბიბლიოთეკას ჰყავს ბევრი აქტიური მკითხველი, მაგრამ მათგან რამდენიმეს. ესენია:

გელიტაშვილი კესარია – I-ლი ექსპერიმენტალური სკოლის I-ლი კლასის მოსწავლე. ძალიან უყვარს კითხვა, ძირითადად



კითხულობს ქართულ და უცხოურ ზღაპრებს, საბავშვო ლექსებს და ლიტერატურას სკოლამდელთათვის;

ჯორბენაძე ქეთევანი – 195-ე საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლე, ძირითადად კითხულობს ქართველ საბავშვო მწერლების ნაწარმოებებს;

ძაგანია ლიზი – 55-ე საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლე. ძირითადად კითხულობს ქართველი საბავშვო ლიტერატურასა და ზღაპრებს;

ჭყონია ზურაბ – 171-ე საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე. არის გატაცებული სპორტით, მუსიკით, ძალიან უყვარს კითხვა, ჩვენი აქტიური მკითხველია, მონაწილეობს ბიბლიოთეკის ღონისძიებებში. წაკითხული აქვს წიგნები ნადირობაზე, ბუნებაზე, ცხოველებზე, მოგზაურობაზე, ასევე კითხულობს სათავგადასავლო ლიტერატურას;

ფორჩხიძე მარიამ – 52-ე საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე. ჩვენი აქტიური მკითხველია, უყვარს ქართველი კლასიკოსი და საბავშვო მწერლების ნაწარმოებების კითხვა, აგრეთვე გატაცებულია პოეზიით. წერს ლექსებს, ხატავს, ძერწავს, ხშირ-

ად მონაწილეობს ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებაში..

მანია გიორგი – 102-ე საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლე. არის აქტიური მკითხველი, მხატვრული ლიტერატურის გარდა კითხულობს ისტორიული, სათავგადასავლო და შემეცნებითი ჟანრის ლიტერატურას.

ქირია გიორგი – 128-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე. გატაცებულია მუსიკით, ხატვით, არის კარგი დეკლამატორი, წერს ლექსებს, ხშირად იღებს მონაწილეობას ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. უყვარს კითხვა, ძირითადად კითხულობს ქართველი და უცხოელი მწერლების მხატვრულ ლიტერატურას, დაინტერესებულია ასევე სათავგადასავლო წიგნებით.

პაიჭაძე დიმიტი – „ჯიელის“ კერძო სკოლის VIII კლასის მოსწავლე. ინტერესებს ისტორიული, ფილოსოფიური და დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა.

ჩოკოშვილი თინიკო – კომაროვის სახელ. IX კლასის მოსწავლე. წერს ლექსებს, ჩანახატებს, მდერის, უკრავს, მუშაობს თექაზე, გობელინზე, არის აქტიური მკითხველი და ყოველთვის მონაწილეობს ბიბლიოთეკის ღონისძიებებში. უყვარს ქართველი და უცხოელი თანამედროვე მწერლების ნაწარმოებების კითხვა, კითხულობს ყველა ჟანრის ლიტერატურას.

როგორც ბავშვი და მოზარდი მკითხველთა ფორმულიარების ანალიზმა გვიჩვენა, ისინი ძირითადად კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას.

კერძოდ ბავშვ მკითხველებზე გაცემულია:

მხატვრული ლიტერატურა – 1356 ერთეული;

სკოლამდელთათვის – 970;

საბუნებისმეტყველო – 144;

ისტორიული – 214;

ხელოვნებასა და სპორტზე – 82;

რელიგიური – 68;

დანარჩენი – 40;

უმცროსი ასაკის ბავშვი მკითხველები უმეტესად კითხულობენ ქართულ და უცხოურ ხალხურ ზღაპრებს, საბავშვო მოთხრობებს და ლექსებს. ქართველი მწერლებიდან დიდი მოთხოვნა არის აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, მარიჯანის, შიო მღვიმელის, ეკატერინე გაბაშვილის, ნიკო კეცხოველის, სერგო კლდიაშვილის, რევაზ ინანიშვილის, გივი ძნელაძის, ოტია იოსელიანის, ბონდო მაცაბერიძის, გურამ პეტრიაშვილის, ლ. გეგეჭკორის, მაყვალა გონაშვილის ნაწარმოებებს. უცხოე-

ლი ავტორებიდან უპირატესობა აქვთ ძმები გრიშების, ქრისტიან ჰანს ანდერსენის, ა. კიონერის,

ე. ბლაიტონის, შარლ პეროს ზღაპრებს, აგრეთვე ფრენკ ბაუმის, ო. კიპლინგის, ა. ბარტოს, რ. კოუპის, ე. რასპეს, ასტრიდ ლინდგრენის საბავშვო ნაწარმოებებს.

მოზარდი მკითხველების ინტერესი მრავალმხრივია, ისინი კითხულობენ როგორც მხატვრულ, ისე სათავგადასავლო, ისტორიული, შემეცნებითი, დეტექტიურ და სხვა ჟანრის ლიტერატურას.

მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს საკმაოდ დიდი და მდიდარი წიგნადი ფონდი, ხშირ შემთხვევაში უარის თქმა გვიწევს მკითხველებისათვის მომსახურებაზე, რადგან, საერთოდ, არ გვაქვს მათ მიერ მოთხოვნილი წიგნები ბიბლიოთეკაში.


დღეს წიგნის მაღაზიებში ძალიან კარგი საბავშვო წიგნები იყიდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ პირადად შევიძინოთ ჩვენი მკითხველებისათვის ყველა საჭირო წიგნი.

გურამ თაყნიაშვილი

ბავშვი წიგნის სამყაროში

ბავშვის აღზრდის, მისი ინტელექტუალური ზრდისა და გარემოს აღქმის პროცესში დიდი ადგილი უკავია საბავშვო ლიტერატურას.

ბავშვი ადრეული ასაკიდანვე შედის წიგნის სამყაროში, ეცნობა მისი ასაკისთვის შესაბამის გამოცემებს: ზღაპრებს, საყმაწვილო მოთხრობებს, პოეზიის ნიმუშებს. საბავშვო ლიტერატურისთვის დამახასიათებელია გასართობი სიუჟეტი, მსუბუქი იუმორი, მარტივი თხრობა. ბავშვის გონებას იზიდავს მოვლენების მხატვრული, ხშირ შემთხვევაში გაზვიადებული ფანტასტიკური სამყარო, ილუზიური, არარეალური გარემო; უყვართ ზღაპრები, სადაც კეთილი ამარცხებს ბოროტს. საშუალო სასკოლო ასაკის ბავშვები ხალისით კითხულობენ ამონარიდებს “ბიბლიიდან”, ადგილებს “ვეფხისტყაოსნიდან”. კარგად შერჩეული საბავშვო წიგნის დანიშნულებაა ბავშვის ხასიათიდან წინ წამოსწიოს დადებითი, გაადვივოს მასში შრომის, წიგნის კითხვის სურვილი. საბავშვო წიგნს შეუძლია ბავშვის ხასიათიდან განდევნოს მავნე თვისებები. ასეთი მიდგომა განიხილება როგორც მოზარდის ზნეობრივი აღზრდის საფუძველი. ი. გოგებაშვილის აზრით, საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება. ილია ჭავჭავაძის აზრით, საბავშვო ლიტერატურამ უნდა იმოქმედოს ჯერ ბავშვის გრძნობებზე და მერე გონებაზე, აკაკი წერეთელი მიუთითებდა ბავშვთათვის წიგნების შერჩევის დროს ასაკო-



ბრივი ნიშნების გათვალისწინების აუცილებლობაზე. იგი აღნიშნავდა, რომ უსისტემოდ შერჩეულ წიგნს უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია ბავშვისათვის, ვიდრე საერთოდ წიგნის წაუკითხაობას. ქართული საბავშვო ლიტერატურის მკვლევარები ერთხმად მიუთითებენ, რომ ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობებსა და ლექსებს მძლავრ ნაკადად შემოჰქონდა ქართულ საბავშვო ლიტერატურაში დიდი ინტერესი და ემოციები.

როგორც ცნობილია, პროფესიულ სა-

ბავშვო ლიტერატურას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. კითხვის სიყვარულს უღვივებდა მოზარდებს 1890 წელს დაარსებული ჟურნალი



“ჯეჯილი” (რედაქტორი ანასტასია ერისთავი-ხოშტარია): 1904 წელს დაარსდა ჟურნალი “ნაკადული” (რედაქტორი მარიამ დემურია); “ჯეჯილში” აქტიურად თანამშრომლობდნენ ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი; ოღონდ ჭავჭავაძემ დააწერინა ილია ჭავჭავაძეს საბავშვო ნაწარმოებები. სწორედ “ჯეჯილში” დაიბეჭდა პირველად ი. ჭავჭავაძის “ბაზალეთის ტბა”. აღნიშნულმა ჟურნალმა ბავშვებს მისცა მშობელთა და მასწავლებელთა შესაფერისი მასალა ყრმათა გონებისა და გრძნობების საწვრთნელად. გარდა “ჯეჯილისა” და “ნაკადულისა”, საბავშვო ნაწარმოებები იბეჭდებოდა ჟურნალ “ნობათში” (დაარსდა 1883 წელს, რედაქტორ-გამომცემელი ანდრია დულაძე).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საბავშვო მწერლების ნაწარმოებებმა ღრმა კვალი დააჩნია ქართული ლიტერატურის განვითარებასა და მოზარდთა ინტელექტუალური ზრდის პროცესებს. ბავშვები დიდი გატაცებით კითხულობდნენ ამ პერიოდის საბავშვო ნაწარმოებებს ისეთი ავტორებისა, როგორებიც იყვნენ: ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე, შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი, იროდიონ ევლოშვილი, რაფიელ ერისთავი და სხვ.

ამავე პერიოდში ქართული საბავშვო ლიტერატურა გაამდიდრა ქართველ კლასიკოსთა საბავშვო ნაწარმოებებმა, რომელთა ავტორები იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, თედო რაზიკაშვილი; ყველა თაობის ბავშვებისათვის დიდ ინტერესს იწვევდა ა. წერეთლის

“ბაში-ანუკი”, “თორნიკე ერისთავი”, “გამზრდელი”, “კიკოლას ნაამბობი”, “პატარა კახი”, “ჩემი თავგადასავალი” და სხვ.; ი. ჭავჭავაძის თხზულებებიდან ყველა თაობისათვის ინტერესს მოკლებული არ არის ისეთი ნაწარმოებები, როგორებიცაა: “გუთნის დედა”, “ჩიტი”, “კაკო ყაჩაღი”, “ოთარაანთ ქვრივი”, “კაცი-ადამიანი”, “მეფე დიმიტრი თავდადებული” და სხვ. რომლებიც ატარებენ ჭეშმარიტად ღრმად პატრიოტულ და აღმზრდელობით-შემეცნებით ხასიათს

ვაჟა-ფშაველას საბავშვო ნაწარმოებები არ კარგავენ აქტუალობას დღემდეც კი მისი მოთხრობები: “შვლის ნუკრის ნაამბობი”, “ჩხიკვთა ქორწილი”, “ამოდის, ნათდება”, “მთის წყარო”, “მთანი მალაღნი”, “ხმელი წიფელი”, და სხვ. თხზულებანი ერთნაირად წვრთნიან ბავშვისა და მოზარდის გონებას, ბუნების შეცნობის გარდა, ბავშვი თვალნათლივ ხედავს სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილს, კეთილის ზეობას.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ქართული საბავშვო ლიტერატურა გაამდიდრა ცნობილი მწერლების, პუბლიცისტების, საზოგადო მოღვაწეთა და პედაგოგიკის კლასიკოსთა ნაწარმოებებმა. ამ პერიოდში გრძელდებოდა ი. გოგებაშვილის საბავშვო თხზულებათა გამოცემები, რომლებიც სათავეს იდებენ წინა საუკუნის 70-იანი წლებიდან. ყველა ასაკის ბავშვთათვის სახალისო საკითხავია მისი მოთხრობები: “იანანამ რა ჰქმნა”, “მეფე ერეკლე და ინგილო ქალი”, “ვანო და ფრინველები”, “სადგოთ მოთხრობები”, “თავდადებულნი ქართველნი”, “თხა და გიგო”, “დევნილი მეგობარი” და სხვ. ისინი მათი გამოქვეყნებიდან დღემდე ამშვენებდნენ საბავშვო ლიტერატურის თაროებს. აღნიშნული და სხვა მოთხრობები ი. გოგებაშვილისა, ისევე, როგორც ქართველ კლასიკოსთა საბავშვო ნაწარმოების დიდი ნაწილი, გარკვეულ ადგილს იკავებდა “დედა ენასა” და “ბუნების კარში”.

ქართველი კაცის მეხსიერებაში დიდხანს დარჩება მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედსა და მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების ისეთი საბავშვო ნაწარმოებები, როგორებიცაა: ეკატერინე გაბაშვილის “ღვინია გადაიჩეხა”, “მაგდანას ლურჯა”, “თინას ლეკური”, ნ. ლომოურის “ყინვა და პატარა მოწაფე”, “ალი”, “ქაჯანა”, ი. ევლოშვილის “უბედური ქორბუდა”, რ. ერისთავის “„მიპატიჟება სასწავლებელში“”. აღნიშნული და ქართველ კლასიკოსთა საბავშვო

ვლ ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობს ბავშვ მკითხველებში თანამედროვე ეტაპზედაც. მე-20 საუკუნის 30-50-იანი წლებიდან ქართულ საბავშვო ლიტერატურას შეემატა ისეთი ავტორების ნაშრომები, როგორებიც იყვნენ: სოფრომ მგალობლიშვილი, დავით კლდიაშვილი, ლეო ქიაჩელი, პარმენ ლორია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, მაყვალა მრეველიშვილი; მომდევნო პერიოდში საბავშვო ლიტერატურა გამდიდრდა ისეთი ავტორების თხზულებებით, როგორებიც იყვნენ: კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ნესტორ მაღაზონია, მურმან ლებანიძე, ნიკო კეცხოველი, არჩილ სულაკაური, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, მორის ფოცხიშვილი, ირაკლი აბაშიძე და სხვები. საბავშვო ლიტერატურის განვითარების შესახებ საყურადღებო წერილები გამოაქვეყნეს ლუარსაბ ბოცვაძემ, ალექსანდრე ჭიჭინაძემ, ანა დვინიაშვილმა, მარგო თომაძემ და სხვებმა. აღნიშნულ და სხვა ავტორთა ნაშრომებში ყურადღება ექცევა საბავშვო წიგნის შექმნისა და გამოცემის საკითხებს, ბავშვთა კითხვის პრობლემებს. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ინტენსიურად გამოიკვამ ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა საბავშვო ნაწარმოებები, მათი უმრავლესობა იბეჭდება სერიული და მრავალტომეული გამოცემების სახით. დღევანდელი ახალგაზრდა თაობა საბავშვო ნაწარმოებებს ეცნობა კარგად ილუსტრირებული და პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გაფორმებული წიგნების საშუალებით. სერიის სახით გამოცემული საბავშვო ლიტერატურის ნიმუშები გაერთიანებულია „საყმაწვილო ენციკლოპედიაში“ 15 ტომად, (თბ; 2003-2010). ყველა სასკოლო ასაკის ბავშვები ინტერესით ეცნობიან ცნობილი გამომცემლისა და ფილოლოგის ა. ბრეგაძის მიერ შედგენილ ნაშრომებს: „საქართველო არის ესე“, - საკითხავი ყმაწვილთათვის, „საქართველოს მცენარეთა სამყარო“, „საქართველოს ცხოველთა სამყარო“, „საქართველოსათვის, საქართველოსათვის“. უადრესად მნიშვნელოვანი გამოცემებია: „ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა“, „ცხოვრება საქართველოს მეფეთა და ერისთავთა“, ლიტერატურული საუბრები ახალგაზრდობისათვის: ქართული ენა, ქართლი დამწერლობა, ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი და სხვ.

ბავშვთა კითხვის საკითხებზე საქართველოს ბიბლიოთეკებში დაგროვილი მრავალი

ფაქტობრივი მასალა: მკითხველთა შთაბეჭდილებები წაკითხულ წიგნებზე, მოსწავლე მკითხველთა მონაწილეობა მასობრივ ღონისძიებებში, პედაგოგთა ჩანაწერები, ბავშვთა კითხვის ანალიზით მიღებული მასალები. ბავშვ მკითხველთა შემოქმედების ნიმუშები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჟურნალ



„საქართველოს ბიბლიოთეკის“ ფურცლებზე. გასული საუკუნის 90-იანი წლებში ქვეყანაში მოქმედებდა საბავშვო ბიბლიოთეკების ქსელი, რომელიც აერთიანებდა 200-მდე დამოუკიდებელ საბავშვო ბიბლიოთეკას. თანამედროვე ეტაპზე ბავშვთა კითხვას ხელმძღვანელობენ მუნიციპალიტეტების ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან არსებული საბავშვო განყოფილებები, სასოფლო და საჯარო სკოლებთან მოქმედი ბიბლიოთეკები. თბილისში, ქუთაისსა და ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან რიცხული საბავშვო განყოფილებები ეფექტურად მუშაობენ ბავშვ მკითხველებთან. თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკასთან მოქმედ საბავშვო განყოფილებაში მდიდარი გამოცდილებაა დაგროვებული ბავშვთა კითხვის საკითხებზე. სისტემატურად უკავშირდებიან საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებს, ატარებენ ერთობლივ ღონისძიებებს; თბილისის მთავრი საქალაქო ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება (გამგე ი. ლომიძე) წარმატებით მუშაობს ბავშვ მკითხველთან. განყოფილება 2008 წელს ჩამოყალიბდა. საბავშვო ლიტერატურა სისტემატიზებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. განყოფილებებში ფონდი განლაგებულია ბავშვთა ასაკობრივი პრინციპით. ფონდი დაკომპლექტებულია თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის თითქმის ყველა ძირითადი გამოცემით. მაგიდებზე განლაგებულია

სათამაშო და ხმოვანი წიგნები, ცალკეა მოწყობილი ზღაპრების კუთხე, ბავშვთა ნახატების გამოფენა; სპეციალურ პლაკატზე ბავშვი მკითხველები ტოვებენ თავიანთ ფაქსიმილეს თარიღის მინიშნებით, თუ როდის მივიდნენ პირველად ბიბლიოთეკაში. აქედან იწყება მათი მკითხველური ბიოგრაფია. ბევრი წარჩინებული მკითხველია აღრიცხული. მათგან უმეტესობამ საბავშვო ბიბლიოთეკაში აიდგა ფეხი, როგორც - მკითხველმა. თავის დროს საბავშვო ბაღიდან მოვიდა ბიბლიოთეკაში ყავველამვილი ბარბარე, 63-ე სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე. მისი მკითხველის ფორმულარის 2-3 გვერდი ნათლად მეტყველებს მისი კითხვის ინტენსივობაზე, ინტერესსა და თემატიკის ნაირფეროვნებაზე. მოსწავლეს გადაკითხული აქვს კლასიკური და თანამედროვე საბავშვო მწერალთა ნაწარმოებები, წელიწადში საშუალოდ 25-30 სახელწოდების წიგნს კითხულობს, არის წარჩინებული მოსწავლე. ასეთსავე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ანა ვარდიანიშვილი, 150-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე. იმთავითვე გადაკითხა ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობები. დიდი გატაცებით კითხულობს, რ. ჭეიშვილის, ო. იოსელიანის, რ. ინანიშვილის და გ. ჩოხელის ნაწარმოებებს. სკოლაში გამოირჩევა ნაკითხობითა და სანიმუშოდისციპლინით.

საბავშვო ლიტერატურის ფონდიდან დამოუკიდებლად ირჩევს წიგნებს ანა ძაძამია, 24-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე. მას იზიდავს სათავგადასავლო ჟანრის ლიტერატურა. უცხოელ ავტორთაგან წაკითხული აქვს ჟორჟ სანის, დოსტოვესკის ნაწარმოებები. ამჟამად კითხულობს ნ. დუმბაძისა და ჩადუნელის ნაწარმოებებს.

მცხეთის საჯარო სკოლის მე-5 კლასისი მოსწავლე თამუნა ბექაური პირველი კლასიდანვე ეზიარა საბავშვო ლიტერატურას. ზღაპრებისა და სათავგადასავლო წიგნების გარდა, დიდი ინტერესით წაიკითხა შიო მღვიმელის, თ. რაზიკაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ე. გაბაშვილი და სხვა ქართველ ავტორთა საბავშვო ნაწარმოებები.

დასახელებული მოსწავლე მკითხველები ერთი ნაწილია იმ მკითხველებისა, რომელიც სისტემატურად მოდიან ბიბლიოთეკაში. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის გამოყოფილი თაროები სისტემატურად ივსება ახალი გამოცემებით.

ყოველდღიური მოთხოვნებით სარგე-

ბლობენ ისეთი ავტორების წიგნები, როგორცაა ჯეიმს მეთიუ ბარის „პიტენ პენი“, ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“, ძმები გრიმების ზღაპრები, ჩალზ დიკენსის საბავშვო მოთხრობები, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და სხვ.

ბავშვები შეუწელებელი ინტერესით ეცნობიან სამეცნიერო-პოპულარული და ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემებსაც: „მეცნიერების ენციკლოპედია“, „მეცნიერების საოცრებანი“, „მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია“, „საბავშვო ენციკლოპედია“, „საყმაწვილო ენციკლოპედია“, „მოსწავლის პირველი ენციკლოპედია“, „ჩემი პირველი აღმოჩენები“ და სხვ. ბავშვებს და მშობლებს იზიდავთ ვ. კერიკაშვილისა და ნ. შათირიშვილის წიგნი „საფეხურები“ 800 სახალისო შეკითხვა და პასუხები. წიგნი განკუთვნილია საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკის მკითხველებისთვის.

საბავშვო განყოფილების წარმატებული მიდგომა კითხვისადმი განპირობებულია, ერთი მხრივ, კარგად და გონივრულად შერჩეული საბავშვო ლიტერატურის ფონდებით და, მეორე მხრივ, ბიბლიოთეკართა პროფესიული მიდგომით, მით განსწავლულობით, ბავშვთა ინტერესებსა და მიდრეკილებების სათანადო ცოდნით. ბიბლიოთეკარებმა წინასწარ იციან, რომელი მკითხველი რომელ წიგნს დააბრუნებს დღეს, მათი უმრავლესობა დამოუკიდებლად ირჩევს ცალკეულ გამოცემებს.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო ლიტერატურის განყოფილება (გამგე ქ. სვანიძე) ბავშვთა დიფერენცირებულ საბიბლიოთეკო მომსახურებას უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით. ბავშვი მკითხველები სპეციალური საძიებო სისტემის გამოყენებით აწარმოებენ ძიებას სასწავლო რესურსების მოპოვების მიზნით. ბავშვთა აბსოლუტური უმრავლესობა კითხულობს ზღაპრებს, სათავგადასავლო ლიტერატურას, დეტექტივებს თუ ფანტასტიკური ჟანრის გამოცემებს. სასწავლო წლის განმავლობაში საშუალოდ 15-20 წიგნი აქვთ წაკითხული ა. ველიშვილს, (№1 საჯარო სკოლა, მე-10 კლასის მოსწავლე); ქართულ და უცხოურ ლიტერატურას თანაბარი ინტერესით კითხულობს გ. მიხელიძე, მეორე საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე; სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვითაა გატაცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიტირის მე-6 კლასის მოსწავლე თ. სურგულაძე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბიბლიოთეკაში საუკეთესო პირობებია შექმნილი ბავშვთა დიფერენცირებული საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის. წიგნობრივ ფონდთან თავისუფალი დაშვება და აკადემიურ დონეზე გაფორმებული თვალსაჩინოება ერთგვარი წინაპირობაა წარმატებული კითხვის ხელმძღვანელობისათვის. ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები : მ. კორტავა, ვ. ლევჩენკო, ლ. მალრაძე, ნ. ოჩხიკიძე, კ. ვიბლიანი, კ. ახვლედიანი, ლ. ტატიშვილი და სხვები აქტიურად მონაწილეობენ საბიბლიოთეკო ღონისძიებებში, გამოირჩევიან თვითშემოქმედებით.

სხვადასხვა საბავშვო ბიბლიოთეკაში ბავშვთა კითხვადობის შესწავლამ ცხადყო, რომ თანამედროვე ბავშვი მკითხველები ძირითადად ინტერესს იჩენენ ქართველი და უცხოელი ავტორების ნაწარმოებებისადმი, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ : ო. იოსელიანი, კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, რ. ინანიშვილი, გ. ჩოხელი, დ. ტურაშვილი, ნ. დუმბაძე, გ. დოხანაშვილი, ბ. მაცაბერიძე, ო. ჭელიძე, გ. ჭიჭინაძე, ნ. ბეზარაშვილი, მ. გონაშვილი, ა. სულაკაური, გ. ძნელაძე, ა. გურგენიძე და სხვა. უცხოელ ავტორთაგან პოპულარულია : ჰ. ანდერსენი, რ. კიპლინგი, რ. კოუპი, ჯ. სვიფტი, ა. ლინდგრენი, ჯ. მორიერი, ე. მარკოკი, დ. დეფო, ა. კონან-დოილი, ე. ჰემინგუეი, ფ. დოსტოვესკი, ა. ტოლსტოი, მ. მიუზო, მ. ბულგაკოვი, ჯ. როულინგი, ჯ. ბიერ-სტოუ და სხვები. დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ბავშვების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მე-9-12 კლასელი მოსწავლეები, გარკვეულ ინტერესს ამჟღავნებენ სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისადმი. ზოგ მათგანს ამორჩეული აქვს მომავალი სპეციალობა, გამოკვეთილია მისი საკითხავი ინტერესი. გამორჩეულ მიდგომას საჭიროებს მოსწავლე, რომელიც პირველად მოვიდა ბიბლიოთეკაში. იგი ერთბაშად აღმოჩნდება წიგნის სამყაროში, ინფორმაციის უკიდევანო გარემოში. მის სახეზე შეიძლება აღიბეჭდოს გაცემა, გაკვირვება, ერთგვარი დაბნეულობა - რა წაიკითხოს, რომელი წიგნი იქნება მისთვის პირველი, რომელითაც დაიწყება ბავშვის მკითხველური ბიოგრაფია. ბიბლიოთეკარმა ხმადაბლა, ტაქტითა და ყურადღებით უნდა აუხსნას ბავშვს - რას ნიშნავს ბიბლიოთეკა, სად არის მისი ასაკისათვის განკუთვნილი გამოცემები, როგორ იკითხოს, რა წესებია ბიბლიოთეკაში მიღებული წიგნების შერჩევისა და ბრუნვის პროცესში. ბიბლიოთეკარმა

პირველივე საუბარში უნდა დააზუსტოს ბავშვის საკითხავი ინტერესი. რა აქვს წაკითხული ბიბლიოთეკაში მოსვლამდე. ბავშვმა ხალისით უნდა გადაათვალიეროს პირველი წიგნი, რომელიც ჩაიწერება მის ფორმულარში. ბიბლიოთეკარი უნდა მოერიდოს წიგნის შინაარსის წინასწარ გაცნობას, შეიძლება გააცნოს რომელიმე საინტერესო ეპიზოდი, რითაც უნდა გააძლიეროს ბავშვის ინტერესი. პირველად შერჩეულ წიგნს, ბევრ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის კითხვის ინტერესის ჩამოყალიბებასა და მისი ინტელექტუალური ზრდისთვის.

იმ საბავშვო ბიბლიოთეკებში, სადაც ფუნქციონირებს უცხოური ლიტერატურის განყოფილებები, სადაც აქვთ ინტერნეტი, ბავშვები დამოუკიდებლად აწარმოებენ ძიებას სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით. ყოველ შემთხვევაში, საბავშვო ბიბლიოთეკას უნდა გააჩნდეს სტანდარტების შესაბამისი საცნობარო-აპარატი - კატალოგებისა და კარტოთეკების სისტემა; ანბანური კატალოგი მთლიან ფონდზე, სისტემატური კატალოგი ბავშვთა ასაკობრივი პრინციპით ორგანიზებული; საბავშვო პერიოდული გამოცემებიდან ამოკრეფილი მასალების კარტოთეკები; ბავშვი მკითხველი დამოუკიდებლად ირჩევს საჭირო გამოცემებს კატალოგების დახმარებით, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები ძირითადად თავისუფალი დაშვების თაროებიდან ირჩევენ სასურველ გამოცემას. საჯარო ბიბლიოთეკებსა და სასკოლო ბავშვ მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობა კითხულობს წიგნს ბეჭდური სახით. უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები კომპიუტერში ძირითადად ეძებენ ინფორმაციის წყაროებს ცალკეულ საგნებში პედაგოგის, მითითებითა და კონსულტაციით.

წიგნის სამყაროში შემოსული ბავშვი თანდათანობით იზრდება ინტელექტუალურად, ფართოვდება მისი ცოდნის ჰორიზონტი : კითხვის პროცესში იგი თანდათანობით გადადის ადვილიდან ძნელზე, ნაცნობიდან უცნობზე, რაც მისი გონებრივი სიმწიფის ადმავალ გზაზე გადამწყვეტ როლს ასრულებს. ეს პროცესი ხელს უწყობს მოზარდის სრულყოფილ, განათლებულ, პიროვნებად ჩამოყალიბებას.

მანანა დეკანოსიძე

სააკლესიო გალობის უმაღლესი სასნ.

ზიზლიოთიკის ფონატიკის უფროსი

თავდაღებული ურომითა და მონღოლებით

„ნათარ არს პრი იგი, რომელმან იცის გალობა უენი, უზალო!“

„ღავითნი“

მე მინდა, ამ შესანიშნავი სასწავლებლის შესახებ მოგიხსროთ, გაგაცნოთ მისი მიზნები და შემოქმედებითი ცხოვრება, გაგაცნოთ ის არაჩვეულებრივ კოლექტივი და პედაგოგები, რომლებიც არ იშურებენ დროს და ენერგიას, რათა მოამზადონ კვალიფიციური მგალობლები, რეგენტები, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მთელი საქართველოს მასშტაბით განაგრძობენ გალობის შემსწავლელი გუნდების ჩამოყალიბებას და ეკლესიამონასტრებში წირვა-ლოცვის საეკლესიო გალობით დამშვენებას.



ქართულ საეკლესიო გალობას მრავალწლიანი ისტორია აქვს. გალობა ყოველთვის იყო ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილი.

რუსული იმპერიალიზმის და ათეისტური რეჟიმის პირობებში, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, რა

თქმა უნდა, ქართული საეკლესიო გალობაც უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული გალობის ცოცხალი შესრულება შეწყდა და მივიწყებას მიეცა.

ჯერ კიდევ XIX ს. 60-იან წლებში შეიქმნა „გალობის აღმადგენელი კომიტეტი“, რომელსაც დაევალა უდიდესი საერო საქმე გადაეტანა ქართული საეკლესიო საგალობლები ნოტებზე. სწორედ ამ კომიტეტის დამსახურებაა, რომ ჩვენამდე მოაღწია იმ საუნჯემ, რასაც ქართული საეკლესიო გალობა ჰქვია. გალობის მცოდნეთა რიცხვი იმ დროს უკვე ძალიან შემცირებული იყო. მისი ნოტებზე გადატანა მხოლოდ რამდენიმე კაცს შეეძლო. ამ საქმის უბადლო შემსრულებლები იყვნენ: ფ. ქორიძე, ძმები კარბელაშვილები, ექ. კერესელიძე და რ. ხუნდაძე. მათი დაუხარელი შრომისა და ქართული საეკლესიო გალობის უსაზღვრო სიყვარულის შედეგია, რომ დღეს მოგვეპოვება მათ მიერ ნოტებზე ჩაწერილი ათასობით საგალობელი.

1960-იან წლებში დაიწყო საეკლესიო გალობისადმი დიდი ინტერესი. რელიგიურობის დაგმობის მიუხედავად, ქართული გალობა პირველად რამდენიმე ფოლკლორულმა ანსამბლმა შეასრულა. მათ შორის იყო ანსამბლები „გორდელა“ და „რუსთავი“. სწორედ ანსამბლმა „გორდელა“-მ შეიტანა თავის რეპერტუარში ცნობილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“. ამით პირველი ნაბიჯი გადაიდგა კვლავ დაინტერესებულიყო ქართული გალობით საზოგადოების ფართო ფენები.

მრავალი წელი დასჭირდა საეკლესიო გალობის კვლავ აღორძინებას. და რომ არა ჩვენი უწმინდესის და უნეტარესის ილია II - ის

სურვილი, დღეს ეს სასწავლებელიც არ იარსებებდა.

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი სათავეს იღებს „ქართული საგალობლისა და სიმღერის საერთაშორისო ცენტრიდან“, რომელიც 2006 წელს დაფუძნდა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის მიერ.

სასწავლებლის შენობის კურთხევისას, 2006 წლის 19 სექტემბერს, სრულიად საქართ-



ველოს კათალიკოს-პატრიარქმა ბრძანა: „ჩვენ ვიწყებთ ძალიან დიდ საქმეს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ლოტბარები, ვისაც ჩვენ აღზრდით, მთელ საქართველოში შექმნიან გუნდებს, რომელთა მეშვეობითაც მთელი საქართველო ადიდებს უფალს“.

სასწავლებელი, რომელიც ქართული საეკლესიო გალობის რეგენტებისა და ხალხური სიმღერის ლოტბარების აღზრდაზე იქნებოდა სპეციალიზირებული, ქართული ტრადიციული მუსიკის მოყვარული საზოგადოებრიობის დიდი ხნის ნატვრა იყო.

სასწავლებლის შექმნის სათავეებთან იდგნენ მამადავითის მონასტრის არქიმანდრიტი იოანე (კიკვაძე) და ქართული ხალხური სიმღერა-გალობის დიდი მოამაგე ანზორ ერქომაიშვილი. ბატონი ანზორის ბაბუა - ცნობილი ლოტბარი არტემ ერქომაიშვილი ამბობდა: „მთავრობამ სპეციალური სკოლა უნდა გახსნას, სადაც ახალგაზრდებს მხოლოდ ძველ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს შეასწავლიან“. წინაპართაგან ნაანდერძევე ამ ინიციატივას გვერდით დაუდგა ქართული ტრადიციული მუსიკის მოყვარული ბიზნესმენი ივანე ჩხარტიშვილი; რომლის ძალისხმევით და საქართველოს ეკლესიის საჭეთმკურობლის კურთხევით შესაძლებელი გახდა ამ ნანატრი

სასწავლებლის ჩამოყალიბება, იგი ამავე დროს არის სასწავლებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, წევრები კი სესილი გოგიბერიძე და ლექსო თორაძე. სასწავლებლის რექტორი გახლავთ არქიმანდრიტი იოანე (კიკვაძე).

2014 წელს გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელში გარკვეული რეფორმები განხორციელდა. შეიცვალა ადმინისტრაცია, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ნანა გოთუა. სამეთვალყურეო საბჭოს დღესაც ივანე ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობს. საბჭოში ასევე ირიცხებიან ლექსო თორაძე და სესილი გოგიბერიძე. სასწავლებელს შეეცვალა წესდება, ხელახლა დაკომპლექტდა ადმინისტრაციული პერსონალი და ნაწილობრივ - პროფესურა, მოწესრიგდა საქმის წარმოება, რამაც ახალი სასწავლო წლისათვის ბევრი სასიკეთო ცვლილება გამოიწვია. ამჟამად სასწავლებელი, როგორც სასწავლო უნივერსიტეტი, აბიტურიენტებს, გარდა ბაკალავრიატისა, უკვე მაგისტრატურაში სწავლასაც სთავაზობს. მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, სტუდენტებს ელით განახლებული აუდიტორიები და ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკის ფონდი, ძირითადად, დაკომპლექტებული, სასწავლო ლიტერატურით. მაგალითად: მ. ერქვანიძე - „ქართული საეკლესიო გალობა“ ტ.1, (ბიბლიოთეკაში დაცულია შვიდივე ტომი, რომელებიც აქტიურ გაცემაშია); დ. შუღლიაშვილი „ქართული საეკლესიო გალობა, შემოქმედის სკოლა“, დ. შუღლიაშვილი - ზ. წერეთელი „საგალობლო სანოტო ხელნაწერთა არქივიდან“; ვ. გვახარია - „ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი“, დ. შუღლიაშვილი „ქართული სამგალობლო სკოლები და რვახმის სისტემა“, ნ. გამყრელიძე - „ქართული ხალხური სიმღერები ფანდურისა და ჩონგურის თანხლებით“ და უამრავი დისკი ძველი ქართული საგალობლების და ხალხური სიმღერებისა, სხვადასხვა პოპულარული ანსამბლების შესრულებით, როგორებიცაა ანსამბლები: „ბასიანი“, „შავნაბადა“, „სახიობა“, „გორდელა“, „ქართული საგალობლები“, „თერთმეტი მარგალიტი“, სასწავლო დისკები და სხვა.

ბიბლიოთეკა კეთილმოწყობილია. გარდა სასწავლო ლიტერატურისა, აქ სტუდენტებს შეუძლიათ იკითხონ მხატვრული ლიტერატურაც. ბიბლიოთეკის ფონდშია ისეთი სერიული გამოცემები, როგორიცაა: „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ“,

„მწიგნობრობა ქართული“, „ჩემი რჩეული“, „ყველა წმინდანი, რომელთა შესახებაც უნდა იცოდნენ - საქართველოს იმედი“ და სხვა უამრავი ცალკეული გამოცემა.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითაც. კომპიუტერების საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ ნებისმიერი დისკის, ძველი ჩანაწერის მოსმენა. ბიბლიოთეკაში ტარდება ახალი წიგნების პრეზენტაციები, საჯარო ლექციები, (ანზორ ერქომაიშვილის, თათიაჩხეიძის, თამაზ გაბისონიას), შეხვედრები გამორჩენილ ადამიანებთან. ერთ-ერთი მათგანი იყო ქართლ-კახური სიმღერე-



ბის საუკეთესო მცოდნე და შემსრულებელი, მომღერალი და ლოტბარი ანდრო სიმაშვილი (ანდრო პაპა). წელთა სიმრავლის მიუხედავად (ბატონი ანდრო 91 წლისაა), იგი ახალგაზრდული ენერჯით საუბრობდა ქართული ხალხური სიმღერის შესახებ. სტუმარმა მსმენელებს მოუთხრო, თავისი ხანგრძლივი და რთული ცხოვრების მანძილზე რამდენჯერ დაეხმარა ქართული ხალხური სიმღერა, რა სიმღელები ხვდებოდა ხალხური სიმღერების მოძიების და გადარჩენის პროცესში, რა შთაბეჭდილებას ახდენდნენ მასზე ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლები და როგორ შემოუნახა შთამომავლობას ბევრი უნიკალური სიმღერის ტექსტი და საშემსრულებლო ოსტატობა.

შემდეგ ანდრო პაპამ სიამოვნებით უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს. სადამო დასრულდა რამდენიმე სიმღერით, რომლებიც საპატიო სტუმარმა სტუდენტებთან ერთად შეასრულა.

სასწავლებლის სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ ისეთ ღონისძიებებში, როგორცაა საბიბლიოთეკო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებლის პროფესორ ალექსანდრელორიას დაბადებიდან 80 წლისთავი, რომელიც 2014 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. სტუდენტებმა შეასრულეს რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა და საგალობელიდა ისეთი დიდი მოწონება დაიმსახურეს, რომ იქვე მიიღეს მოწვევა შემდეგ ღონისძიებაზე.

სასწავლებელში გახსნილია ანზორ ერქომაიშვილის და მალხაზ ერქვანიძის სახელოსნოები. სტუდენტებს ლექციებს უტარებენ ისეთი პროფესიონალები, როგორებიც არიან: დათო შუღლიაშვილი, გიორგი დონაძე, ზურა წკრიალაშვილი, თათია ჩხეიძე, ნათელა გამყრელიძე, ალა ჩუტკერაშილი, მანანა ჭლენტი, თამარ ასათიანი, ელდარ ბუბულაშვილი და სხვები.

სულ ახლახანს, მიმდინარე წლის 18 მაისს ქალაქ ოზურგეთში გაიმართა, ხალხური და თანამედროვე სიმღერების მეორე დასკვნითი ტური ჟიურის გადაწყვეტილებით, ხალხური სიმღერის ნომინაციაში იგაიმარჯვა გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის გუნდმა ჩვენი სტუდენტების პირველი ნაბიჯები სტუდენტურ დღეებზე გამარჯვებით დაგვირგვინდა.

გარდა ამისა, სასწავლებელში გაიმართა საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლისა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთობლივი სტუდენტური კონფერენცია „საეკლესიო და თეორიული მუსიკოლოგიის აქტუალური პრობლემები“, რომელიც მიეძღვნა მანანა ანდრიაძის ხსოვნას. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სასწავლებლის მაგისტრანტებმა: ლელა ხომასურიძემ, მარიამ გელაშვილმა, დავით ცინცაძემ; თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიიდან: ნინო სამხარაძემ, თეონა უგულავამ, მარიამ ქაშუშაძემ (ბაკალავრიატი), შორენა მეტრეველმა, ეკატერინე ყაზარაშვილმა, (მაგისტრატურა), ლევან გომელაურმა, რუსუდან თაბაგარმა, თამარ ფუტყარაძემ, (დოქტორანტურა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტმა სოფიო მოდებაძემ, სტუდენტების მრავალფეროვანმა და საინტერესონა შრომებმა, რომლებიც ეხებოდა როგორც კლასიკური, ისე საეკლესიო მუსიკოლოგიის პრობლემებს, დამსწრეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

2014 წლის 4 აგვისტოს, პირველად საქართველოს საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო სივრცეში, ჩვენი სასწავლებლის 2014 წლის 5 კურსდამთავრებულს სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი გადაეცა.

2015 წ. კი სასწავლებელი ოთხმა სტუ-

დენტმა დაამთავრა, რომელთაც სექტემბერში სახეიმო ვითარებაში გადაეცემათ სახელმწიფო დიპლომები.

საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელს აქვს მოსამზადებელი ფაკულტეტიც, სადაც მთელი ერთი წლის მანძილზე სწავლობდნენ ფოლკლორული ანსამბლის „იალონი“-ის რამდენიმე წევრი, რომელთა კონცერტებიც არაჩვეულებრივი წარმატებით ჩატარდა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო



დარბაზსა და ლატვიის რამდენიმე ქალაქში.

აღსანიშნავია ისიც, რომ საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები უკვე გალობენ სხვადასხვა ფოლკლორულ ანსამბლებში და დიდი წარმატებითაც.

არ შემიძლია დიდი მოწიწებით და პატივისცემით არ ვისაუბრო ბატონ ვანო ჩხარტიშვილსა და ქალბატონ ნანა გოთუაზე. ესენი არიან იშვიათი გრძნობის ადამიანები, ადამიანები, რომელთა მხარდაჭერასა და ზრუნვას ვგრძნობთ თითოეული სტუდენტი თუ თანამ-

შრომელი, რათა ჩვენ გვქონდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა თავი ვიგრძნოთ კომფორტულად, კარგად და უზრუნველყოფილი ვიყოთ სახელფასო ფონდით.

ქალბატონი ნანას დამსახურებაა ის მდიდარი და მრავალფეროვანი წიგნადი ფონდი, რომელიც სასწავლებლის ბიბლიოთეკაშია. მას არასდროს ენანება (სხვა სასწავლებლის ხელმძღვანელებისაგან განსხვავებით) წიგნში თანხის გადახდა. ამან კი თავისთავად ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის უკვე მზად იქნება კიდევ ორი სახელოსნო და დიდი აუდიტორია, შესაბამისი ინვენტარით, რათა ჩვენმა სტუდენტებმა კიდევ უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი.

ქალბატონი ნანა არის საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ აღმასრულებელი დირექტორიც. ფონდმა თავისი არსებობის მანძილზე კულტურის დარგში მოღვაწე მრავალი პიროვნება დააჯილდოვა.

ასე რომ, მომავალი მგალობლებო, ლოტბარებო, რეგენტებო! ჩვენი სასწავლებლის კარი ღიაა თქვენთვის. გელით მოუთმენლად. სწავლება უფასოა. დაინტერესებულ პირებს სასწავლებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მოძიება შეუძლიათ საიტზე: gabolba.edu.ge. მისამართი: სანდრო ეულის ქ. N3 - საპატრიარქოს ტელევიზიის „ერთსულოვნების“ შენობა, მე-5 სართული. ტელ: 306 594.

მასალის და ფოტოების მოწოდებისათვის დიდ მადლობას ვუხედი ქალბატონ ხატია წიკლაურს, სასწავლებლის ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტს.

ირინა ალიაშვილი

წიგნები ომის შემდეგ

ყველაზე ახალგაზრდა ბიბლიოთეკა


წეროვანის დევნილთა დასახლებაში, გამგეობის უკან პატარა შენობა დგას. როგორც ყველა სახლი ამ დასახლებაში, ისიც კოტეჯის ტიპის ახალაშენებული შენობაა. ეს წეროვანის კულტურის ცენტრია. შენობაში სააქტო დარბაზის გარდა, 2013 წლიდან ბიბლიოთეკაც ფუნქციონირებს, რომელშიც 5000-მდე ახალი წიგნი ინახება. ბიბლიოთეკის თანამშრომლებ-

მა ყოველი წიგნის აქამდე მოღწევის ისტორია იციან. ომის მერე, ცარიელ მიწაზე ჩამოსახლებულმა ახალგორელებმა საცხოვრებელ სახლებთან ერთად, ცოტა ხანში, ბიბლიოთეკის აღდგენაზეც დაიწყეს ზრუნვა.

წეროვანის ბიბლიოთეკა დღეს საქართველოს იურისდიქციაში არსებულ ყველა ბიბლიოთეკაზე ახალგაზრდა და მოცულობითაც

პატარაა. წიგნები ერთ პატარა ოთახშია თავმოყრილი, მიუხედავად ამისა, მათი განლაგება და კლასიფიკაცია საბიბლიოთეკო სტანდარტებითაა დაცული.

“ჩვენი ადგილობრივი გამგეობა ყველანაირად გვეხმარება, რითაც შეუძლია: ხელფასებს გვიხდის, წიგნადი ფონდისთვისაც გვაძლევს ფულს, მაგრამ ეს მაინც არაა საკმარისი. უამრავი წიგნი გვაკლია, პრესა გვჭირდება, მა-



გრამ ვერც ვთხოვთ, ვიცით, რომ გამგეობასაც ძალიან უჭირს”, ამბობს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ეთერ ფსუტური.

პატარა, სუფთა, მოვლილ და ნათელ ოთახში წიგნის თაროებია ჩამწკრივებული. თუმცა ბიბლიოთეკას კომფორტული სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერები და ინტერნეტი სჭირდება.

ომის მერე მხოლოდ 5 წელი იყო გასული. სტრესი, დეპრესია და უიმედობის ეტაპი იდგა. საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან გამოყრილი, ბედის ანაბარად მიტოვებული მოსახლეობა ნელ-ნელა იწყებდა ცხოვრებას ახლიდან. ეთერმა და მისმა რამდენიმე თანამშრომელმა ბიბლიოთეკის აღდგენა გადაწყვიტეს.

“თქვენ წარმოიდგინეთ, იყო მოსახლეობის მოთხოვნაც. ხომ წარმოუდგენელია, ადამიანი ომს გამოექცე, თავშესაფარი და საკვები სანატრელი გქონდეს, მაგრამ წიგნები მაინც გაინტერესებდეს” - იხსენებს ეთერი ომის შემდეგ წლებს, “ნელ-ნელა მივხვდით, რომ საქმე უნდა გაგვეგრძელებინა”.

ჰოდა, გააგრძელეს კიდევ: რკინის ქალამნები ჩაიცვეს, ყველგან მივიდნენ, ყველა ორგანიზაცია შეაწუხეს... გურამ ოდიშარიამ თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან 80 ცალი წიგნი აჩუქა, მიიღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისგან და პრეზიდენტის ფონდისგან ფულადი ვაუჩერები, რომლითაც

წიგნები იყიდეს და ასე, ნელ-ნელა ამოძრავდნენ.

“აი, დღესაც, სანამ თქვენ მოხვიდოდით, ერთი ქალბატონი იყო მოსული. თავისი ინიციატივით, ისე, რომ ჩვენ არაფერი გვითხოვია, სურს, რომ წიგნები გვიყიდოს, კეთილ ხალხს რა დალევს” - ამბობს ეთერი.

ცხოვრება 2008-მდე და 2008-ის შემდეგ

იქამდე ცხოვრება მშვიდად მიდიოდა ახალგორში. 20 000-ზე მეტ წიგნს იტევდა უზარმაზარი, ძველებური შენობა ახალგორში. ფონდი სამენოვანი იყო: ქართული, ოსური და რუსული. სურად, წიგნებს ცხინვალის გამომცემლობა “ირისტონი” ბეჭდავდა და ის ამბარაგებდა მთელ რეგიონს, მთლიანი ფონდის მეოთხედი ნაწილი ოსურენოვანი იყო.

ატარებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, ადგილობრივი ქსნის ერისთავობა იყო, რომელიც ყოველ ოქტომბერს აღინიშნებოდა. ჰქონდათ კედლის გაზეთი, რომელსაც ყოველკვირეულად აახლებდნენ და არა მხოლოდ - ახალგორის, არამედ მთელი რეგიონის ბიბლიოთეკების სიახლეებზე წერდნენ. გამორჩეულად ხვდებოდნენ პირველკლასელებსაც. პატარა მოსწავლეებს ბიბლიოთეკა ყოველწლიურად აცნობდა ბიბლიოთეკის სპეციფიკას, ჩაწერისა



და წიგნების მოთხოვნის სისტემას, საბავშვო წიგნებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განყოფილებით მოხმარების წესებს და ა.შ.

იმ ზაფხულსაც ასე იყო დაგეგმილი. თბილისიდან ახალ წიგნებს ელოდნენ. ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა. ეთერ ფსუტური იხსენებს, რომ როცა ომი დაიწყო, მაშინვე ბიბლიოთეკის სანახავად გაქანდნენ. ახალი წიგნები ყუთებიდან გადმოეყარათ და გზაზე ეყარა.

“ეს იყო ცხადი კომმარტი, გზაზე დაყრილი ამდენი ახალთახალი წიგნი”- იხსენებს მეორე თანამშრომელი, ნინო ჟივიძე. “მაგრამ სომიციოთ, ომის პერიოდში ე.წ. “მოროდორობა” ყველგან ხდება, წიგნებს ვინდა დაექებდა. თუმცა, ოსური მხარის სასარგებლოდ რაც უნდა ითქვას ისაა, რომ მათი კონტროლის დამყარების და სიტუაციის მათებურად დალაგების შემდეგ, წიგნები დააღაგეს, ფონდები აღადგინეს, არც ერთი ფონდი არ განადგურებულა, მათ შორის, არც - ქართულენოვანი”.

ომის მერე საზღვრები მათთვის მაშინვე არ დაკეტილა. როგორც შეეძლოთ, მიმოდოდნენ ახალგორში და წიგნებს ყარაულობდნენ. ქართულენოვანმა მკითხველმა საგრძნობლად იკლო, სამაგიეროდ, გაჩნდა რუსულ წიგნებზე მოთხოვნა.

“იმდენი რუსი შემოვიდა ომის მერე, ჯარისკაცები თავისთავად, მსუბუქ საკითხავ წიგნებს და პრესას კითხულობდნენ, აღარც ოსურენოვან წიგნებზე იყო მოთხოვნა მაინცდამაინც, ქართველებიც ძალიან ცოტანი დარჩნენ”- ყვება ნინო ჟივიძე.

იმავ პერიოდში დაახლოებით კიდევ ერთი და უკანასკნელი ღონისძიების ჩატარებაც მოასწრეს. ბიბლიოთეკაში სახალხო მოქმედებები, უხუცესები დაპატიჟეს და ქართული, ადგილობრივი თქმულებები, ხალხური ლექსები და სიმღერები მოისმინეს.

მერე და მერე, ბიბლიოთეკაში ახალი გამგე დანიშნეს, ძველმა თანამშრომლებმა კი უკვე საბოლოოდ დატოვეს იქაურობა.

ახალი ბიბლიოთეკა და ახალი გამოწვევები

“წეროვანში შიშველი ხელებით, მართლა ნულიდან დავიწყეთ შენება...”

“ძალიან მენატრება ჩემი სახლი და ძველი სამსახური, ბევრი მოგონება მაკავშირებს იქაურობასთან...”

“როგორც შეილს ზრდი ტანჯვით, წვალებით, მაგრამ შედეგს ყოველდღე, ყოველწუთს უყურებ, ისეა აქაც, იგივე შრომა ჩავდეთ

ყველამ და, მე პირადად, ემოციური ჯატკეები უკვე წეროვანის ბიბლიოთეკასთან უფრო მაკავშირებს... იქ დალაგებულ-აწყობილ და გამართულ დაწესებულებაში მივედი, აქ კი ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელია, თუმცა ამის გამო ამაყი ვარ”, - მეუბნება ნინო.

“ყოველდღე სამსახურში იმიტომ მოვდივარ სიხარულით, რომ ვხედავ, მკითხველებს შორის ახალგაზრდები გაცილებით მეტნი არიან. როცა აღამიანს 17-18 წლის ასაკში წიგნი უკვე უყვარს, მას ასაკი ვერ გაუნელებს კითხვის სიყვარულს”- აღნიშნავს ეთერი.


ომმა წიგნის სიყვარული ვერ გაუნელა ვერც ახალგაზრდებს, ვერც მოხუცებს. 70 წელს გადაცილებული მკითხველებიც ბევრნი არიან და ბავშვებიც. დარგობრივ ლიტერატურასაც ხშირად ითხოვენ, მეტწილად სტუდენტები.

“საყმაწვილო ლიტერატურაში გვიჭირს ცოტა. ძალიან გვინდა,

რომ ამ ფონდის შევსებაში ვინმე მოგვეხმაროს, 10-15 წლის მოზარდებისთვის ცოტა წიგნი გვაქვს, ლამის ყველა ზეპირად იციან უკვე”- ამბობენ ბიბლიოთეკაში.

ღონისძიებების ჩატარება აქაც განაგრძეს. აქტიურად ატარებენ ლიტერატურულ საღამოებს, პატიჟებენ თანამედროვე მწერლებს და პოეტებს. ბოლოს მწერალ ბაჩო კვიციანიანთან ჰქონდათ შეხვედრა.

300-ზე მეტი რეგისტრირებული მკითხველი 7 წლის წინ შექმნილი დასახლებისთვის არაა ცოტა. მით უმეტეს, რომ ამ რიცხვს ყოველ შემოდგომაზე ახალ-ახალი წევრები ემატებიან: წერა-კითხვის მცოდნე პირველკლასელები, რომლებიც თავიანთი მშობლებისგან განსხვავებით, ახალგორში არასოდეს ყოფილან, უკვე თავისი ნებით ეწერებიან ბიბლიოთეკაში. აქ კი, ეთერ ფსუტური, ნინო ჟივიძე და სხვა ბიბლიოთეკარები აკეთებენ იმას, რასაც ყოველსეკტემბერს. ახალგორში: აცნობენ პატარებს ბიბლიოთეკაში მოქცევის წესებს, ჩაწერის პროცედურებს და ა.შ.





დღეს შენი დღეა, დე!

გაზაფხულის შემოსვლა ყოველთვის ასოცირდება სიხარულთან და ქალბატონებთან, რადგან მარტის თვეშია მათი სადღესასწაულო დღეები: 3 მარტი - დედის დღე და 8 მარტი - ქალთა დღე.



თბილისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა, ია მაქაცარიამ მარტის ორი კვირა ბიბლიოთეკებში ქალებისადმი ღონისძიებებს დაუთმო.

№30 ბიბლიოთეკაში, რომელიც მეტრომ-შენის დასახლებაში მდებარეობს და ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკას ეკუთვნის (გამგე: მზია აბრამიშვილი), 13 მარტს ჩატარდა ღონისძიე-

ბა სათაურით: "ქალი სუსტია, მაგრამ დედაა ძლიერი." საკუთარი ლექსით: "დღეს შენი დღეა, დე!" სტუმრებს მიესალმა 103 ს.ს IV ბ კლ. მოსწავლე: ორეხოვა ლილია, (პედაგოგი დალი კიკნაძე). №30 ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების წამყვანმა ბიბლიოთეკარმა: მ. ნადირაშვილმა თავის ნორჩ მკითხველებს 103 ს.ს IV კლ. მოსწავლეებს და 202_ე ბაგა - ბალის აღსაზრდელებს (პედაგოგი ნანა რიჟამაზე) ზუსტად შეურჩია ლექსები დედაზე.

პატარებმა სიმღერები და ლამაზი, თბილი, გულწრფელი სიტყვები არ დაიშურეს თავიანთი დედებისთვის. ბავშვებმა გაზაფხულის ყვავილები მიართვეს სტუმრებს და დედებს. ნორჩი მკითხველები: სოფო ჯავახიშვილი, ორეხოვა ლილია და ვალენტინა, ჩხაიძე ანა, ხიჯაკაძე ნინო, თუთბერიძე მარიამი, სარქისოვა გიორგი, წულეისკირი ზურა, მჭედლიძე ვანო, კვიციანიძე ირინა, ერთმანეთს ლექსების თქმაში ეცილებოდნენ.

საღამოს უამრავი სტუმარი დაესწრო. სტუმრებს შორის იყვნენ ისანი - სამგორის რაიონის მეთოდისტი ნატო გალუსტაშვილი და №54 ბიბლიოთეკის გამგე ნინო კალმახელიძე.

პოეტ მედეა კახიძის ულამაზესი ლექსით "საგალობელი დედებს" დაიხურა საღამო, რომელიც ბავშვებმა პიმნივით წარმოთქვეს.

თია მელაქა

53-ე ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი

„ორქა“ სტუმრად ბიბლიოთეკაში

გაზაფხულის შემოსვლა ყოველთვის ასოცირდება სიხარულთან და ქალბატონებთან, რადგან მარტის თვეშია მათი სადღესასწაულო დღეები: 3 მარტი - დედის დღე და 8 მარტი - ქალთა დღე.

თბილისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ია მაქაცარიამ მარტის ორი კვირა ბიბლიოთეკებში ქალებისადმი

ღონისძიებებს დაუთმო.

№30 ბიბლიოთეკაში, რომელიც მეტრომ-შენის დასახლებაში მდებარეობს და ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკას ეკუთვნის (გამგე: მზია აბრამიშვილი), 13 მარტს ჩატარდა ღონისძიება სათაურით: "ქალი სუსტია, მაგრამ დედაა ძლიერი." საკუთარი ლექსით: "დღეს შენი დღეა, დე!" სტუმრებს მიესალმა 103 ს.ს IV ბ



კლ. მოსწავლე: ორეხოვა ლილია, (პედაგოგი დალი კიკნაძე). №30 ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების წამყვანმა ბიბლიოთეკარმა: მ. ნადირაშვილმა თავის ნორჩ მკითხველებს 103 ს.ს IV კლ. მოსწავლეებს და 202-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს (პედაგოგი ნანა რიჟამაძე) ზუსტად შეურჩია ლექსები დელაზე.

პატარებმა სიმღერები და ლამაზი, თბილი, გულწრფელი სიტყვები არ დაიშურეს თავიანთი დედებისთვის. ბავშვებმა გაზაფხულის ყვავილები მიართვეს სტუმრებს და დედებს. ნორჩი მკითხველები: სოფო ჯავახიშვილი,

ორეხოვა ლილია და ვალენტინა, ჩხაიძე ანა, ნიჯაკაძე ნინო, თუთბერიძე მარიამი, სარქიშვილი გიორგი, წულუისკირი ზურა, მჭედლიძე ვანო, კვიციანიძე ირინა, ერთმანეთს ლექსების თქმაში ეცილებოდნენ.

სადამოს უამრავი სტუმარი დაესწრო. სტუმრებს შორის იყვნენ ისანი - სამგორის რაიონის მეთოდისტი ნატო გალუსტაშვილი და №54 ბიბლიოთეკის გამგე ნინო კალმახელიძე.

პოეტ მედეა კახიძის ულამაზესი ლექსით “საგალობელი დედებს” დაიხურა სადამო, რომელიც ბავშვებმა ჰიმნივით წარმოთქვეს.

ირინა ალიაშვილი

ახალი ჩვენს საბიბლიოთეკო სისტემაში

თანამედროვე სამკითხველო დარბაზებზე მინდა მოგიყვებოთ, რამდენიმე წელია თბილისში რომ მომრავლდა და რომელსაც სამეცადინო კუთხის, ბიბლიოთეკის, სამკითხველო დარბაზის, კაფესა და შეხვედრების დარბაზების ფუნქცია ერთდროულად აკისრია.

ასეთია უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი “ლიგამუსი”, რომელიც ილიაუნის წიგნის სახლს წარმოადგენს და წიგნების და ელ-წიგნების მაღაზიას, სამკითხველო დარბაზს, კაფესა და პრეზენტაციების ჩასატარებელ ფართს წარმოადგენს.

ლიგამუსი 2008 წელს დაარსდა და წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი ცვლილება განიცადა. დღეს მაღაზია და კაფე ერთდროულად ას მკითხველს იტევს, აქვს მხატვრული და პროფესიული ლიტერატურის დიდი კოლექცია. გარდა ამისა, ყოველ კვირას აქ საჯარო ლექციების ციკლი იმართება: ლიტერატურული კლუბი მკითხველს საყვარელ მწერლებთან, მთარგმნელებთან ახვედრებს და ახალი წიგნების პრეზენტაციებზე იწვევს; ტარდება დისკუსიები ფსიქოანალიზზე, სტუდენტური კლუბების პრეზენტაციები. გასულ წელს დაიწყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი “ილიაუნის მწერალი”, რომლის ფარგლებშიც სცენარისტი ქეთი დევედარიანი დაინტერესებულ აუდიტორიას წერის ტექნიკას ასწავლის.

თუკი მცირეწლოვანი შვილი გყავთ, რომლის დატოვებასაც ვერსად ახერხებთ და იძულებული ხართ, თან წაიყვანოთ და ისე იმეცადინოთ, “ლიგამუსი” ამ შემთხვევაში პატარა მკითხველსაც არ დატოვებს უსაქმოდ - ყოველ შაბათს პატარებს აქ ზღაპრის ოთახში მასპინძლობენ და ასაკის შესაფერის ლიტერატურის კითხვასთან ერთად, სხვადასხვა აქტივობებშიც აბამენ, რაც ამა თუ იმ ერთად წაკითხულ ზღაპარს ან ლიტერატურულ გმირს უკავშირდება.

ერთი წლის წინ გაიხსნა “სააკაშვი-



ლის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა” კოსტავას ქუჩაზე, რომელიც ამერიკული საპრეზიდენტო

ბიბლიოთეკების მოდელის მიხედვით შეიქმნა, თუმცა აშშ-სგან განსხვავებით, ის არა - სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ - კერძო შემოწირულობებიდან და არასამთავრობო სექტორიდან ფინანსდება.

წიგნადი ფონდი 5000-მდე წიგნისგან



შედგება და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებს, სამართალს, არქიტექტურას და დიზაინის სფეროს მოიცავს. წიგნების უმეტესობა ინგლისურენოვანია, დაახლოებით 15% კი - ქართულ ენაზეა. ცხადია, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ბიბლიოთეკას წიგნები შესწიროს.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა გეგმავს ბიბლიოთეკის და სამკითხველო და საპრეზენტაციო დარბაზებთან ერთად აქ მუზეუმის განყოფილებაც გახსნას. ექსპონატები ჯერჯერობით გროვდება. მათ შორისაა: საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი, პოლონეთის სახელმწიფო ორდენი და ხმალი, მალტის სახელმწიფო ორდენი, ამერიკის სამხედრო ძალების ტყავის ქურთუკი პრეზიდენტის სახელით და გვართ, ვიქტორ კლიჩკოს ნაჩუქარი კრივის ხელთათმანები და სხვა სამახსოვრო ნივთები თუ სუვენირები, რომლებიც პრეზიდენტის კაბინეტში ინახებოდა.

შენობაში, რომლის ავტორიც ცნობილი გერმანელი არქიტექტორი, იურგენ მაიერია, ფუნქციონირებს სამკითხველო დარბაზები, კომპიუტერული ლაბორატორია და შეხვედრების ორი ოთახი, მათ შორის, დიდი საკონფერენციო დარბაზი 120-140 მსმენელისთვის, რომელიც უახლესი ხმის სისტემითა და პროექციების აპარატურითაა აღჭურვილი.

ბიბლიოთეკით სარგებლობა უფასოა. მკითხველებისთვის რეგისტრაცია საჭირო არაა. მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს უკაბელო ინტერნეტი. ბიბლიოთეკის შენობიდან წვდომა გექნებათ ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე, როგორცაა -Evergreen და J-STOR.

ბიბლიოთეკისთვის პირველი წელი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა და მენეჯმენტის თქმით, ტემპი წელსაც შენარჩუნდება. მათ ანგარიშზე უკვე 91 საჯარო დისკუსია, 6 გამოფენა, 16 ფილმის ჩვენება, 2 წიგნის პრეზენტაცია და 12 სტუდენტური შეხვედრა ირიცხება. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური ორგანიზაციებისთვისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზის გამოყენება უფასოა.

ბიბლიოთეკა ასორციელებს რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს სპეციალურად სტუდენტებისთვის, მათ შორისაა, “კაპიტოლიუმი” (კონკურსი საჯარო გამოსვლაში ამერიკის პრეზიდენტების თემაზე), “საქართველო ნატო - პასუხი სკეპტიკოსებს” (ასევე საჯარო გამოსვლა) და “პლატინუმი” - სტუდენტების პრეზენტაციები საკუთარი სტუდენტური გამოცდილების შესახებ აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის. გარდა ამისა, წარმატებით დამთავრდა სტუდენტების სერტიფიცირებადი სტაჟირების პროგრამა. ხელმძღვანელობის თქმით, 2015-2016 წლისთვის პროგრამა კვლავ გაგრძელდება. ამ სასწავლო წლისთვის იგეგმება აგრეთვე მხატვრებისთვის ხელშეწყობა და დამატებითი გამოფენების მოწყობაც.


უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ფუნქციონირებს მედიათეკების ქსელიც, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკების თანამედროვე ტიპია და მისი ფონდები სხვადასხვა ტიპის წიგნებსა და დოკუმენტაციას მოიცავს.

თბილისის მედიათეკების გაერთიანება თბილისის მერის ინიციატივით ორი წლის წინ დაარსდა. დღესდღეობით ფუნქციონირებს ორი ფილიალი - ვაკის პარკსა და ვარკეთილში, საერთო ჯამში დარეგისტრირებული მკითხველების რაოდენობა 2000-მდე წევრს აერთიანებს. შენობები სამკითხველო დარბაზებს, კომპიუტერულ სივრცესა და მულტიმედიურ დარბაზებს აერთიანებს. გარდა ამისა, აქვე ფუნქციონირებს წიგნებისა და ქართული სუვენირების მაღაზიაც. არც პატარები ავიწყდებათ აქ - ბიბლიოთეკაში საბავშვო განყოფილებაა გახსნილი, სადაც ეწყობა კითხვის და ხატვის საათები, მულტფილმების ჩვენება და სხვადასხვა ღონისძიებები მოზარდებისთვის.

2013 წლიდან თბილისის მედიათეკების გაერთიანება ბიბლიოთეკების ასოციაციის საერთაშორისო ფედერაციის, IFLA (International Federation of Library Association) წევრია და ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან თანამშრომლობს. კინოჩვენებები, სეზონური თეატრალური წარმოდგენები, სკოლების ორგანიზებული ვიზიტები, კონკურსები და სხვა საინტერესო პროექტები - ორწლიანი მუშაო-

ბისშემდეგ უკვე შესრულებულია.

ცხადია, ამ ჩამონათვალში საპატიო ადგილს იკავებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არა ერთ სამკითხველო დარბაზს, 3 მილიონზე მეტ გამოცემას, საპრეზენტაციო



და საგამოფენო უფასო სივრცეებს, ციფრულ თუ აუდიო-ვიზუალურ ფონდს, დისერტაციების კოლექციას, კომფორტულ, რეკრეაციულ ზონას, საბავშვო კუთხეს და შიდა ეზოებს აერთიანებს. უკაბელო ინტერნეტი მთელ შენობაში და შიდა ეზოში მოქმედებს. ელექტრონული კატალოგების მეშვეობით გამოცემის მოძიება სამ მილიონ წიგნში უკვე ისეთი მარტივია, როგორც - არასდროს ყოფილა; ხოლო პროგრამა “სიერას” (რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ წიგნის შიფრის

მოძიება, არამედ მისი ინტერნეტით დაჯავშნა და გამოწერა) ექსპლუატაციაში ჩაშვების შემდეგ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა იქნება საქართველოში პირველი, რომელიც მსოფლიო ბიბლიოთეკების საუკეთესო გამოცდილებას ჩვენს ქვეყანაშიც დანერგავს.

როგორც ხედავთ, სასიამოვნოს სასარგებლოსთან შეთავსება უკვე თავისუფლად შეესაძლებელია. თბილისში მომრავლებული თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკები ერთმანეთზე უფრო მიმზიდველ სივრცეს ქმნიან სტუდენტებისთვის, რათა მეცადინეობის და მუშაობის დამდღელი პროცესი მაქსიმალურად სახალისო, დატვირთული და სასიამოვნო გახდეს.

გზია ტოგონია

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე თბილისის №15 ბაგა-ბაღში

“ბავშვების აღზრდაზე პასუხისმგებელი სამი ინსტიტუტი უნდა იყოს: ოჯახი, ეკლესია და სკოლა. სამივემ შეთანხმებით უნდა იმოქმედოს და უნდა შექმნას საგანგებო პროგრამა ერთობლივად აღზრდისათვის”

საქართველოს კათოლიკოს
პატრიარქი ილია II

ბავშვის აღზრდის სწორი კალაპოტით წარმართვისათვის არანაკლები როლი ენიჭება მათ აღზრდას ბაგა-ბაღებში, რომელიც წარმოადგენს საფუძველს ბავშვის უნარ-ჩვევების სწორად ჩამოყალიბებაში.

ჩვენი ცხოვრების თითოეული საათი ბავშვებს, მომავალ თაობას ეკუთვნის, მაგრამ მათთვის განსაკუთრებული მანძი 1 ივნისია - “ბავშ-



ვთა დაცვის საერთაშორისო დღე”, რომელიც ემთხვევა, აგრეთვე, ერთ-ერთ უდიდეს რელიგიურ დღესასწაულს - წმ. ნინოს შემობრძანებას საქართველოში და კიდევ უფრო ამაღლებს

ამ დღის მნიშვნელობას.

“ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე” ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ დააწესა 1949 წლის ნოემბერში და 1950 წლის 1 ივნისიდან აღინიშნება მთელს



მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში. დღესასწაულის მიზანია მსოფლიო საზოგადოების აზრის მობილიზება ახალი ომის საშიშროებისაგან ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის.

საქართველოში ორივე დღესასწაული ფართო მასშტაბით აღინიშნება.

ამ წერილში საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის “საგულისონის” მიერ მოწყობილ დღესასწაულზე თბილისის №15 ბაგა-ბაღში, რომელსაც ნახევარსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ლიტერატურული სალონის წევრები, მისი ხელმძღვანელის ქალბატონ ცისანა ქოჩეჩაშვილის ინიციატივით სწორედ ამ ბაღს ვეწვიეთ.

1965 წელს ამიერკავკასიის №16 ბაგა-ბაღის ბაზაზე დიდუბეში აშენდა ლამაზი ორსართულიანი შენობა, რომელიც კეთილმოეწყო, გამწვანდა და გალამაზდა დიდი ეზო, დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები. იმ დროს 300 აღსაზრდელს თავს ევლებოდნენ დვაწლმოსილი პედაგოგები, პრაქტიკას გადიოდნენ ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ და სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტები. იმ დროიდან ამ ბავშვთა სავანეს ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი და ჟურნალისტი ქალბატონი ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანისა, რომელმაც ამ თანამდებობაზე შეცვალა ასევე დამსახურებული პედაგოგი, ვაჟა-ფშაველას ძმისშვილი ქალბატონი ეთერ რაზიკაშვილი. ქალბატონი ჟუჟუნა ბავშვებისადმი სიყვარ-

ულს, პედაგოგიურ აღლოს და გამოცდილებას უზიარებდა საბავშვო ბაღის აღმზრდელებს, ამავდროულად კითხულობდა ლექციებს იაკობ გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ სასწავლებელსა და აღ. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ქალბატონი ჟუჟუნა 50 წელია ემსახურება ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს და დღესაც აქტიურად მონაწილეობს ამ ბაგა-ბაღის ცხოვრებაში, აქ გამართულ ზეიმებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებში.

მიმდინარე წლის 1 ივნისს ბაღი სასიამოვნო სიახლეებით შეხვდა: 2013 წელს შენობა გადაეცათბილისის მერიას, მისი აქტიური ხელშეწყობით შენობა გარემონტდა, აღიჭურვა ახალი ინვენტარით და თანამედროვე სტანდარტებს გაუთანაბრდა. დღეისათვის საბავშვო-ბაღში 518 აღსაზრდელია. მათ ყურადღებას არ აკლებენ თანამშრომლები და ბაგა-ბაღის დღევანდელი ხელმძღვანელი ქალბატონი თამარ მაჭავარიანი-ქადაგიძისა. აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აქ იზრდებიან და ადაპტაციას გადიან უნარშეზღუდული ბავშვებიც, რომელთა აღზრდას აღმზრდელებთან ერთად წარმართავენ: მეთოდისტი, ექიმი, ლოგოპედი, რაც ჩვენი აზრით, მისაბაძი მაგალითია ამ ტიპის დაწესებულებებისათვის. აღსანიშნავია ასაკობრივი ჯგუფების ხალისიანი სახელწოდებები: “მზე”, “გვირილა”, “ჭია-მია”, “ბაჭიები”...

1 ივნისს ლიტერატურული სალონის “საგულისონის” წევრებს ბაგა-ბაღის აღსაზრდელეები შეხვდნენ სპეციალურად მომზადებული საკონცერტო პროგრამით: ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით. ცისანა ქოჩეჩაშვილმა



მისთვის დამახასიათებელი სიტოპოთი და პროფესიონალიზმით წარუდგინა ბავშვებს სტუმრები; მოღვაწეობის და დაბადების საიუბილეო თარიღები მიულოცა ქალბატონ ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანს. სტუმრებმა: პოეტებმა ეთერ აფაქიძემ, გურამ ჭავჭავანიძემ, ლალი ავსა-



ჯანიშვილმა, ზურაბ მამულაშვილმა, მანანა ზაზიკაშვილმა, შოთა ტოგონიძემ... ბავშვებს საკუთარი ლექსები წაუკითხეს, ჟურნალისტმა თამარ კაპანაძემ თბილისი სიტყვები არ დაიშურა მათთვის, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა თანამშრომელთა და აღსაზრდელთა სიმპატიები და აპლოდისმენტები.

განსაკუთრებული მადლიერებით მიიღეს ბა-

გა-ბაღში ქალბატონ ცისანას მიერ საჩუქრად გადაცემული საინტერესო წიგნები, რომლებიც მათ მდიდარ ბიბლიოთეკაშიც კი არ აღმოჩნდა. სტუმრები კმაყოფილები დარჩნენ არა მარტო ბავშვების ნიჭიერებით და მათი მასწავლებლების მიერ გაწეული შრომით, არამედ აღსაზრდელების მოსმენის კულტურით, რაც ხშირად უფროსებისთვისაც კი პრობლემას წარმოადგენს.

დასასრულ დარბაზში ნამდვილი ღხინი გაიმართა უფროს-უმცროსთა ცეკვა-თამაშით, სიმღერებით.

ქალბატონმა ცისანა ქონჩიაშვილმა აქვე დაანონსა თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ქალბატონი ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანის იუბილეს გამართვა ახლო მომავალში, ხოლო პოეტმა შოთა ტოგონიძემ იუბილარს ექსპრომტი მიუძღვნა:

“ მოდის ქვეყნებშემოვლილი
 დღემდე მხნე და ნიჭიერი,
 მწერალი და ჟურნალისტი
 მოყვარული თავის ერის”.

ჩვენ დიდი სიამოვნებით ვუერთდებით ქალბატონ ჟუჟუნასადმი მიძღვნილ მილოცვებს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, იმ ენერგიას და ხალისს, რომელიც მას ჭარბად გააჩნია, რისი სათავეც, ჩვენი აზრით, თავისი პროფესიონალადმი სიყვარული და ერთგულებაა.

თვალსაჩინო შემოქმედი

აია შონია

მუღვივი ძიება და ახლისკენ სწრაფვა (ლევან მოსიაშვილი)

მისი ვნებაა მთა. საქართველოში - კავკასიონი, ევროპაში პირენეებთან აქვს „თავისი ადგილი“. მთა იმიტომ აირჩია, რომ მისმა დახვეწილმა ფორმამ და ცასთან ჭიდილმა მუღვივი ძიებაში მყოფ ხელოვანად აქცია. მხატვრები ადგილის გარდა ფერსაც ამოიჩემებენ ხოლმე, რომელიც მთელ მათ შემოქმედებას

ვასდევს თან. ლევან მოსიაშვილისთვის ასეთი ფერი არ არსებობს, რადგან ყველა ფერი მისია. მხატვარი თამამია არა მხოლოდ ფერთა შეხამებაში, არამედ გამოსატვის ფორმებშიც. ქართული კომპოზიციებით დაწყებული, კახური პეიზაჟებიდან კუბიზმამდე და აბსტრაქციამდე განვლილ გზას თუ თვალს გადავაავლებთ,

შეიძლება ეჭვიც კი შეგვეპაროს, რომ ეს ყველაფერი ერთმა ადამიანმა შექმნა. თავად ხელოვანი ამას ძიებისა და ახლისაკენ სწრაფვის დაუოკებელი სურვილით ხსნის. ფერებისა და ფორმების მრავალფეროვნებას ერთი საერთო აქვს - ქართული ფესვები.

ლევან მოსიაშვილი 1971 წლის 30 აგვისტოს თბილისში დაიბადა. 1993 წელს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტი დაამთავრა. პარალელურად თეატრის რეჟისორის პროფესიასაც დაეუფლა. 1996 წელს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხის მოიპოვა და გადააწვეცა, თავისი სამყარო შეექმნა. პირველი სერიოზული ნახატი 1993 წელს შექმნა. უკვე ოცი წელია მხატვრობა მისი ერთადერთი პროფესიაა. ხელოვნების ამ დარგში აკადემიური განათლება არასოდეს მიუღია. თუმცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი, რომ მისი ნამუშევრები ფიროსმანის, შაგალის, მატისის, პინეს ნახატებისთვის შეედარებინათ. ამ აღიარებამდე მხატვარი მუდმივმა ძიებამ და ახლისკენ სწრაფვამ მიიყვანა. ასევე იმანაც, რომ ხელოვნება მისთვის სულის საყდარია, სადაც ის ისევე ლოცულობს, როგორც ტაძარში. მხატვრის ამ შემოქმედებითი ძიების პროცესში ოთხი სრულიად განსხვავებული ეტაპი გამოიკვეთა.

პირველი პერიოდი ქართული სინამდვილიდან აღმოცენდა. პირველი შთაგონების წყარო მშობლიური კახეთი იყო. კახელი გლეხების ყოფა-ცხოვრება, მათი ტკივილი, საზრუნავი და ღხინი ამ პერიოდის ნახატების ძირითადი თემატიკაა. ქართული სული მის შემოქმედებას ბოლომდე მიჰყვება, თუმცა სახეცვლილად. „ვერ გავექცეოდი იმას, რაც იმ მიწიდან და ფიროსმანიდან მოდის“ - ამბობს მხატვარი. ამ ნამუშევრებს ევროპაში „მოსიაშვილის ფრესკებსაც“ უწოდებენ. ნახატების პერსონაჟები დამთვალეიერებელს ხატების მსგავსად „თვალს აყოლებენ“. ისინი ფერით, სისუფთავითა და სისადავითაც ჰგვანან ხატებს. ნახატებში იგრძნობა ნოსტალგია, მონატრება იმ „დაკარგული სამოთხისა“, რომელსაც კაცობრიობა მისტირის, მაგრამ უკან ვერ იბრუნებს.

ლევან მოსიაშვილის შემოქმედების მეორე ეტაპი მთლიანად თბილისს მიეძღვნა. მისი თბილისი არავისას ჰგავს არც სიუჟეტით და არც შესრულების ტექნიკით. მიჯნით და მწყობრად ჩამწკრივებულ პატარა ფანჯრებს ერთმანეთისგან ოთხ ფენად დადებული ზეთის საღებავისგან შექმნილი რელიეფური ზედა-

პირი ყოფს. „თბილისებით“ მხატვარმა ისტორიული თანაცხოვრება, მჭიდრო ურთიერთობები, ახლო მეზობლობა, ერთმანეთთან გადარბენა-გადაძახილი გამოხატა, რაც წლების წინ ამ ქალაქის ერთ-ერთი მთავრი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

ამით დამთავრდა მოსიაშვილის შემოქმედების ყველაზე ხანგრძლივი - 15-წლიანი „ქართული“ პერიოდი.

2008 წელს საფრანგეთის მთავრობამ ლევან მოსიაშვილს საფრანგეთში ცხოვრება და მოღვაწეობა შესთავაზა. ამას წინ უძღოდა საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვება, აღიარება და არაერთი გამოფენა საფრანგეთსა თუ სხვა ქვეყნებში. მხატვრის დებიუტი საფრანგეთში 1998 წელს შედგა. ამავე წელს ქართველი მხატვარი მარსელის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. შემდეგ გაიმარჯვა კარი-ლე-რუეს ფერწერის კონკურსში. მისი პერსონალური გამოფენები მოეწყო ლიონში, პარიზში, ნიცავსა და ტულუზაში, პერუჯის, ტურნეფოსისა და ვერდიეს საგამოფენო სივრცეებში.

გარდა საფრანგეთისა, მოსიაშვილს პერსონალური გამოფენები ჰქონდა საქართველოში (თელავში), რუსეთში (სანკტ-პეტერბურგში), ესტონეთში (კუნძულ საარეაზე), სირიაში (დამასკოში, ალექოში). 2006 წელს თურქეთის დედაქალაქში საერთაშორისო ეკონომიკური უნივერსიტეტის მიწვევით მოწვეობილი პერსონალური გამოფენა თურქეთის ყოფილმა პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა გახსნა. იმავე წელს ანკარაში მხატვრის კიდევ ერთი პერსონალური გამოფენა გაიმართა, ამჯერად ავსტრიის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში.

ევროპამ მხატვარს შემოქმედებაში ფერები და სტილი შეაცვლევინა. თავდაპირველად კუბიზმმა გაიტაცა. სწორედ ამ დროს შეიქმნა კუბისტური პერიოდის ნახატები; „ხმელთაშუა ზღვა დამით“, „ფრანგული სოფელი“, „საზამთროები“, „ქალის ცხოვრება“, „დამის მინდვრები ტურნეფოში“, „ნისლი ფრანგული ქალაქი“, „წითელი თევზები“, „ახალი საუკუნე“ და სხვა.

ბოლო ორი წელია მხატვარი „ფილოსოფიური აბსტრაქციით“ არის გატაცებული. მიაჩნია, რომ ეს მისი პიროვნული თავისუფლების გამოხატვის მწვერვალია: „საფრანგეთმა მეტი თავისუფლებისაკენ მიბიძგა და ძიების სურვილი აღმიძრა. არც ადამიანურ



ურთიერთობებში უნდა დაიშტამპო და არც ხელოვნებში. შენი პირადი უნდა აჩვენო სხვებს ისე, რომ არ იფიქრო, სხვები რას იფიქრებენ შენზე. ტრადიციების შენარჩუნება კარგია, მაგრამ ზედმეტისგან უნდა გავთავისუფლდეთ. თავისუფლება პიროვნულ სიძლიერეს ნიშნავს. თუმცა გიჟიც შეიძლება იყოს თავისუფალი. ამიტომ ეს ყველაფერი კომედიაში არ უნდა გადაიზარდოს, უნდა იყოს სერიოზული. მიმანია, რომ ახლა რასაც ვქმნი, სერიოზული და დამაფიქრებელია. ოცი წელი დამჭირდა, რომ ამისათვის მიმეღწია. ქართველი მუდმივად თავისუფლებისაკენ ისწრაფვის. ისტორიული ქარტეზილები ზოგჯერ თრგუნავს ამ სწრაფვას. მის ხელახლა გაღვივებას გარემოს შეცვლა, ახლი ურთიერთობები, საკუთარი თავის გვერდიდან დანახვა და შეფასება სჭირდება. ამ განწყობით შეიქმნა აბსტრაქციული „ღამის ქალაქი“, რომელიც თბილისიცი შეიძლება იყოს, ჩიგაკოც და თელავიც, „ავტოპორტრეტი“, „მტრედი“ და სხვა.

2010 წელს ლევან მოსიაშვილმა ქ. ფონდორბის საერთაშორისო გამოფენაზე მოდერნისტული აბსტრაქციის ნომინაციაში გაიმარჯვა. ამავე წელს მიიღო გარონის დეპარტამენტის საპატიო ჯილდო ქ. ოტერივის გამოფენაკონკურსში. 2011 წელს ქ. დუსერეს 29-ე საერთაშორისო გამოფენაკონკურსის გრანპრის მფლობელი გახდა. 2012 წელს კი ქ. ოტერივის საშემოდგომო გამოფენაკონკურსის სპეციალ-

ური პრიზით დაჯილდოვდა. ლევანმოსიაშვილისნამუშევრებიმსოფლიოს მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში ინახება. (საქართველო, საფრანგეთი, რუსეთი, აშშ, გერმანია, შვეიცარია, იტალია, იაპონია და სხვ.) მხატვრის ნახატები გამოფენილია პრადის ნაციონალურ მუზეუმში, პენტაგონის ცენტრალურ ოფისში (ვაშინგტონში), მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეის დირექტორატში, საფრანგეთის არა ერთი ქალაქის მერიასა თუ სხვა ოფიციალურ დაწესებულებაში.

ქართველი მხატვარი აქტიურად არის ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში, აქტიურად იღებს მონაწილეობას საქველმოქმედო აქციებში და გამოფენებში, ლევან მოსიაშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობართა საერთაშორისო ჯგუფს და გეგმავს ბიბლიოთეკის საქმიანობის მხარდაჭერას უცხო ქვეყნებში.

ამჟამად საფრანგეთსა და საქართველოში ცხოვრობს. აბსტრაქტული პერიოდის შემდეგ მის შემოქმედებაში რა იქნება, არ იცის, თუმცა ის ნამდვილად იცის, რომ ყოველთვის უნდა ხატოს, ეძიოს და აღმოაჩინოს მისთვის ახალი. „წინასწარ ყველაფრის ცოდნა არც არის საჭირო. ყველაფერში ღვთის ხელი ურევია. თუ წინასწარ იცი, რას გააკეთებ, უკვე აღარ ხარ ხელოვანი“, - ამბობს მხატვარი.

სახელოვანი მოღვაწენი

ნათელა ნათელიაშვილი-კვინიკაძე

ლექსის, ფუნჯისა და სიტყვის უბაღლო ოსტატი

გიორგი (გიგლა) ხუსაშვილი - 90

სიტყვა და ფერი მომიმადლე,
ბედო მტანჯველო,
ვნება, რომლითაც ქვას კოდავდა
მიქელანჯელო.
ასე წერდა ერთ-ერთ სონეტში სასიქადულო პოეტი გიორგი (გიგლა) ხუსაშვილი.
გიგლა ხუსაშვილი! _ გულმხურვალე მამულიშვილი, ჩინებული პოეტი, ბრწყინვალე

დრამატურგი, დახვეწილი გემოვნების კრიტიკოსი, მაღალი ინტელექტის მქონე, ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი მხატვარი, ქვეყანას უანგაროდ რომ მიუძღვნა თავისი უზადლო ნიჭი და უმწიკველო ცხოვრება.
გიგლა ხუსაშვილი ერთგული იყო თავისი მუხისა, ხალხის და ქვეყნისა. მისი ნაწარმოებები მკითხველს ერთდროულად სიხარულისა

და ტკივილის განცდას ანიჭებს, შევიგრძნობთ
ებრაულ სულს და, ამავედროულად, საქართ-
ველოს სითბოსა და სილამაზეს. მისი შემოქ-
მედება გულწრფელობით, სისადავით, ღრმა
ცხოვრებისეული გამოცდილებით გამოირჩევა.

საქართველო, თბილისი, იყო მისი



სულში მუდამ შრიალებენ შენი ჭადრები...

მრავალმხრივი შემოქმედი, სისპექაკი-
თა და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნე-
ბა, ქართული და ებრაული ინტელიგენციის
თვალსაჩინო წარმომადგენელი, დავაწმოსი-
ლი და ამაგდარი ბატონი გიგლა ხუხაშვილი 55
წელზე მეტხანს დაუღალავად ემსახურებოდა
ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას.

თერთმეტი წელი მიიღია დიდი შემოქმე-
დის გარდაცვალებიდან.

აუნაზღაურებელია ბ-ნი გიგლას ამ ცხ-
ოვრებიდან წასვლით გამოწვეული დანაკლი-
სი... მაგრამ მან დაგვიტოვა უაღრესად საინ-
ტერესო, შინაარსიანი და მრავალწახნაგოვანი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა: ლექსები, პო-
ემები, პიესები, კინოსცენარები, კრიტიკული
წერილები, მხატვრული ნარკვევები, მაღალმხ-
ატვრული სონეტები... მკითხველმა შეიყვარა
მისი პოეტური კრებულები: “მშვიდობის სიმღე-
რა”, “ლურჯი ფანჯრები”, “მომღერალი ბიჭი”,
“მთების სიმღერა”, “ფიქრები ხმამაღლა”, “ბიბ-
ლიური მოტივები”... მოიხიბლა მისი შესანი-
შნავი სონეტების კრებულით. საზოგადოება
დიდი ინტერესით ესწრებოდა გ. ხუხაშვილის
პიესებისა და ინსცენირებების მიხედვით შე-
ქმნილ მშვენიერ სპექტაკლებს... გვახსოვს, რა
დიდი წარმატებით იდგმებოდა საქართველოში
და საქართველოს გარეთ მისი პიესები: “ზღვის
შვილები”, “მოსამართლე”, “ამბავი წუთისოფ-
ლისა”, “დღიურები ჩემი ქალაქიდან”, “ცხოვრე-
ბა კაცისა”, “თაწმინდის მთვარე”... ინსცე-
ნირებები, შექმნილი ვაჟა-ფშაველას “მთანი
მაღალნი“-ს, ლეო ქიაჩელის “ჰაკი აძბას”,
კონსტანტინე გამსახურდიას “დიდოსტატის
მარჯვენა“-ს მიხედვით. მწერლის საუკეთესო
კინოსცენარების მიხედვით გადაღებულ იქნა
მაღალმხატვრული ფილმები: “ზღვის შვილე-
ბი”, “მთვარის მოტაცება”, “ნოდარ დუმბაძე”,
“გრიგოლ აბაშიძე”, “მოლოდინი”.

გიგლაა ხუხაშვილი გახლდათ საქართ-
ველოს სახელმწიფო პრემიისა და აკაკი წერეთ-
ლის სახელობის პრემიის ღაურეატი, ღირსე-
ბის ორდენის კავალერი. მიღებულ ჯილდოთა-
გან ყველაზე დიდი ჯილდო კი ხალხის დიდი
სიყვარულია, რომლითაც საამაყო მწერალი და
პიროვნება იყო გარემოსილი.

გიორგი (გიგლა ხუხაშვილმა არა მარტო
ქართულ მწერლობაში, ქართულ სახვით ხე-
ლოვნებაშიც თქვა თავისი სიტყვა.

... გადავშალოთ მოგონებათა წიგნი...

შთაგონების მუდმივი წყარო:

**უთქვამს რუსთაველს: სად წაიყვან
სადაურსაო,**

**წუთისოფელი ცვალებადი ასე ტრია-
ლებს.**

**სადაც არ ვიყო, მესსომება ჩემი მოძმენი,
შენს გარდა კიდევ სხვა სამშობლოს ვერ-
სად მოვძებნი.**

ვის არ წაუღიღინია თბილისისადმი მიძ-
ღვნილი მისი შესანიშნავი სტრიქონები, ღა-
მაზად აუღერებული ცნობილი ქართველი
კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის მიერ, თავ-
დავიწყებით რომ მღეროდა სახელგანთქმული
ანსამბლი “ორერა?!”

**დავალ მუდამ მოხიბლული
შენი თილისმით,**

**ვეძებე და ვერსად ვპოვე
მე სხვა თბილისი.**

**რომ მოგ შორდე ერთი დღითაც,
მომენატრები,**

2003 წლის 13 ივნისი... **ეროვნული გაღერების დარბაზები დამთავალიერებლებს ძლივს იტყვდა. დიდი იყო საზოგადოების ინტერესი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილის, როგორც მხატვრის, შემოქმედების მიმართ.**

სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე სიტყვებით მიესალმნენ მეგობარ მწერალსა და



მხატვარს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ ისაუბრეს გ. ხუხაშვილის მდიდარი, ნაყოფიერი შემოქმედების შესახებ, მის წვლილზე ქართულ დრამატურგიასა და პოეზიაში, მის მაღალხეობრივ თვისებებზე, უანგარობაზე, კეთილშობილებაზე. ბ-მა თემო გოცაძემ აღნიშნა, აგრეთვე, რომ გარდა იმისა, რომ ბ-ნი გიორგი ხუხაშვილი დიდი შემოქმედია, ამავე დროს ნამდვილი ვაჟკაცია, იგი იყო კარგი მობურთავე, კარგი მოცურავე, მონადირე, მეთევზე, ბრწყინვალე თამადა... ბ-ნმა თემომ ყველა ადამიანს უსურვა ისეთივე შინაარსიანი და ლამაზი ცხოვრება, როგორითაც ცხოვრობდა ბ-ნი გიგლა ხუხაშვილი!

დასასრულს, დამსწრეთ თავად ღვაწლმოსილი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილი წარუდგა. გარემოცულმა საზოგადოების ყურადღებითა და სიყვარულით, დიდი მაღლიერება გამოხატა მისი შემოქმედების ჯეროვნად დაფასებისათ-

ვის, აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი კრიტიკოსი საკუთარი შემოქმედებისა თავად გახლდათ. ისაუბრა განვილილ შემოქმედებით გზაზე, მხატვრობით გატაცებაზე. ხელოვნების მოყვარულთ და დამფასებელთ საინტერესოდ უამბო ერთი ეპიზოდი თავისი ცხოვრებიდან, როგორ მოხვდა 12 წლის ასაკში პრინც მიურატის სასახლეში და დიდი შთაბეჭდილებებით აღვსილმა როგორ მოხატა შპალერის რულონი. ასე შეიქმნა ბევრი ნახატი. შეიძლება ჩაითვალოს, რომ პრინც მიურატის სასახლეში მან თავისი ნახატების პირველი გამოფენა მოაწყო. როგორც ცნობილია, სასახლე დაიწვა და გოგლას ნამუშევრებიც განადგურდა. ამის შემდეგ იგი დიდხანს აღარ ხატავდა.

ბ-ნმა გიგლამ ბოლოს დასძინა: “მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომ საქართველოში დავიბადე. ყველაფერი ამ მიწამ მასწავლა. დღევანდელი დღე ის დღეა ჩემთვის, რომლისთვისაც ღირდა გაჩენა.”

ჭეშმარიტი შემოქმედი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

გალერეაში 120-მდე ფერწერული ტილო იყო გამოფენილი: პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები, ავტოპორტრეტები, კომპოზიციები... თვალს იტაცებდა საყვარელი თბილისის უბნები, შემოდგომის პეიზაჟები, სვანური კოშკები, მშობლიური სოფელი ბანბა თუ მარანი, ფეთხაინი თუ ფირსმანის მოტივები...

სონეტების კრებული ხომ გიგლა ხუხაშვილის ჭეშმარიტ შემოქმედებით გამარჯვებას წარმოადგენს და სწორედ კედლებზე განთავსებულმა სონეტებმა ერთგვარი, ამავე დროს შესანიშნავი ფონი შეუქმნეს გალერეაში გამოფენილ მხატვრის ფერწერულ ტილოებს.

... აი, ერთ-ერთ სონეტში პოეტი შესთხოვს უფალს, მისცეს ძალა, რათა “სამარადუამოდ აღდგეს ფერფლიდან, რომ სიცოცხლე თვისი “ფურცელ-ფურცელ დაასურათოს”, რათა “სამყარო ვრცელი, საოცარი, ნათილისმარი, არასდროს გაქრეს სამუდამოდ, როგორც სიზმარი...” ხელოვანის მეხსიერებაში ცოცხლობს ბავშვობის სურათები, პეიზაჟები... “სადაც არ ვიყო, შორზე შორეთს, სიზმარეული, მოჩანს ის მდელი, ის ორდობე და ბროწეული.” ბ-ნი გიორგის ნატვრაა, რომ მისი სურათები იყოს მოძრავი, ცოცხალივით მფეთქავი, რადგან “ამ ცივ ზამთარში, თქვენ უდაბნოდ რომ

გეგმვებით, მშვენიერება იმდენია, რომ ვერ დავთვალე.”

მხატვრის შემოქმედების წყაროამისი საყვარელი სამშობლოს სანახები, საქართველოს სხვადასხვა კუთხე, იქნება ეს ხევისურეთი თუ სვანეთი, დედაქალაქი თუ საკურორტო ქალაქები... მშობელი ქვეყნის სიყვარულის ვნებით შეპყრობილი, ქმნის წლის ყოველი დროის – ზამთრისა თუ ზაფხულის, შემოდგომისა თუ გაზაფხულის პეიზაჟებს, ნატურმორტებს, ხატ-



ავს ნაირფერ ყვავილებს... ტილოებზე ასახავს მხეს, “როცა ჩადის უღურჯეს დასალიერზე, ან განთიადზე ცა ნათელი ერიჟრაუება”, სწორედ მაშინ “ნატურმორტებად, ფერადოვან პეიზაჟებად”, თვის “დღეებს ფერად ტილოებზე ანსახიერებს.”

ამ ჩვენს ნაირფერ დედამიწაზე ბევრნაირი სილამაზეა, მაგრამ ისე არაფერი შევინს, არ ალამაზებს დედამიწას, როგორც მწვანე სამოსელი და...ყვავილები. ეს იმიტომ, რომ სიმწვანე სიცოცხლის მაუწყებელია, ხოლო ყვავილი – სიცოცხლის განვითარებისა და გამრავლების, მისი მარადიულობის უმთავრესი სიმბოლოა. ალბათ, ამიტომ ბ-ნი გიგლა ხუხაშვილისთვის ყვავილების თემა ერთ-ერთი საყვარელი თემათაგანია.

მხატვარი განსაკუთრებული რუდუნებით ხატავს ყვავილებს, თითქოს ეფერება მათ, ეს იყვარულება... ისინი ძალზე ბევრია ტილოებზე, მათში იმდენი სულიერებაა, რომ ავტორს სწამს: “ჩემს ტილოებზე ყვავილები აღარ ჭკნებიან, ფერი რიჟრაჟის, ფერი ცისა, ფერი კრამიტის...” მისი შიში, “გადმოხატული რომ არ იყოს მკვდარი ასლები”, უსაფუძვლოა, ამოა, რადგან “მდინარის ფსკერზე ფერადები როცა შეტოკდნენ, მარგალიტებით “ვარსკვლავები ამოუტანეს.” შემოქმედისთვის ყვავილები, ბალახი – სულიერი არსებებივით ძვირფასია, ამიტომ ყველას ევედრება: “ფეხს ნუ დაადგამთ ყვავილებს და მწვანე ბალახებს, ეს იგივეა, რომ დაადგათ ფეხი ვარსკვლავებს”, ხოლო “ვარდები ხომ სულის სიმადლეა და სილამაზე”.

ყურადღებას იპყრობს ბ-ნი გიგლა ხუხაშვილის ავტოპორტრეტები, ისინი ძალზე შთამბეჭდავია, მათში თითქოს მთელი ცხოვრება იკითხება, მოჩანს მწერლის სულისკვეთება, სულის სრბოლა, სწრაფვა, “სიცოცხლის ლექსად გარდაქმნის” დიდი სურვილი; გახსოვთ, რომ წერდა: “დავწერე გული, როგორც ღრუბელი, რომ ყველაფერი, რაც მაქვს, გადმოვცე”, თითქოს აწუხებს ფიქრი, “და ჩემი სახე წრფელი, უგრიმო, რას ეტყვის წარსულს, ან ისტორიას?”

ახლაც თვალწინ მიდგას პორტრეტი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილის დედისა, სათნო, სპეტაკი, დარბაისელი, შვილებზე ზრუნვას გადაყოლილი მანდილოსნისა, რომელსაც “ბალიშქვეშ ედო, როგორც იმედი”, გიგლას “ბავშვური ხელით ნახატი”. საამაყო შვილი დედის ხსოვნას ასეთ სტრიქონებს უძღვნის: “ჩვენო დედაო, ჩვენო ფუძეო... თითქოს თოვაში გაჭაღარავდი, შემოგეხარჯა ფიქრი ათასი...” პორტრეტზე “ამოუთქმელი, გულდაკოდილი”, ყველას მაგიერ მომლოდინე, შუბლდაღარული დედის მხერაში მაგიური სხივივით აღბეჭდილა “მხერადადლილი დედის ლოდინი.”

მწერლისა და მხატვრისთვის შთაგონების დაუშრეტელი წყარო სამეგრელოში გატარებული ბავშვობის ლამაზი მოგონებებია, მისი ლამაზი, შინაარსიანი ცხოვრების გზაზე ნანახისა და განცდილისგანსხეულება ფერწერულ ტილოებზე, იქნება ეს საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლით დამშვენებული პეიზაჟი თუ ბუნებ-

ის შთაბეჭდილებების გადმოცემა შესანიშნავ, ორიგინალურ, მრავალფეროვან კომპოზიციუბში.

გიგლა ხუხაშვილის პერსონალური გამოფენა – ეს მისი მდიდარი, სიკეთითა და კეთილშობილებით აღსავსე “სულის ნაჟურია”, მნახველის ფიქრებსა და გრძნობებზე ძალუმ ზემოქმედებას რომ ახდენს, ნათელ, ოპტიმისტურ, საზეიმო განწყობას რომ გიქმნის... ფერ-წერულ ტილოებზე ფერები ძირითადად ნათელია, კაშკაშა... გამომსახველობითი საშუალებებია სინათლე, შუქი, ხორცშესხმული სივრცე, შუქჩრდილები, ფერების გადასვლა, ფერადოვანი გამა... ტილოებზე სივრცე სუნთქავს, მოძრაობს, გამოხატავს ავტორის აზრს, გრძნობებს, ხედვას... მხატვრის შემოქმედება ამდიდრებს ჩვენი დღეების სახვით ხელოვნებას, გამოფენას ტოვებს თითქოს განწმენდილი, ამადლებული, ოპტიმიზმით აღსავსე... კვლავ და კვლავ ვრწმუნდებით იმ უცილობელ ჭეშმარიტებაში, რომ “მშვენიერება, კულტურა გადაარჩენს მსოფლიოს, კაცობრიობას!”

როდენ წრფელია ბ-ნი გიგლას სიტყვები: “მე ბევრჯერ შევცდი, მაგრამ გულგრილად ერთი წამითაც არ მიცხოვრია.”

მწერლობა ერის კენესისა და სიმღერის ზიარია, გამოძახილიც და ზარიც... როდესაც 75 წლის იუბილეს – “ოქროს რთველს” ულოცავდა ბ-ნი გიგლა ხუხაშვილს პოეტი და მთარგმნელი, ბ-ნი ჯემალ აჯიაშვილი, მან გაიხსენა, რამდენიმე წლის წინათ სტუდენტ ახალგაზრდობასთან ერთ-ერთ შეხვედრაზე როგორ არისხებდა ზარებს ბ-ნი გიგლა, როგორ დუღდა და დრტვინავდა ერთთავად, ადგილს ვერ პოულობდა თურმე: “წიგნის ყადრი დაიკარგა, ჩვენსას ვინ ჩივის, თვით რუსთაველი და ვაჟაფშაველა აღარ უნდა არავის, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს არსებობას აზრი აღარ ექნება”-ო.

ასე ეთაყვანებოდა, ესათუთებოდა პოეტი ტკბილ, საამურ ქართულ ენას, მის სიწმინდეს...

“ ... ვინც გინდა იყოს, –

ვერ შეცვლის კანონს:

რომ დაიბადა, –

უნდა წავიდეს!

მაინც იმითი უნდა შეფასდეს –

აქ რას დატოვებს...”

წერს ისრაელში მოღვაწე ცნობილი პოეტი სიმა ჯანაშვილი. ეს, ალბათ, მარადისობის კანონია.

ლექსის, ფუნჯისა და სიტყვის დიდოსტატის სიცოცხლე ლექსად, სიმღერად, ფერტილოდ გარდაიქმნა და ხალხს, ქვეყანას მიეძღვნა. წერდა კიდევ პატრიოტი პოეტი:

შენ გაზიარებ ჩემს ოცნებებს, ფიქრებს, იმედებს,

რაც გამაჩნია, – ყველა შენთვის გამოვიმეტე.

... ოქროსფერი შემოდგომა ნელ-ნელა მიწნავდა და გაქრა... დამთავრდა მისი ცხოვრებისეული ლამაზი ბაღადა... თერთმეტი წელია, რაც იგი ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა... დარჩა ხსოვნა, კვალი ნათელი კაცისა, ისეთივე ნათელისა, როგორც მისი ლექსებია, რადგან, როგორც არიან ადამიანები, ისეთივეა ის წიგნებიც, რომელთაც ისინი წერენ.

სასიქადელო შემოქმედის ადამიანური სიდიადე ლამაზი ხსოვნის საღამოებით აღინიშნება ხოლმე თბილისის ებრაულ სათემო სახელში, რომლის ავტორი და წამყვანი გახლავთ უნიჭიერესი, ენერგიული, დიდი შემოქმედებითი ფანტაზიის მქონე ქალბატონი **ზარია დავარაშვილი**, რაც იშვიათ ადამიანთა ხვედრია. ისევ გაისმის მისი გულის ძეგრა, ისევ ხმიანობს მისი ლექსები, ისევ ამაცობენ მასთან სიახლოვით მეგობრები...

ქართველი და ებრაელი ხალხების ხსოვნის საგანძურში სამარადუამოდ იკიაფებს მისი სახელი, რადგან უკვდავია მისი შემოქმედება, უკვდავია მისი ტილოები...

ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა **დათა აჯიაშვილმა** გულიდან ამოძახილი სტრიქონები უძღვნა ექსპრომტად ბ-ნი გიორგი (გიგლა) ხუხაშვილს ეროვნულ გალერეაში გამართულ მისი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე:

ფუნჯის მონასმით გამოძერწილი

ყოველი ტილოს თემა და ფერი

აშიშვლებს გრძნობებს, გესაუბრება,

არსებობს, სუნთქავს, ცოცხლობს და მღ-

ერის.

ჭეშმარიტად, ბ-ნი გიორგი ხუხაშვილის შემოქმედება “არსებობს, სუნთქავს, ცოცხლობს და მღერის...”

სიყვარულთა და აღამიანური სიტბოთი

(ქეთვან ფოფხაძე - 90)

2015 წლის მაისში მას 90 წელი შეუსრულდებოდა.

ქეთევან ფოფხაძე- პიროვნება, რომელმაც თავისი საერო და საქმიანი ცხოვრება კეთილშობილი და მაღალი პროფესიონალის სახელით გალია. აკეთებდა იმ საქმეს, რომელიც ძალიან უყვარდა და კარგად იცოდა. ეს იყო წიგნიერების სამსახური, რომელიც ქუთაისში მისი მშობლების, სპირიდონ ფოფხაძის და მარიამ ქუთათელაძის ცნობილ ოჯახში ყალიბდებოდა. ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა გააგრძელა პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე.

სწავლის პერიოდშივე იწყებს მუშაობას ბიბლიოთეკის წიგნსაცავის გამგედ, საიდანაც

სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე. კითხულობს ლექციებს წიგნმცოდნეობაში, წიგნის ისტორიასა და ბიბლიოგრაფიაში. თითქმის 40 წელი იმუშავა ქალბატონმა ქეთევანმა ინსტიტუტში. ხიბლავდა სტუდენტებს თავისი მაღალი პროფესიონალიზმით, ერუდიციით, მასალის სრულყოფილად ფლობისუნარით, ლექციების კითხვის მაღალი კულტურით.

ქალბატონი ქეთევანი პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. შექმნილი აქვს სამეცნიერო შრომები და სახელმძღვანელოები ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგში. მათ შორის ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზაცია ბიბლიოთეკაში დოცენტ ალა ოთაროვასთან თანაავტორობით, აგრეთვე პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფია „პირადი ბიბლიოთეკა„ და სხვა.


განუზომელია მისი ღვაწლი საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმეში. სხვადასხვა დროს იყო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კათედრის გამგის მოადგილე, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე და კურსის კურატორი.

ამ წერილს სწორედ იმ ბედნიერი სხვადასხვა კურსის წარმომადგენლები ვწერთ, რომელთაც წილად ხვდათ ქალბატონ ქეთევანის კურატორობა და ეს ურთიერთობა დაუვიწყარ ნახევარსაუკუნოვან მეგობრობად იქცა. განსაკუთრებული იყო ქალბატონ ქეთევანის ურთიერთობა სტუდენტებთან - პრინციპული, კეთილსინდისიერი, დედობრივად მზრუნველი, ყველას გულშემბატკივარი, რომელმაც ისედაც ღამაში სტუდენტური ცხოვრება კიდევ უფრო



სამუდამოდ დაუკავშირდა საბიბლიოთეკო საქმეს. მალე სწავლას განაგრძობს ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ასპირანტურაში წიგნმცოდნეობისა და წიგნის ისტორიის განხრით.

1957 წ. კვალიფიცირებული მუშაკი უბრუნდება საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას-სწავლულ მდივნად, ამავე წლიდან სრულ საშტატო ერთეულზე სამუშაოდ გადადის თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის



გაგვილამაზა და დაუვიწყარი გახადა. მისი მონდომებით გახდა შესაძლებელი ინსტიტუტის ისტორიაში პირველად, და სამწუხაროდ, უკანასკნელად ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტების პრაქტიკაზე გაგზავნა მოსკოვის და ლენინგრადის უდიდეს ბიბლიოთეკებში. მის


სტუდენტებს მასთან ერთად ჰქონდათ შემოვლილი საქართველოსა და თბილისის დირშესანიშნავი ადგილები. გულმოდგინებით მუშაობდა ივინგილო და აფხაზ სტუდენტებთან, მზრუნველობით ეკიდებოდა მათ, ეხმარებოდა საგნების შესწავლა-ათვისებაში.

სწორედ სტუდენტებმა აღუნიშნეს მას 50 წლის იუბილე ბეთანიაში, ისე რომ ქალბატონმა ქეთევანმა არაფერი იცოდა ამ ფაქტის შესახებ. დიახ, მისი უანგაროდ, უზომოდ გაცემული სიყვარული, სითბო დაფრინავდა ამ არაჩვეულებრივ საიუბილეო საღამოზე და იყო სიკეთის, ადამიანობის დიდი ზეიმი.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრამ, მისმა კოლეგებმა ქ. თბილისის მთავარმა ბიბლიოთეკის დირექტორის ციალა კალმახელიძის აქტიური

მონაწილეობითა და დახმარებით შესანიშნავი ხსოვნის საღამო ჩატარა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის N7 ფილიალში. (საკურატორო ჯგუფის ყოფილი სტუდენტი და ამჟამად გამგე ე. ქამუშაძე.)

საღამო გახსნა ყოფილმა კათედრის წევრმა პროფესორმა მზია ტოგონიძემ, რომელმაც დიდი სიყვარულით ისაუბრა ქალბატონ ქეთევან ფოფხაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ასევე გაიხსენა მისი კურსისა და საყვარელი პედაგოგის ურთიერთობის ღამაში დღეები. განსაკუთრებით თბილად მოიგონეს, როგორც კოლეგა, თანამშრომელი, კეთილშობილი ადამიანი პროფესორმა ალ. ლორიამ, ი. ფილაურმა, გ. თაყნიაშვილმა. ასევე ყოფილმა სტუდენტებმა. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა მ. ყიფიანმა, ე. ქამუშაძემ, სკოლის ბიბლიოთეკარმა თ. ცაღქამანიძემ, ლ. ასათიანის სახ. საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. საღამოთი მოხიბლულმა



გამოცემლობა „ციცინათელას“ რედაქტორმა აკაკი ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ „უხვად გაუცია დიდ ქალბატონს“, რაც დაუფასდა კოლეგებისა და სტუდენტების მხრიდან. საღამო კიდევ უფრო გააღამაზა ქეთევანის ოჯახის წევრების - ბატონ

ირაკლი ყუბანეიშვილის ოჯახის სტუმრობამ. რძლისა და შვილიშვილების მუსიკალურმა ჩანარებმა მოგონებების საღამოს დიდი სიხალისე შემატა.

ის დიდი სიყვარული და ადამიანური სითბო, რაც თავის გარშემო ქალბატონმა ქეთევანმა დათესა, გახდა საფუძველი იმ მეორე სიცოცხლისა, რაც გრძელდება კოლეგების, მეგობრების, ოჯახის წევრების და სტუდენტების მესსიერებაში.

წიგნი ქართული გალობის შესახებ

ქართულ საეკლესიო გალობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. გალობის ტრადიციების გადარჩენისათვის XIX-XX საუკუნეებში არაერთმა მოღვაწემ გასწია დიდი შრომა. პერიოდულ გამოცემებში 1860-იანი წლებიდან არაერთი სტატია და წერილი ეძღვნებოდა ქართულ გალობას. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტის სანოტო და აუდიო-ვიზუალური გამოცემებით მომსახურების განყოფილებაში 2010 წელს გაჩნდა სურვილი ქართული გალობის ამ პერიოდის ამსახველი მასალის ერთად თავმოყრის და კრებულად გამოცემისა.

წიგნის გამოცემისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს რამდენიმე წელი დასჭირდა. მიმდინარე წლის ივნისში ეროვნული ბიბლიოთეკის ეგიდით გამოიცა ქართულ პერიოდულ გამოცემებში არსებული სტატიების, წერილების, ამონარიდების და განცხადებების კრებული „ქართული გალობის ქრონიკა 1861-1921 წლების ქართულ პერიოდიკაში“.

წიგნი ასახავს ქართული გალობის მდგომარეობას ქვეყნის გასაბჭოებაამდე. 1921 წლიდან კი გალობის შესახებ სტატიები თითქმის არ გვხვდება. გამონაკლისის სახით 1921 წლის შემდეგაც დაიბეჭდა რამდენიმე სტატია, მაგრამ იმის გამო, რომ ზოგადად ეკლესია და მასთან ერთად გალობაც და მგალობლებიც რეპრესიის ობიექტად იქცნენ, მაშინდელ პრესას, ბოლშევიკური ცენზურის გამო, ამ თემაზე თითქმის სრული დუმილი უწევდა.

შესაბამისად, ეს გამოცემა 1861-1921 წლების ქრონოლოგიური პერიოდით შემოიფარგლება.

ქართული გალობის, როგორც ეროვნული ფენომენის შენარჩუნების საკითხი, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. XIX საუკუნეში, ეზარქოსობის პერიოდში, როდესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ანტიკანონიკური აქტით გაუქმდა, სამგალობლო სკოლების

რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და სასულიერო მუსიკის ძირძველ ტრადიციებს აღმოფხვრის საშიშროება დაემუქრა. დგება პერიოდი, როდესაც რუსეთის იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის მიერ იღვენება ყოველივე, რაც ეროვნული ნიშან-თვისების მატარებელია. მათ შორის, ძველი ტრადიციული გალობა; გაუქმდა სამღვდელმთავრო გუნდები, სასულიერო სემინარიასა და სასწავლებლებში აიკრძალა ქართული გალობის სწავლება. თბილისის სასულიერო სემინარიაში რექტორმა მოსწავლეებს ურჩია, სლაგური პარტიტურის ნოტების ქვეშ ქართული



სიტყვები მიეწერათ და ისე ეგალობათ, ხოლო ქართული გალობა, როგორც „არაპარმონიული“ - დაევიწყებინათ. ქართული გალობის გადარჩენას და შენარჩუნებას ცალკეული ქართველი სასულიერო პირები და მომღერალ-მგალობლები ცდილობდნენ. ხეპირგადმოცემის თავისებურების და სირთულიდან გამომდინარე, ქართული გალობის შენარჩუნებას საფრთხე ემუქრებოდა.

ამ დროს, ზოგიერთი ქართველი სასულიერო და საერო პირების დიდი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ერის კულტურულ წარსულთან უწყვეტი მემკვიდრეობითი კავშირის შენარჩუნება - ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე ჩაწერა და ამ სახით გადარჩენა. „ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტი“, რომელიც 1860 წელს თბილისში შეიქმნა, საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებას ისახავდა მიზნად. იმავე პერიოდში პრესაში აღნიშნულ საკითხს არაერთი სტატია მიეძღვნა. კომიტეტში წლების მანძილზე გადაუწყვეტლად რჩებოდა ის საკითხი, თუ პირველ რიგში რომელი კუთხის საგალობლები უნდა დაეფიქსირებინათ - იმერულ-გურული თუ ქართლ-კახური. ამ საკითხზე დავამ დიდხანს გასტანა. პრობლემა ქართველ მღვდელმთავართა მხ-

არდაჭერამ გადაწყვიტა: ყოვლადსამღვდელო აღექსანდრემ (ოქროპირიძე) განაცხადა იმის თაობაზე, რომ იგი საკუთარი ხარჯით და მღვდლების – პოლიეექტოს და ვასილ კარბელაშვილების თანადგომით უზრუნველყოფდა ქართლ-კახური კილოს საგალობლების ნოტებზე გადატანას. ხოლო, რაც შეეხება იმერულ-გურული კილოს საგალობლებს, მათზე ზრუნვა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა აიღო საკუთარ თავზე.

გალობის აღმადგინებელი კომიტეტი ექვსი წევრისგან შედგებოდა. პირველი სხდომა 1885 წლის 30 იანვარს ჩატარდა. მცირე ხნით ადრე, ჟურნალ „მწვემის“ რედაქტორმა დავით დამბაშიძემ თბილისში ინახულა ცნობილი საოპერო მომღერალი და კომპოზიტორი ფილიმონ ქორიძე, რომელსაც ევროპაში მიღებული ჰქონდა ბრწყინვალე მუსიკალური განათლება და ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანის საკითხისადმი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის დაინტერესება შეატყობინა. ამ საქმის თავადაც დიდად მოსურნე ფილიმონმა წერილით მიმართა ეპისკოპოსს და ქუთაისში ჩასვლისა და იქ საქმიანობის ნებართვა ითხოვა. წერილმა გაბრიელ ეპისკოპოსი დიდად გაახარა და მაშინვე მისწერა ფილიმონს: „დიდად მოხარული ვიქნები, პირიქით, იმ დროისთვის, ბევრ გამოჩენილ პირსაც დავისწრებო“.

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის უდიდესი დამსახურებაა ამ საშვილიშვილო საქმის მტკიცე საფუძველზე დამყარება. ქართული გალობის შენარჩუნების საკითხში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით ფილიმონ ქორიძეს, დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძეს, ექვთიმე კერესელიძეს, მაქსიმე შარაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკის ახალგამოცემულ წიგნში თავმოყრილია გალობასთან დაკავშირებული სტატიები ქართული პერიოდიკის ისეთი ადრეული გამოცემებიდან, როგორებიცაა: გაზეთები – „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „შრომა“, „თეატრი“, ჟურნალები – „ცისკარი“, „მწვემი“, „თეატრი და ცხოვრება“. აღსანიშნავია, რომ გალობის შესახებ სტატიები იმავე პერიოდის სხვა არაერთ ჟურნალ-გაზეთშიც იბეჭდებოდა, რაც, სამწუხაროდ, არ არის ასახული ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიათა ძველ გამოცემებში. მათი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მოძიება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგების დახმარებით დღეს უკვე გამარტივებულია, მაგრამ აღნიშნული კატალოგი ჯერჯერობით შევსების პროცესშია და, ამდენად, სრულად ვერც ეს კატალოგები ასახავს როგორც 1905 წლამდე გამოქვეყნებულ, ისე 1906–1921 წლების პერიოდიკაში გალობის შესახებ არსებულ მასალებს. სტატიების გარკვეული ნაწილის

მოძიება ჟურნალ-გაზეთების ფურცელ-ფურცელ შემოწმებითა და დაძებნით გახდა შესაძლებელი.

პირველი სტატია, რომელიც გალობის საკითხს ეძღვნება, დაიბეჭდა 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“. ეს არის აღექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის წერილი „ივერიანელების გალობა, სიმღერა და ლიდინი“. ავტორი საზოგადოებას ასე მიმართავს: „ქართულებო! აიღევით ყიზილბაშურს ყიყინზედ, იმათ სიმღერების ჳმებზედ ჳელი. რა შეედრება ჩუუნს მამა-პაპის სიმღერისა ჳმებსა, რომელიცა ჩუუნი ავდენი ათასობით წლების ჳმოვანებაა“. სწორედ გალობის გადარჩენის დაუოკებელი სურვილი ათქმევინებს ავტორს ამ სიტყვებს.

საინტერესოა თვითმგალობელ-ლოტბართა და ნოტებზე ჩამწერთა მიერ გამოქვეყნებული წერილები. ასეთები იყვნენ: ფილიმონ ქორიძე, ძმები კარბელაშვილები, რაჟდენ ხუნდაძე, ანტონ დუმბაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ანდრია ბენაშვილი, ივლიანე წერეთელი, მიხეილ მაჭავარიანი, მიხეილ კავსაძე და სხვანი.

ზოგიერთი სტატიის ავტორის ვინაობა უცნობია, რადგან ისინი ჯერ კიდევ გაუხსნელი ფსევდონიმებითა და კრიპტონიმებით არიან წარმოდგენილი. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ავტორები თვითონვე წარადგენენ ამა თუ იმ სოფელს, მგალობელს ან მგალობელთა გუნდს, რომელთა შესახებ ინფორმაცია სხვა წყაროდან არ მოიპოვება.

წიგნი 595 დოკუმენტს აერთიანებს. მათ უმეტესობას ავტორი ჰყავს. აღსანიშნავია სტატიები, რომელთა ავტორები ფსევდონიმით ან კრიპტონიმით არიან წარმოდგენილი. მაგ: პოლიეექტოს კარბელაშვილის ფსევდონიმია „ცხვილოელი“, ფილიმონ ქორიძის – „კორიჯიო“, პეტრე უმიკაშვილის – „ანჩხატელი“ და სხვ.

წიგნში შენარჩუნებულია ტექსტების იმდროინდელი ენობრივ-სტილისტური თავისებურებები. ჩასწორებულია მხოლოდ ორთოგრაფიული და პუნქტუაციური ნიშნები.

კრებულს დართული აქვს სამი სახის საძიებელი: პერიოდიკის, პირთა და ტოპონიმური.

პერიოდიკაში არსებული გალობასთან დაკავშირებული სტატიების თავმოყრის ინიციატივა ახალი არ არის, თუმცა ეს პუბლიკაცია გალობასთან დაკავშირებული მასალის თავმოყრილი სახით, პირველი გამოცემაა.

მიუხედავად დიდი მოცულობისა, წიგნი სრულად ვერ ასახავს 1861–1921 წლებში გალობასთან დაკავშირებულ პრესაში გამოქვეყნებულ ყველა დოკუმენტს, მიუხედავად ამისა, ის დიდ დახმარებას გაუწევს ქართული გალობის საკითხით დაინტერესებულ პირებს.

ორი მნიშვნელოვანი გამოცემის შესახებ


წინამდებარეგამოცემა წარმოადგენს რეპრინტს მღვდელ მორწმუნე სიმონ მჭედლიძის სახელმძღვანელოსი „სადეთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, შემოკლებული ლოცვანით, ღვთისმსახურებით და კატეხიზმით“, რომელიც დაიბეჭდა ქუთაისში

მოთი. /შედგენილი თანახმად უწმინდესი სინოდის პროგრამის ყოველგვარი დასაწყისი სახალხო (საერო და საეკლესიო) სკოლებისათვის; რეპრინტული გამოცემა; რედაქტორი-გამომცემელი ფილოლ. მეცნ. დოქტ. დამანა მელიქიშვილი. - თბილისი. : პეტიტი, 2015. - 208 გვ.

ვინაიდან რეპრინტული სახით წიგნი კვლავ მცირე ტირაჟით გამოიცა, ის ისევ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად დარჩა. მაგრამ თუკი წიგნი მხოლოდ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო ფონდში და იოსებ გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში იყო დაქცული, ახლა შესაძლებელი გახდა საპატრიარქოს ბიბლიოთეკაშიც მისი მოძიება ჩვეულებრივ ფონდში. აქვე აღსანიშნავია, რომ შეიქმნა წიგნის ელექტრონული ვერსიაც, რომლის ნახვა და თავისუფალი გადაწერა შეგვიძლიათ საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ელექტრონულ ფორმატში ფეისბუკზე.

მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გამოიცა ძალზე საინტერესო წიგნი : „ასკეტიკური ფორმულები : გამოკრებილნი სწავლანი წმინდა მამათანი“, რომელიც შეადგინა და ლექსიკონი დაურთო მორჩილმა გრიგოლ რუხაძემ.


წიგნი დაბეჭდილია მხედრული ასოებით, მაგრამ უცვლელადაა შენარჩუნებუ-



1914-15 წწ. და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ამიტომ წმინდა მღვთელმოწამის, სიმონ (მჭედლიძის) შთამომავალმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა დამანა მელიქიშვილმა გადაწყვიტა მისი ორიგინალის სახით გამოცემა ავტორის დაბადებიდან 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც სასულიერო, ისე საერო სკოლებისათვის. მასში ბავშვის ასკის გათვალისწინებით, მარტივი ენით, ნათლად და გასაგებად არის გადმოცემული წმინდა წერილის თხრობები, განმარტებულია მისთვის ნაცნობი გარემოს - ეკლესიის მოწყობის სიმბოლიკა, უცნობი სიტყვები ლოცვებისა, ახსნილია ღვთისმსახურების არსი...

წმინდა სიმონ (მჭედლიძე) მღვდელმოწამე - საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა : შემოკლებული ლოცვანით, ღვთისმსახურებით და კატეხიზ-



ლი ძველი ქართული ენა, ამიტომ ბოლოში ახლავს ძველი ქართული სიტყვების განმარტებითი ლექსიკონი.

წიგნში თავმოყრილია და ანბანზეა დალაგებული წმინდა მამათა მოკლე სულიერი სწავლანი, რომელნიც ერთგვარ სამოღვაწეო ორიენტირებს წარმოადგენს. სახელწოდებაც „ასკეტური ფორმულები“ შემდგენელმა იქიდან გამომდინარე შეარჩია, რომ იგი სულიერ გზაზე მდგომ ქრისტიანებს ძირეულ დარიგებებს ამცნობს. ამ დარიგებებს კი იგივე მნიშვნელობა აქვს ასკეტური წვრთნისთვის, როგორც გამრავლების ტაბულას მათემატიკის შესასწავლად, ან ნოტების მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ათვისებისათვის.

ტექსტს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს ამა თუ იმ საკითხის უფრო

ღრმად შესწავლაში დაეხმარება. ყველა სიტყვით აღვილი წყაროს პირობითი აღმნიშვნელით და გვერდის მითითებით არის დამოწმებული.

წიგნი განკუთვნილია ბერძონაზონთა და, საერთოდ, სულიერი მოღვაწეობის წესებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ეს წიგნიც წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას, ვინაიდან დაბეჭდა 300 ცალი.

ასკეტური ფორმულები : გამოკრებილნი სწავლებანი წმინდათა მამათანი. / შეადგინა და ლექსიკონი დაურთო მორჩილმა გრიგოლ რუხაძემ; რედაქტორი გვანცა კობლატაძე. - თბილის. : საპტრ. გამო-ბა, 2015. - 96 გვ.

დიდი ინტერესით წასაკითხი წიგნი

ბიბლიოთეკებსა და მათ მკითხველებს უდავოდ დაინტერესებს ეს წიგნი :

ჯაგოდნიშვილი თემურ. სოფლის მნათობი და მწვემსი კეთილი.-თბ.: „უნივერსალი“, 2014.-232-გვ.ილუსტრაციებით.

წიგნი ეძღვნება ცნობილ ქართველ მოღვაწეს - ფოლკლორისტს, ეკლესიის ისტორიკოს, სიტყვიერების თეორიისა და ისტორიის მკვლევარს, პუბლიცისტსა და პედაგოგს მელიტონ კელენჯერიძეს, რომლის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა. წიგნის რედაქტორია რ. ძნელაძე.

გამოცემას წინ უძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოკლე გამონათქვამები, რომელშიც მელიტონ კელენჯერიძის შესახებ წერია, რომ ან, „თამამად შეიძლება ითქვას, სიცოცხლე შესწირა ქართული ერის სულიერებისათვის ზრუნვას და თაობებისათვის დარჩა ვითარცა მაგალითი მწვემსი კეთილისა და სოფლის მნათობისა. . .“ ქართული ეკლესიათა საჭეთმპყრობელი - ილია მეორე აქვე მადლიერებით ახსენებს საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების ცენტრის თანამშრომლებს და ქალბატონ ცისანა ქოჩეიშვილს ეროვნული საგანძურის დასაცავად ზრუნვისათვის.

ქ-ნ ც. ქოჩეიშვილი მელიტონ კელენჯერიძის შვილიშვილია და, ამდენად, წიგნის ავტორი - თემურ ჯაგოდნიშვილი საკმაოდ ადვილს უთმობს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების აღწერას ეპილოგში.

წიგნს ასევე წინ უძღვის ფილ. მეც. დოქტორის ეთერ კელენჯერიძის წერილი „სამადლობელი“. წინასიტყვაობაში, რომლითაც ავტორი მკითხ-

ველს მიმართავს, ბევრი საინტერესო რამ არის გახშიანებული, რაც მელიტონ კელენჯერიძესა და ამ წიგნის შექმნასთანაა დაკავშირებული.


ნაშრომი ძირითადად 4 თავისაგან შედგება :

1. მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრების გზა;
2. მელიტონკელენჯერიძე - ქართული ეკლესიის ისტორიკოსი;
3. მელიტონ კელენჯერიძე და ქართული ფოლკლორი;
4. მელიტონ კელენჯერიძე - პედაგოგი, განათლების ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. წიგნს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატური საკმაოდ ვრცელი ნუსხა.

ყურადღებას იპყრობს ის ფოტო მასალა, რომელიც წიგნის ბოლოშია მოთავსებული.


„წიგნი განკუთვნილია ქართული საზოგადოებრივი აზრის, ეკლესიის, ფოლკლორისტიკის სიტყვიერების ტეორიისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის“ - წერია ანოტაციაში. ჩვენი მხრივ დაუშვებტვით, რომ იგი მკითხველთა ფართო ფენებისთვისაც სასარგებლო და საინტერესოა.

რეცენზია ა. ლორია





ახლახან გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული დოკუმენტალურ-ილუსტრირებული ნაშრომი „გვარიშვილთა უკვდავი სახელები“. წიგნის ავტორი გახლავთ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი ციალა გოშუა. წიგნში ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით საინტერესოაა მოთხრობილი გოშაძე-გოშუა-გოშუანთა სახელოვანი საგვარეულოს ორსაუკუნოვანი ისტორია. წიგნის შესადგენად ავტორმა ჩაატარა ბიბლიოგრაფიული ძიება საქართველოს სახელმწიფო არქივებში, მუზეუმებსა და წიგნსაცავებში. გამოვლენილ მასალების შეჯერებისა და ანალიზის შედეგად შეადგინა თავისი სახელოვანი წინაპრების ზნეობრივი ცხოვრების ამსახველი ნაშრომი, რომელიც თავის მხრივ ყურადღებას იპყრობს ტექსტისა და ილუსტრაციების ზომიერი შეხამებითა და გაფორმებით. წიგნში გამართული ქართულით დამაჯერებლადაა აღწერილი გოშუათა სასულიერო პირების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები, მათი თავგანწირული სულისკვეთება მამულისა და სარწმუნოების დაცვისა და მოვ-



ლა-პატრონობის საქმეში. მკითხველი შეუნელებელი ინტერესით ეცნობა გოშუათა გვარის სასულიერო პირების თომა გოშუას, პეტრე გოშუას, აკაკი გოშუას და სხვ. წარჩინებულ პირთა თავდადებულ შრომასა და დეაწლს, რომლებმაც სულიერი მრწამსის გადასარჩენად არ იშურებდნენ საკუთარ სიცოცხლეს.

წიგნი, როგორც ავტორი აღნიშნავს თავის წინასიტყვაობაში, თავისი შინაარსითა და თხრობის მანერით განეკუთვნება მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრს.

წიგნში წარმოდგენილ ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი და ამბავი გამყარებულია ილუსტრაციებით. გოშუების გვარის თანამედროვე თაობა ინტერესით გაეცნობა წიგნში ჩართულ ილუსტრაციებს : გოშუების გერბს, გვარის ორსაუკუნოვან გენეალოგიას, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის რუკებს, სადაც აღნიშნულია საგვარეულო სანახები; კიცხის ტაძარში დაცული წმ. გიორგის ხატი მე-16 საუკუნისა და სხვ. სიწმინდეები.

წიგნი აღჭურვილია სათანადო საცნობარო აპარატით; დაერთვის რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე; პირთა სახელების საძიებელი, დამოწმებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალი, რითაც ნაშრომი ჭეშმარიტად აკადემიური გამოცემის სახეს ატარებს.

წიგნი აღჭურვილია სათანადო საცნობარო აპარატით; დაერთვის რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე; პირთა სახელების საძიებელი, დამოწმებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალი, რითაც ნაშრომი ჭეშმარიტად აკადემიური გამოცემის სახეს ატარებს.

რევიუ

დავით გიგინეიშვილი

როსინის კონკია ნეაპოლის „სანკარლოში“

იტალიური საოპერო მუსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი – ნეაპოლი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში განიცდიდა უდიდეს აღმავლობას. ქალაქის მუდმივმოქმედი ოთხი კონსერვატორია წარმოადგენდა ნაყოფიერ ნიადაგს ვოკალური მუსიკის ნიმუშების სცენაზე აუღერებისათვის. სწორედ ამ პერი-

ოდში ეწვივნენ ქალაქს მუსიკის გენიოსები: ჰენდელი, ვლუკი, ჰაიდნი და მოცარტი, და სამხრეთული მრავალფეროვანი აურით მოხიბლულმა თითოეულმა მათგანმა დატოვა უბრწყინვალესი მუსიკალური შედეგები. ეს გასაკვირი არაა, რადგან ქალაქში მოღვაწეობდნენ იმ ეპოქის წამყვანი საოპერო კომპოზიტორები,

პირველ რიგში უდიდესი იტალიელი კომპოზიტორი ალესანდრო სკარლატი (1660–1725) და ახალგაზრდა ლეონარდო ვინჩი (1690–1730), ლეონარდო ლეო (1694–1744) და ნიკოლა პორპორა (1686–1768). გაზრდილ მუსიკალურ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა ქალაქში არსებული პატარა საოპერო თეატრები, ამიტომაც ნეაპოლიტანური სამეფოს მმართველმა, ბურბონების დინასტიის წარმომადგენელმა, მეფე კარლ VII (ესპანეთის მეფე კარლოს III) გადაწყვიტა ძველი სან-ბარტოლომეო თეატრის ნაცვლად აეგო ახალი – დიდი შენობა. ეს იყო პროგრესულად მოაზროვნე მმართველი, რომლის მოღვაწეობისას (1734–1759) ფართოდ გაეღო კარი განმანათლებლების მოღვაწეობასა და მათი იდეების დანერგვას.



ახალი შენობა, რომელსაც მეფის სახელი დაერქვა (წმინდა კარლოსის სამეფო თეატრი, ამჟამად „ტეატრო სან კარლო“/Teatro di San Carlo) გაიხსნა 1737 წელს და იმდროისათვის 1379 საჯდომ ადგილს მოიცავდა. შემდგომ ეპოქებში შენობამ საგრძნობი რეკონსტრუქცია განიცადა. ჯერ იყო და 1816 წლის დასაწყისში ხანძარმა შენობის დიდი ნაწილი გაანადგურა. 1817 წელს სტენდალი ესწრება განახლებული თეატრის გახსნას და ვერ მალავს თავის აღფრთოვანებას, რასაც შთაბეჭდილებების წიგნში აღნიშნავს: იმ დროიდან თეატრს უკავშირდება იტალიური ბელ კანტოს სკოლის ისტორიის საუკეთესო ფურცლები: როსინის 1815 წლის პირველ დადგმას „ელიზაბეტა, ინგლისის დედოფალი“, მოგვიანებით (1817–22წწ.) მოჰყვა 7 ოპერის პრემიერა. ამ თეატრისათვის დაწერილ გაეტანო დინოცეტის 17 ნაწარმოებიდან, გამოვეყოფდი აბსოლუტურ შედეგს „ლუჩია ლამერმურელი“.

დავეიწყარმა ბელინიმ ზუსტად ნეაპოლის „სან კარლო“-ში აიდგა ფეხი, როგორც კომპოზიტორმა. მაგრამ ნამდვილი მუსიკალური პაექრობამოგვიანებით გაიმართა – მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ვერდი და სახელმოხვეჭილი სავერიო მერკადანტე წარდგნენ ნეაპოლელთა წინაშე თავიანთი ოპერებით (აღსანიშნავია ვერდის „ლუჩია მილერი“). სან-კარლოს თეატრის სცენაზე გამოდიოდნენ საოპერო სცენის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ მარია მალიბრანი, ჯუდიტა პასტა, ლუიჯი ლაბლაში, ჯოვანი ბატისტა რუბინი და ა.შ. . უკანასკნელ ცვლილებებში შედის უხმო ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემა, გაკეთდა ახალი სცენისქვეშა ფოიე, სცენა სრულად შეიცვალა და აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით და განახლდა სარეპეტიციო ოთახები. მაგრამ ცვლილებებმა იტალიურ პრესაში ნეგატიური გამოხმაურება გამოიწვია, თუმცა იურგენ რეინჰოლდი არგუმენტირებულად ხსნის, თუ რატომ არ დააზიანა ცვლილებებმა თეატრის უნიკალური აკუსტიკა. ამჟამად თეატრი მოიცავს 3285 ადგილს და იტალიის დიდ, მუდმივმოქმედ თეატრებს შორის

ითვლება ყველაზე ძველ შენობად . იტალიური ვოკალური სკოლის XX საუკუნის ოქროს წლები შეეხო ამ თეატრსაც, აქ გამოდიოდნენ ეპოქის უდიდესი მომღერლები, დირიჟორები და შემსრულებლები.

როგორც მუსიკის დიდ ქომაგს, ოცნებად მქონდა იტალიის საუკეთესო საოპერო თეატრების სამეულის სპექტაკლებზე დასწრება, მაგრამ ნეაპოლში ჩასვლა მრავალ მიზეზთა გამო სულ ჭიანჭურდებოდა. ხელშემწყობ გარემოებათა გამო წელს ეს ნატვრა ავისდინე და 21 ივნისს დავესწარი როსინის ოპერას „კონკია ანუ სიკეთის ტრიუმფი/La Cenerentola ossia La bontà in trionfo“. როსინის ეს კომიკური ოპერა, ჩემთვის საკმაოდ ნაცნობი, ნეაპოლში არ დადგმულა 2003 წლიდან და ამჟამად კი აქ თავს იყრიდნენ საინტერესო ვოკალური ძალები. ყველა პარტიის შემსრულებელი იტალიელი გარდა რუსული წარმოშობის ტენორის – მაქსინ მირონოვს.

ამ ზაფხულს მთელ ნეაპოლს რესტავრაციის ბაცილა შეჰყროდა – შენობათა უმრავლესობა გარედან შეფუთული იყო, მათ შორის სამეფო სასახლე და საოპერო თეატრი. ამის გამო ისინი ერთიანი შენობის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, ამიტომაც იქ მომუშავე პერსონალი მოვიხმე, რომ გავრკვეულიყავი – სად იყო სასახლეში და სად თეატრში შესასვლელი. ორივე შენობა ერწყმის ერთმანეთს. შესასვლელს საფეხურებით მიყვავართ ზემოთ, სადაც ოდნავ მოგრძო თაღით შევდივართ ძირითად დარბაზში. ამ დარბაზს, როგორც ამბობენ, არქიტექტორ ანტონიო ნიკოლინის (1817წ) შეტანილი ცვლილებების შემდეგ არ შეუცვლია თავისი სახე. დარბაზი მაღალი


– ექვსიარუსიანია, გამოირჩევა გასაკვირად ფართო საორკესტრო ადგილით. დარბაზიდან ორკესტრანტები კარგად ჩანან, რადგან ისინი საკმაოდ მაღლა სხედან. დირიჟორიც უფრო ახლოსაა მსმენელთან და კარგად ჩანს დარბაზიდან. სცენის საპირისპიროდ არის სამეფო ლოჟა, სამეფოს გერბი და გვირგვინი სცენის თავზეა და ჭერი კი მოხატულია. დარბაზს არ ამშვენებს დიდი ჭადი, ამიტომაც სივრცე

ფართოა და ამაღლებული. აღვნიშნავ, რომ არანაირი ტექნიკური ინოვაცია არ შეეხო ლიბრეტოს ვიზუალურ მოწოდებას – იგი ტრადიციულად ფარდის ზედა ნაწილში, პროექტორით მხოლოდ იტალიურ ენაზე ისახება. ყველა იარუსი შედგება ინდივიდუალური ლოჟებისაგან (4-5 ადგილიანი), რომელშიც მოხვედრა მხოლოდ თეატრის თანამშრომლის მიერ კარების გასაღებით გახსნის შემდეგ შეიძლებოდა. ლოჟებს შორის სრული ტიხრები სარკეებით იყო დამშვენებული. ამის გამო მე ზედა იარუსების დათვალიერებისას და დარბაზის სამახსოვრო სურათების გადასაღებად მხოლოდ იმ ლოჟაში მომიწია შესვლა, რომელშიც უკვე მსმენელი იყო შესული. დარბაზი ულამაზესი, მდიდრული, წითელ ხავერდში გამოწყობილ ელევანტურ არისტოკრატიულ ქალბატონს ჰგავდა.

წარმოდგენისათვის დაბეჭდილ პროგრამაში მოცემული იყო, სრული ლიბრეტო, ტექსტი და მრავალფეროვანი ფოტოები. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო ბუკლეტი იმ სპექტაკლებისა-

გან, რომელთაც მე დავსწრებივარ. აღმოჩნდა, რომ „სან-კარლოს“ სცენაზე ამ ოპერაში გამოსულან სახელგანთქმული ჯულიეტა სიმონატო, ტერესა ბერგანსა და ლუჩია ვალენტინოტერანი.

კვირას სპექტაკლი რატომღაც უჩვეულოდ ადრე – 17 საათზე იყო. დანიშნული და დაუგვიანებლად დაიწყო. სცენაზე გამოვიდა დირიჟორი **გაბრიელე ფერო (Gabriele Ferro)**, როსინის აღიარებული იტალიელი სპეციალისტი. მოქმედება დაიწყო – ახალგაზრდა ქალიშვილი უცაბედად მამას კარგავს და მას თავის სახლში დონ მანიფიკო წაიყვანს. დამდგმელმა რეჟისორმა (პოლ კურანი) მოქმედება მე-18



საუკუნიდან მე-20 საუკუნის დასაწყისში გადაიტანა, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი დახვეწილ და დეტალიზირებულ სცენოგრაფიას (პასკუალე გროსი) და მდიდრულ, კოსტიუმებით (ზაირა დე ვინჩენტის) წარმოდგენისათვის. ფეროს ორკესტრი თავში აუჩქარებლად და ოდნავ ზანტადაც მიჰყავდა, რაც სრულიად საპირისპირო იყო კლავდიო აბადოსა და რიკარდო შაიის მიერ აღიარებულ ჩანაწერებში მოცემული ტემპებისა. პირველ სცენაშივე ჩნდება კონკია ანჯელინა თავისი ცნობილი ბალადით «Una volta c'era un re». **სერენა მალფი (Serena Malfi)**, ანჯელინას როლის შემსრულებელი ჩემთვის უცნობი იყო, მაგრამ სპექტაკლამდე ინტერნეტ-ქსელში მისი მონაწილეობით ვიდეონაწევრები ვნახე და დიდი იმედებით აღვივსემას ულამაზესი უღერადი კონტრალტო ჰქონდა, მაგრამ როგორც შემდგომმა სცენებმა უჩვენა, ტექნიკურად ბელ კანტოს უზადლო შემსრულებლებს ჩამოუვარდებოდა და მომდევნო დუეტში რამიროსთან (Un soave non so che), რომელიც პრინცის მოახლედ არის გადაცემუ-

ლი, ეს სისუსტე უფრო გამოიკვეთა. მბრონოვი ზედგამოჭრილი იყო ამ როლისათვის – ლირიული, ულამაზესი ტემბრის მქონე, მოქნილი და ტექნიკურად უნაკლო – მის ფონზე მალფი ფიორიტურებში არც ისეთი ლალი მომეჩვენა. დონ მანიფიკოს ქალიშვილების პარტიებში გამოდიოდნენ **კატერინა დი ტონო** (კლორინდა) და **კანდიდა გუიდა** (ტისბე). ორივე პერსონაჟი იყო კოლორიტული – ფუმფულა კლორინდას უპირისპირდებოდა თხელი, აყლაყუდა ტისბე. დები ერთმანეთში ქიშპობდნენ იქამდეც, რომ არ აცლიდნენ ერთმანეთს ხილის მითმევას (ერთი ბანანი ორივემ ძლივს გაიყო). მათი პერსონაჟები რეჟისორულად იყო ძალზე გამოკვეთილი – საერთოდ, დადგმას არ აკლდა პანტომიმა და ბუფონადა – და ეს პერსონაჟების კომიზმთან ერთად დაუვიწყარ თეატრალურ სანახაობას ქმნიდა. ნეაპოლი, როგორც იტალიური კომიკური ოპერის აკვანი, ამ დადგმაშიც არ დალატობდა თავის საუკეთესო ტრადიციებს, მით უფრო, რომ შემსრულებელთა უმრავლესობა იტალიელი იყო. დონ მანიფიკოსაც (ცნობილი ბანი **კარლო ლეპორე/Carlo Lepore**) არ დაუკლია მიხრა–მოხრა – ტანადი, ასმახი, მყარი, დაბალი ბანით მან დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა – როგორც ვოკალურად უნაკლო, ასევე სამსახიობო კუთხით. განსაკუთრებულად კომიკური იყო მისი პირველი აქტის კავატინა (**Noi Don Magnifico**), როდესაც ბახუსის გავლენის ქვეშ იგი მოურიდებლად ფანფარონობს, თან ჩაბლაუჭებული აქვს ხუთი დვინის ბოთლი, რაც მსმენელთა (გუნდის) აშკარა ირონიას იწვევს. დარჩენილი ბანებიდან პრინცის კამერდინერ დანდინის როლში ამ პარტიის სტაჟიანი შემსრულებელი **სიმონე ალბერგინი** (**Simone Alberghini**) გახლდათ, რომელიც ორ ვიდუო–სპექტაკლში უკვე მყავდა ნანახი (რუქსანა დონოზესა და ელინა გარანჩასთან) და ფილოსოფოს ალიდოროს როლში **ლუკა ტიტოტო** (**Luca Tittoto**). ორივე ბანს სასიამოვნო ტემბრის ხმა ჰქონდა, ტიტოტოს კი ღრმა და მყარი, მაგრამ პირველი აქტის ალიდოროს როლზე არიაში (**La del ciel nell'arcano**), რომელიც მან ევექტურად და სწრაფად დაიწყო, მის მეორე ნაწილში ძალა გამოეცალა და დაასრულა მეტად უფერულად. ფინალში გამოჩნდება ელეგანტური მანქანა, რომელსაც ანჯელინა მეჯლისზე მიჰყავს, სადაც იგი ღამის შავ ევექტურ კაბაში იქნება ნიღბით. შესვენებისას მსმენელების ნაწილი ამფითეატრის ქვედა ფოიეში ვახშამს შეექცა, მაგრამ მარცხენა გასასვლელით ერთ დიდ მოგრძო ცარიელი დარბაზის გადაკვეთით უცბად ლამაზი კიბეებით იმ პარკში მოვხვდი, რომელიც დიდი რკინის გისოსებით იყო შემოფარგლული. ასეთი მოულოდნელი შეხვედრა ბუნებასთან მეტად

მომხიბლავი იყო, მით უფრო, რომ შორიდან, ხეებს შორის ამაყად ჩანდა განმარტოებით მყოფი „ახალი კოშკი“ (კასტელ ნუოვო).

დარბაზში დაბრუნებულს ახალგაზრდა, ფრაკებში გამოწყობილი მსახიობები შემხვდნენ, ისინი ხალისობდნენ, ხუმრობდნენ, მერე სცენაზე ავიდნენ და იქ მეორე მოქმედებისათვის სუფრა გაშალეს. მეორე აქტში აღსანიშნავია პრინც რამიროს როული ორნაწილიანი არია (**Si, ritrovarla io giuro**), რომელიც ტრადიციულ ვერსიებში არ სრულდებოდა. მბრონოვი აქაც მშვიდად და ტექნიკურად გაუმკლავდა მას, ერთია, მისი მალღები ოდნავ მკრთალი და დიდი სიძლიერის არ იყო. მაგრამ მან მოახერხა არიის მეორე ნაწილში პარტიტურით გათვალისწინებულ ნოტზე უფრო მაღალი ნოტი აელო და დაეჭირა იგი, რითაც სრულიად მოიგო მსმენელის გული. მისი ტემბრი რაღაცით ლუიჯი ალვას მომაგონებდა, თან იგი ახალგაზრდად ულად უდერდა; რომ არა მალღები, ჩემი აზრით, ხუან–დიეგო ფლორესს იგი დიდ კონკურენციას გაუწევდა. დანდინი, რომელიც მთელი პირველი აქტი უხვად სარგებლობდა მისთვის მოულოდნელად მინიჭებული ძალაუფლებით (ისე, რომ კიდევაც პრინც რამიროსაც დავალებებს აძლევდა), დუეტში იძულებულია, დონ მანიფიკოს ამცნოს თავისი ვინაობა – რისი დანდინია იგი, თუ აქაც სახეს არ შეინარჩუნებს! ქარიშხალი იმდენად ევექტურად იყო დადგმული – გაცოცხლდა ძველი სასცენო საშუალებები ქარის ხმისა და ჭექა–ქუხილის იმიტაციით, რასაც გაბრიელ ფეროს ინტუიტიურად სწორად ამორჩეული ტემპი და აქცენტები მოჰყვა, რომ ორკესტრი ბევრად უფრო მომეწონა. მოუთმენლად ველოდი ანჯელინას ფინალურ რონდოს – მის პირველ ნაწილში მალფის მალღები ძლიერი და რატომღაც მეტისმეტად მყვირალა აღმოჩნდა (უფრო ვერდის და ვერიზმს რომ შეეფერებოდა), მაგრამ მეორე ნაწილი უკვე მშვიდად და რითმში იმდერა. სპექტაკლი დამთავრდა – ეს იყო მდიდრული დადგმისა და კარგი არტისტული შესრულების სინერგიული სინთეზი. აქამდე მორიდებულმა მსმენელებმა დასასრულს შესაბამისი ოვაციებით დააჯილდოვეს მომღერლები, მაგრამ აღფრთოვანება დიდხანს არ გაგრძელდა – და მსმენელი და შემსრულებელი მალევე დაიშალა. ერთი სიტყვით ოპერა „ბუფა“ – ს მაღალხარისხიანი იტალიური შესრულება დამხვდა კარგად გააზრებული და მუსიკისადმი მოწიწებული რეჟისორული მიდგომით. რაც შეეხება დარბაზის აკუსტიკას – თუ საუკეთესო არა (უფრო ხავერდოვანი ხმაც მომისმენია სხვაგან), იგი სინამდვილეში ძალზე კარგი იყო – ორკესტრისა და ხმების სწორი ბალანსითა და აკუსტიკურ დიაპაზონში რაიმე შესამჩნევი ჩავარდნის გარეშე.

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა : მოვლენები, ფაქტები

15 ივლისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელი ლევან მოსიაშვილი შეხვდა თბილისში 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულ მოზარდებს. შეხვედრა გაიმართა „საქართველოს ინდუსტრი-ალური ჯგუფის“ მხარდაჭერით.



22 ივლისს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა პროექტის „წიგნი ყველა სოფელს“ წარდგენა. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ წარმოადგინა მოკლე ანგარიში პროექტის ერთი ეტაპის დასრულების შესახებ.

24 ივლისს ეროვნულ ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის დარბაზში გაიმართა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართულ ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ახალი გამოცემების ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ მეორე ნომრისა და მისაკო წერეთლის წიგნის „საქართველო და მსოფლიო ომი“ წარდგენა.

11-15 სექტემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“. კონფერენცია ჩატარდა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით.



ერთი.

16 სექტემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ 2015 წლის 1 და 2 ნომრების წარდგენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების საბიბლიოთეკო ქსელის პასუხისმგებელი პირები, ჟურნალის მკითხველები, ავტორები. შეკრებილებს ინფორმაცია მიაწოდეს იმის შესახებ, რომ ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და ამ ეტაპზე უფასოდ დაურიგდება საჯარო ბიბლიოთეკებს.

უზუსტობის დაზუსტება

ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მე-2 გნომერში ერთ-ერთ სტატიაში დაშვებულ იქნა შეცდომები, რომლებიც აუცილებლად მოითხოვს გასწორებას. კერძოდ, ნანა ფირცხალავას სტატიაში - „ფარული ლექსის გამომზეურება“ არასწორადაა მითითებული განსახილველი ლექსის წყარო, რომელიც უზუსტოდაა მოხსენებული - „პოეტის ათასი სიტყვის კონა“, ნაცვლად „პოეტის ათასი სტრიქონისა“. როგორც გამოირკვა, შეცდომა დაშვებულია დედანის დასაბეჭდად მომზადების პროცესში სარედაქციო მუშაობისას. ცხადია,

ეს არ ამართლებს ამგვარ შეცდომას. ასევე არაზუსტადაა მითითებული, რომ აღნიშნული ლექსი თითქოს მოპოვებულ იქნა ხელნაწერთა ინსტიტუტში, მაშინ, როცა ის ლიტერატურის მუქეუმში იყო დაცული.


სავსებით ბუნებრივია, რომ ამან გამოიწვია სტატიის ავტორის უკმაყოფილება, რისთვისაც მას ბოდიშს ვუხდით, ისევე, როგორც მკითხველებს - არაზუსტი დასახელებისათვის.

ჟურნალის რედაქცია

დიდი ქართველი პედაგოგი და მეცნიერი, „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილი თავის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში, წერილებსა თუ გამოსვლებში ჯეროვან ყურადღებას აქცევდა ბუნებისმეტყველების სწავლების საკითხებს სახალხო სკოლებში. „ბუნების კარის“ 21-ე გამოცემის (1912) წინასიტყვაობაში ავტორი წერს : „ბუნების ცოდნა, მისი ძალების რაციონალურად გამოყენება ერისა და კაცობრიობის წინსვლისა და კეთილდღეობის საწინდარია“. წერილში „მასწავლებელთა და მშობელთათვის“ ი. გოგებაშვილი აანალიზებს „ბუნების კარის“ დიდაქტიკურ შემადგენლობას და მიუთითებს : „საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანი, რომ ევროპის ბუნება მასთან





ნარცხადაც არ მოვა, მაგრამ ჩვენ ამ მდიდარის ბუნებისა არაფერი გაგვეგება უკუღმართი აღზრდის წყალობით; ამის გამო ჩვენს ბუნებას ეპატრონებიან უცხოელნი, შეიარაღებულნი რეალური ცოდნით, იძენენ აუარებელ ქონებას და ჩვენ კი „სახამშრალები ვრჩებით“. ავრცელებს რა აზრს ბუნებისმეტყველების სწავლების საკითხებზე, ი. გოგებაშვილი იქვე წერს : „ცხოველი ბუნება ჩვენებურ მშობლებს სრულიად მივიწყებული აქვთ თავისი შვილების აღზრდა-განვითარებაში, ჩვენებური სკოლაც უსულგუ-



ლოდ, უძღურად და მკვდრად ასწავლის ბუნებისმეტყველებას, მის ჩონჩხს, ამის გამოჩვენს ბავშვებს და ყმაწვილებს სრულიად უცრუვდებათ მასზე გული“

- იხ. გოგებაშვილი, ი. რჩეული თხზულებანი, ტ. 4. - თბ., 1990. - გვ. 667





PRINT OFFICE





We Build Your Brand



ციფრული სტამბა

სრული სარეკლამო მომსახურება

- მაისურები
- კალმები
- კალენდრები
- ეტიკეტები
- ბანერები
- მრავალი სხვა



ალ.ყაზბეგის გამზ. 43
თბილისი

+995 (32) 2 39 23 03

+995 557 14 32 32

დ. აღმაშენებლის გამზ. 147
თბილისი

+995 (32) 2 24 04 20

+995 593 24 00 04

საქართველოში ჯარ კიდეც არ იყო დასრულებული ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული აღსასრულიდან გამომდებელი გლოვა, რომ ორი უდიდესი პოეტი გამოაკლდა ქართულ მწერლობას.



აკაკი



და ვაჟა

754/2

